

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის  
ინსტიტუტი

ნორან შაშანაძე

# ქართული ხალხური დებენდები



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1973

ნაშრომი ქართული ხალხური ლეგენდების მონო-გრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. ავტორი მიზნად ისახავს, ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით განიხილოს ფოლკლორული ლეგენდები და განსაზღვროს მისი ადგილი ხალხურ პროზაში.

ჯ. ლევა-ძიებისას ავტორი ემყარება პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ, ხალხური სიტყვიერების კრებულებსა და ქრესტომათიებში დაბეჭდილ ხალხურ ლეგენდებს, აგრეთვე საარქივო მასალებს. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ავტორის ჩანაწერებსაც.

ხალხური ლეგენდების მეცნიერული შესწავლა დაეხმარება ხალხთა უძველესი მსოფლმხედველობისა და რელიგიურ მოძღვრებათა მკვლევარებს, აგრეთვე მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდისტებს.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

რელიგიური გადმონაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მდიდარი ეროვნული ფოლკლორის შესწავლასა და მის პოპულარიზაციას. ქართულ ხალხურ ზეპირშემოქმედებაში ძალუმაღ ჯღერს ათეისტური მოტივები.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგია საქართველოში წარმართულ რწმენებთან და წარმოდგენებთან ბრძოლაში მკვიდრდებოდა და ყალიბდებოდა. ახალი სარწმუნოება ძველს ცეცხლითა და მახვილით უტევდა, ყოველი საშუალებით ცდილობდა მის მოსპობას, მაგრამ არნახულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. წარმართულ სარწმუნოებაზე განსაკუთრებით მტკიცედ იდგა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა. როგორც ლეონტი მროველი აღნიშნავს, IV საუკუნეში „მთიულნი უმრავლესნი არ მოიქცეს.“<sup>1</sup> ქართველ მთიელთა ერთი ნაწილი VI საუკუნეში აბიბოს ნეკრესელმა მოაქცია, ხოლო „რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს — აქამომდე“<sup>2</sup>, ე. ი. II საუკუნემდე, რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, მონღოლების შემოსევამ და შინა პოლიტიკურმა აშლილობამ ქართველი მთიელების გაქრისტიანება შეაჩერა<sup>3</sup>. ამიტომაც, რომ „ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სქარბობს. ქრისტიანული წმინდანების სახელით, უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე-დღესასწაულებისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული დღესასწაულები სრულდება“<sup>4</sup>.

როცა ანტირელიგიურ ფოლკლორულ ნიმუშებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ამირანის“ ქრისტიანი-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყუხჩიშვილის რედ., I, 1955, გვ. 125.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ა. ს. ხაძე, რელიგიური გადმონაშთების ხასიათი და მათი კედომის კანონზომიერება, 1966, გვ. 17.

<sup>4</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან ღვთაება ბარბარ-ბაბარ), 1941, გვ. 2.

ზებული თქმულებანი. რომლებშიც ქრისტე ღმერთი ღვარძლიანად და გულზვიადადაა დახატული. „ახლა საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ მოთხრობა კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გოლიათისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა საქართველოში“<sup>5</sup> ამიტომ ამირანის თქმულებაში ქრისტეს ეპიზოდი საქართველოში ახალი სარწმუნოების დამკვიდრების შედეგ უნდა იყოს ჩართული. ხალხს ძველისძველ ეროვნულ თქმულებაში ახალი პერსონაჟის შემოყვანა ანტირელიგიური გრძნობების გამოსახატავადაც დასჭირდა. „ამირანის თქმულება“ ადამიანის გამბედაობის, სიმამაცისა და უძლეველობის უკვდავი ჰიმნია. ბიბლია ღმერთისადმი მოკრძალებას, მორიდებასა და მორჩილებას ქადაგებს, „ამირანის თქმულება“ კი სულ საპირისპირო იდეითა და მიზანდასახულებითაა დამუხტული. ამირანი იესო ქრისტესაც არ უშინდება და საკვიდაოდ იწვევს. მართალია, იგი ღმერთთან კიდილში ბოლოს და ბოლოს მარცხდება და კიდევ ისჯება, მაგრამ მორალურად მაინც გამარჯვებულია. „ამირანი საუკუნეობრივი წამებული გმირია. იგი ხალხისათვის ეწამა და კვლავ ოცნებობს. ოდესმე დაუბრუნოს ხალხს უსისხლო პურის ქამის დრო. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, მისი ბიოგრაფიის სიმბოლური მხარე“<sup>6</sup>.

ღმერთთან ბრძოლის სულისკვეთებით ამირანს ძალიან ჰგავს რუსული ხალხური ლეგენდების გმირი ვასილ ბუსლაევი. ოღონდ იგი გაცილებით გვიანდელი უნდა იყოს. ვასილ ბუსლაევის მხატვრული სახე შეიქმნა „ორრწმენიანობის“ პერიოდში, როცა წარმართული წარმოდგენები ქრებოდნენ, ქრისტიანული კი ჯერ კიდევ არ იყო მტკიცე. ვასილ ბუსლაევი ებრძვის როგორც „ციურ“, ისე „მიწიერ ღმერთებს“. იგი ქრისტესაც იწვევს საომრად.

როგორც რუსი მკვლევარი ა. ლაზარევი აღნიშნავს, ვასილ ბუსლაევის სახის მნიშვნელობა ანტირელიგიური პროპაგანდის საქმეში გაპირობებულია იმით, რომ ეს პირველი მხატვრული სახეა, რომელიც რუს ხალხში აღმოცენებული ათეიზმის ზოგიერთ ნიშანს ატარებს. იგი არის ეპიკური, ბილინური სახე, ე. ი. ისეთი სახე. რომელიც მთელი ხალხის იმედს, სასოებას გამოხატავს<sup>8</sup>.

ბევრ ქართულ ხალხურ ნაწარმოებში ამირანის გაუტეხელი სული ტრიალებს. ზოგი ფოლკლორული გმირი „პატარა“ ამირანია,

<sup>5</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგ. I, 1959, გვ. 294.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> А. Лазарев, Плакал и смеялся, а бег не отозвался, 1963, стр. 28.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 32.

რომელიც ღმერთებს აბუჩად იგდებს და ხშირად კიდევ „ჯიბრში“ უდგას. ასეთი გმირია, მაგალითად, მეცხვარე ლეგენდაში „ღმერთი და ქრისტე“. ერთხელ იესო ქრისტე მთავარი ღმერთის დავალებიო ქვეყნის დასათვალისწინებლად გაემგზავრება. მთის ძირას დაინახავს მწყემსს, რომელსაც ცხვრის ფარა ღრანტეში მოუგროვებია და აძოვებს. იესო ქრისტე მეცხვარეს უსაყვედურებს: ფარა აქ ნუ გაყავს, თორემ რომ გაავდარდეს, მთლიანად დაგელუპებავ. მეცხვარემ შემოუძახა: „ნეტავ შენ, საქმე შემოგლევიანო; რა უნდა დამელუპოსო, ამ მთვარეზე ნამი არ გავარდებავ, მეც ამ თვეზე მეტს აქ არ ვჩერდები, შემდეგ სხვაგან უნდა წავესხა ცხვარიო. ავდარი რო არ იქნება, ცხვარი აბა საიდან დამეხრჩობაო“.

ქრისტე დაბრუნდა ღმერთთან და მოახსენა: მეცხვარემ მასხრად ამიგდლო. ღმერთმა უპასუხა: გაავდარება არ მქონდა „სიაში“, მაგრამ რადგან გაწყენინა, ამაღამ ისეთ ღვართქაფს დავაყენებ, ის საცოდავი ერთ ცხვარსაც ვერ გადაარჩენსო. მართლაც, ცაზე საავდრო ღრუბლები წამოიშალა, ელვამ გაჰკრა, ჭექა-ქუხილმა იქაურობა გააყრუა. გაავდარდებავ, გაიფიქრა მეცხვარემ და ფარა ვაკეზე აიყვანა. ცამ პირი მოხსნა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ღმერთმა ქრისტე კვლავ გაგზავნა, გამიგე მეცხვარე რა დღეშიაო. ქრისტემ ცხვრის ფარაც უვნებლად ნახა და მწყემსიცი. აკი ამ მთვარეზე არ უნდა გაავდარებულიყო, ნიშნის მოგებით უთხრა მეცხვარეს. არ უნდა გაავდარებულიყო, მაგრამ შენ იჯაშუშე, ღმერთს ჩემი ამბავი მიუტანე და წვიმამ მითომ წამოუშხაპუნაო.

მეცხვარე ქრისტეს ჯაშუშს რომ უწოდებს, ეს კიდევ არაფერი. მთავარი ისაა, რომ იგი თვით ღმერთის ხრიკებსაც ხვდება და მასთან მეტოქეობაში გამარჯვებული გამოდის<sup>9</sup>.

ახლა მოვუხსენოთ რუსულ ლეგენდას, რომელიც მოგვითხრობს: ღმერთი და წმინდა იური სოფლად დასეირნობდნენ. ყველა ქოხი ჩამოხნელებულიყო, მხოლოდ ერთგან ენთო სინათლე. ფარდა ჩამოეფარებინათ ღია ფანჯარაზე, საიდანაც კენესა მოისმოდა. ღმერთმა თქვა ქოხში უნდა შევიდეთ. იურიმ დაუშალა, იქ ქალი მშობიარობსო. ღმერთმა მაინც შეყო თავი ფანჯარაში. ჯოხი ჩაართყეს. ღმერთი გაბრაზდა და მელოგინე ქალი დაწყევლა: ახლა რომ ბავშვი დაგებადება, უბედური იყოსო. გავიდა წლები. ღმერთმა და იურიმ იმ ქოხთან კვლავ გაიარეს. იქვე კარგი პურის ყანა ბინებდა. იურიმ ღმერთს უთხრა: ეს ყანა იმ გლეხისაა, მის დაბადებაზე თავში რომ ჩაგარტყესო. ღმერთმა ეშმაკებს უბრძანა: ყანა

<sup>9</sup> აღ. ლ ლ თ ნ ტ ი, ქარ თლური ზღაპრები და ლეგენდები, 1948, გვ. 6.

განადგურეთო. ეშმაკებმა ყანა მოსპეს. გლეხი ატირდა. იურამ ურჩია, პურს ნულარ დასთეს, პირუტყვი მოაშენო. გაეიდა სუთი წელი. ღმერთმა და იურიმ იქ კიდევ გაისეირნეს. ნახეს ნახირი. იურიმ ღმერთს ისევ უთხრა: ნახირი იმ გლეხისაა, შენ რომ დაწყევლეო. ღმერთმა გლეხს ნახირიც გაუწყვიტა. გლეხმა იურის რჩევით ფუტკარი მოაშენა. იურის ჩაგონებით გლეხმა ღმერთი დაპატიჟა, თაფლი აჭამა, სანთელი აუნთო. იურიმ მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა ღმერთს გლეხის ვინაობა. ღმერთმა გლეხის შევიწროებაზე ხელი აიღო და განაცხადა: აღარას ვერჩიო. გლეხმა სინანულით ჩილაპარაკა: მთელი ჩემი დღე და მოსწრება ვნატრობდი, რომ ღმერთი ჩამომხსნოდა. ოცნება ამისრულდა, მაგრამ რაღა დროს, ღმერთის ავგულობამ ძალ-ღონე დამიშრიტა და ვგრძნობ მალე მოგვედებო<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ ლეგენდას ბევრი რამ აქვს საერთო ზემოთ განხილულ ქართულ ლეგენდასთან. ღმერთი აქაც ჭირვეულობს და გლეხს ქონებას უნადგურებს, თუმცა ჭირვეულობის მიზეზი სულ სხვაა, ვიდრე ქართულ ლეგენდაში. არც დასასრულია ერთნაირი. ქართული ლეგენდა მეცხვარის გამარჯვებით მთავრდება, რუსულს კი პესიმისტური დასასრული აქვს: გლეხი კი მოისყიდის ღმერთს, მაგრამ უკვე გვიანდაა, იგი სიკვდილის მოაწლოებას გრძნობს და აღარაფერი ახარებს.

მაქსიმ გორკი იგონებდა რა თავისი ბებუის მონაყოლ ზღაპრებს. წერდა, რომ ღმერთი ამ ზღაპრებში ხშირად სულელური საქციელით გამოირჩევა. ქართულ ფოლკლორშიც ასეა: ღმერთი ზოგჯერ დახატულია ყუყუჩად, რომელსაც ელემენტარული ფიქრისა და განსჯის უნარიც არა აქვს და არც თუ იშვიათად კომიკურ სიტუაციებში ვარდება. მაგალითად, სვანური ლეგენდა მოგვითხრობს: ღმერთი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები მოგზაურობდნენ. მათ წინ ქვა გაგორდა. ღმერთმა თქვა: ეს ქვა გავხეთქოთო. ხელი არ ვახლოთ, თორემ ვინანებთო, ურჩიეს ანგელოზებმა. ღმერთმა არ დაიშალა, ქვა გავხეთქა, იქიდან სამოელი გამოხტა და იგი ცუდ დღეში ჩააგდო<sup>11</sup>.

საინტერესოა ლეგენდა „რატომ არ ხარობს ვენახი სვანეთში“: იესო ქრისტეს რომ დაუვლია საქართველო, ყველგან უკურთხებია ვენახი. აქედან სვანეთისკენ წამოსულა. შეხვედრია ტბაზე ეშმაკი. უკითხავს ეშმაკს: რატომ მობრძანდები აქეთო? ვენახი

<sup>10</sup> ა. ლ ა ზ ა რ ე ე ი, დასახ. წიგნ., გვ. 83.

<sup>11</sup> ბ. ნ ი ე ო რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, 1962, გვ. 142.

უნდა ვაკუროთხო. მე ვაკურთხე იქით ყველგან ვენახიო, უთქვამს ეშმაკს“. ქრისტე მოტყუებულა და უკან დაბრუნებულა<sup>12</sup>.

ამ ლეგენდის მეორე ვარიანტში ეშმაკის მიერ ქრისტეს მოტყუება კიდევ უფრო მეტ კომიკურ ელფერს იღებს. სვანეთში მიმავალ „ქვეყნის შემოქმედს“ ცხენისწყლის ხეობაში ეშმაკი დახვდება, რომელსაც სვანეთში ვაზის ნაცვლად კოწახური დაურგავს. იგი ქრისტეს კოწახურის ნაყოფს აჩვენებს და ეტყვის, ეს ჩემ მიერ დარგული ვაზის ნაყოფიაო. ამაზე უკეთესი ყურძნის ჯიში არც მე გამიშენებიაო, ჩაილაპარაკებს ქრისტე და დაბრუნდება უკან<sup>13</sup>.

აღსანიშნავია რუსული ლეგენდა „ქვრივის ძროხა“. ერთ ქვრივს ძროხა ჰყავდა, მის გერს—ვირი. გერი ძროხას პარავდა საკვებს და ვირს აქმევდა. ქვრივი შეევედრა ღმერთს: ვირი მოკალიო. მოკვდა ძროხა. ქვრივმა ერთგვარი დაცინვით შესძახა: ღმერთო, ვირი და ძროხა ველარ გაგირჩევიან?!<sup>14</sup>

ღმერთი ზოგჯერ სუსტი და ღონემიხდილია, ეშმაკი ადვილად იმორჩილებს. ეს კარგად ჩანს ზემოთ ხსენებულ სვანურ ლეგენდაში. ღმერთმა გზაზე მგორავი ქვა რომ გახეთქა, იქიდან სამოელი გამოვარდა და „ქვეყნის შემოქმედს“ ყელში ეცა. სამოელი ადვილად მოერიდა ღმერთს და დახრჩობა დაუპირა. ოღონდ ნუ მომკლავ და რაც გინდა მთხოვეო, შეევედრა ღმერთი. ან საწუთრო სოფელი მომეცი ან საუკუნოო, უპასუხა სამოელმა. ღმერთმა საუკუნო სოფელი დაუთმო<sup>15</sup>. ღმერთი ამჯერად კი ვადარჩა დახრჩობას, მაგრამ შემდეგ კინალამ წყალმა იმსხვერპლა: „ღმერთი ძირსა და ძირს მიდიოდა წყალში და ირჩვებოდა. ამ დროს მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზები იღლიებში ამოუდგნენ და ღმერთი ზევით ასწიეს“<sup>16</sup>.

როცა ხალხი ღმერთს ასე უსუსურად წარმოგვიდგენს, რა თქმა უნდა, მას არც ღმერთის სიყვარული აქვს და არც მთავარანგელოზებისა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ხალხს ბიბლიური პერსონაჟები იმიტომ გამოჰყავს, ლეგენდას სატირულ-იუმორისტული ელერადობა მისცეს და ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენა მასხრად აიგდოს. სხვაგვარად ვერ ავხსნით ღმერთისა და ეშმაკის (ზოგჯერ სამოელის) შუღლსა და მეტოქეობას, მრავალი ხალხის ფოლკლორში რომ გვხვდება. ეშმაკი, რომე-

<sup>12</sup> ხალხური სიბრძნე, III, ელ. ვირსალაძის რედ., 1964, გვ. 245.

<sup>13</sup> ე. ა. რ. ჯე ვ ა ნ ი ძ ე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, 1971, გვ. 176.

<sup>14</sup> ა. ლაზარევი, დასახ. წიგნ., გვ. 82.

<sup>15</sup> ბ. ნიქარაძე, დასახ. კრებ., გვ. 142.

<sup>16</sup> ი. ქ. ვ. ე., გვ. 138.

ლიც დემონოლოგიურ პერსონაჟებს შორის უველაზე უბოროტესადაა დახატული. ზოგიერთი ფოლკლორული ნიმუშის მიხედვით ღმერთს ჰკუთას ასწავლის, მასზე გაცილებით მეტ ცოდნას და მოხერხებას ამჟღავნებს. ლეგენდა „როგორ გაჩნდა ქვეყანაზე მთები და ხეები“ მოგვითხრობს: „ღმერთმა თურმე დედამიწა ცაზე უფრო დიდი გააჩინა. არ მოერგო ცა დედამიწას, ვერ ესარქველებოდა. მაშინ ეშმაკმა ურჩია თურმე ღმერთს: მოუჭირე მიწას შენი ძლიერი მკლავები და ცა ზარფუშვით დაეხურებაო. მართლაც, ღმერთმა დაუჭერა ეშმაკს, მოუჭირა დედამიწას მკლავები... ცა დაესარქველა, მაგრამ მიწა კი შეიზნიქა და აქა-იქ ამოიბურცა გორებად“<sup>17</sup>.

არავის ხეობის მთასა და ბარში, პროზად თუ ლექსად, ფართოდაა გავრცელებული ლეგენდა წყალწისქვილის გამოგონების შესახებ. თითქმის ყველა ვარიანტში უცვლელად მეორდება ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი: ქრისტეს აშენებული წყალწისქვილი ვერ მუშაობს. გამართვა ესაჭიროება. ეშმაკი გარკვეული პირობის ჩამორთმევის შემდეგ ქრისტეს მიეხმარება და წისქვილს აამუშავებს<sup>18</sup>.

ერთი სვანური ლეგენდა კი მოგვითხრობს: სამოელმა „ისე დააბნელა ჯოჯოხეთი, რომ ქრისტემ და მისმა მხლებლებმა ორი თვე ჯოჯოხეთიდან გამოსასვლელ გზას ვერ მიაგნეს. შეწუხდა ქრისტე, მიუბრუნდა თავის მხლებელთ და სთხოვა ყველას, ეგება ვინმემ კარს მიაგნოთო. გამოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც ჯოჯოხეთში შესვლისას თავისი ვირი კარებთან დაება. ეს ვირი პატრონის ხმას ყოველთვის იცნობდა და მის ძახილზე ხმას გამოსცემდა ხოლმე. ამ კაცმა უთხრა ქრისტეს, მე გაგიყვან ჯოჯოხეთიდან, თუ კარგს საჩუქარს მომცემო. ქრისტე თავის წონა ოქროს დაჰპირდა გაყვანის შემდეგ კაცმა თავის ვირს გასძახა, მან ხმა გამოსცა; კაცი ვირის ხმას მიჰყვა, უკან ქრისტე და მისი მხლებელნი მისდევდნენ და ამნაირად ყველანი გამოვიდნენ ჯოჯოხეთიდან“<sup>19</sup>.

ღვთისმეტყველები და ეკლესიოსნები ქადაგებენ, ქრისტე ჯოჯოხეთიდან გვიხსნის და ციურ სასუფეველს დაგვიმკვიდრებსო. აღნიშნული ლეგენდის მიხედვით კი იგივე ქრისტე თვითონ ხვდება ჯოჯოხეთში და სამუდამო სატანჯველიდან მხოლოდ ცხოველის ხმა

<sup>17</sup> ხალხური საუნჯე, III, ელ. ვირსალაძის რედ., გვ. 249.

<sup>18</sup> ს. ბ ე ლ უ კ ა ძ ე, წყლით მბრუნავი წისქვილები არავის ხეობაში, 1960, გვ. 80.

<sup>19</sup> ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 140.



იხსნის. ღმერთის ამაზე უფრო მწვავედ დაცინვა და მისი გაბიაბრუ-  
ება მართლაც რომ ძნელია.

ზემოთ განხილულ ქართულ ლეგენდებს ეხმაურება პოლონუ-  
რი ზღაპარი „ეშმა და უფალი ღმერთი“. აქაც ღმერთი და ეშმაკი  
უპირისპირდებიან ერთმანეთს. ეშმაკი უფრო ძლიერი აღმოჩნდება.  
გავეცნოთ დაწვრილებით. ღმერთი და ეშმაკი ერთად მოგზაურო-  
ბენ. მინდვრად ძროხას დაინახავენ. ღმერთი მიუახლოვდება.  
ძროხა დაფრთხება, ხრამში გადაეშვება და საფლობში ჩავარდება.  
ძროხის პატრონი ლანძღვას მოჰყვება: რა ეშმაკმა ჩაგჩეხა შიგ, შე  
ოხეროო. ეშმაკი ღმერთს უსაყვედურებს: საქონელი ხრამში შენ  
გადაჩეხე და მე კი მაგინებენო. მოვიდა ხალხი, მაგრამ ღმერთის  
დანმარებითაც ვერას გახდნენ, ძროხა საფლობიდან ვერ ამოიყვა-  
ნეს. ბოლოს ისევ ეშმაკმა იმარჯვა, მივიდა და ძროხა საფლობიდან  
დაიხსნა. გაუხარდა ხალხს და ეშმაკს უთხრეს: გიშველა ღმერთმა,  
ღმერთის საქმე გაგვიკეთეო. ეშმაკს გაელიმა და ღმერთს უთხრა:  
შეუენდე ხალხს, უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმონენო<sup>20</sup>.

ანალოგიურ ზღაპარს რუსულ ფოლკლორშიც ვხვდებით<sup>21</sup>.

ღმერთებს, წმინდანებს, მოციქულებსა და წინასწარმეტყვე-  
ლებს ახასიათებთ მრავალი მანკიერება, რომელთა შორის განსაკუთ-  
რებით აღსანიშნავია: ბოროტება, უსამართლობა, სიცრუე, ანგარე-  
ბა. ამ მხრივ საინტერესოა ლეგენდა „პურმარილის მნიშვნელობა  
და მთავარანგელოზების მიქელისა და გაბრიელის უჯიგრობა“. ვა-  
ჰკრის ვაჟი მიდის მევალესთან ფულის გამოსართმევად. იქ დახვდე-  
ბა მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, რომლებიც მისულან,  
მევალეს სული რომ ამოართვან. მიქელი და გაბრიელი ვაჰკრის  
ვაყს ეტყვიან, ჭორწილის ღამეს მოკვდებიო. ჰაბუკი შინ დაღონე-  
ბული დაბრუნდება და გადაწყვეტს: ცოლი აღარასოდეს ითხო-  
ვოს. ბოლოს მშობლები შეუჩნდებიან და ძალით დააქორწინებენ.  
იმ ღამესვე მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები დაადგებიან  
თავს, მაგრამ უცებ გაახსენდებათ, რომ ვაჰკრის ვაჟმა ისინი  
ერთხელ აპურმარილა. ამის გამო სული აღარ ამოართვეს. ეს რომ  
ღმერთმა გაიგო, ძალიან გაბრაზდა და სხვაც რომ აღარ შებრალე-  
ბოდათ, მთავარანგელოზებს გულ-ღვიძლი ამოაცალა. მიქელი და  
გაბრიელი იმ დღიდან უგულოები არიან და სიბრალულის გრძნობა  
აღარ გააჩნიათ<sup>22</sup>.

<sup>20</sup> პოლონური ზღაპრები, 1970, გვ. 196.

<sup>21</sup> ა. ლ ა ზ ა რ ე ვ ი, დასახ. წიგნ., გვ. 24.

<sup>22</sup> ე. ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ძ ე, ანტირებული ბიბლიოგრაფია, 1971, გვ. 141.

ამ ლეგენდიდან სულ მცირე ორი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: 1. ღმერთი ბოროტია და სურს ხელქვეითნიც ბოროტნი და შეუბრალებელნი ჰყავდეს, 2. სანამ ღმერთმა გადაპქრელი ზომები არ მიიღო, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მოსყიდვა სულ ადვილად შეიძლებოდა.

ახლა დავაკვირდეთ ერთ ეტიოლოგიურ ლეგენდას: „ღმერთმა რომ ცოცხალი არსებანი გააჩინა, ყველას დაუწესა: დროდარო შვილები უნდა მომცეთ ხოლმეო! ძერასაც მოსთხოვა შვილი ღმერთმა. ძერებმა სთხოვეს ღმერთს, ოლონდ შვილს ნუ წავგართმევ და არდადეგში წყალს არ დავლეეთო. უსმინა ღმერთმა, შვილი არ წაართვა ძერას, მაგრამ არდადეგში, როცა ყველაზე დიდი სიცხეა, წყალს არ ასმევს. დადიან და დაწივიან ძერები; დაჯღებთან წყლის პირას, უნდათ რომ წყალი დალიონ, მაგრამ ვერა სვამენ“<sup>23</sup>.

ეს პატარა ლეგენდა მთლიანად აქარწყლებს ეკლესიოსნების ქადაგებებს ქრისტეს ჰუმანურობის თაობაზე. აქ ღმერთი ჯადოსნური ზღაპრების სულთამხუთავ ვეშაპს ჰგავს, რომელიც ყოველი სულდგმულისგან დროდარო შვილებს თხოულობს. ღმერთი ამ შემთხვევაში ვეშაპზე უსულგულოცაა, რადგანაც ეს უკანასკნელი წყლისთვის მხოლოდ გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს, ღმერთი კი ძერების მთელ მოდგმას სტანჯავს.

მორწმუნე ადამიანს წყალი ღვთის წყალობად მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ გვალვიანობისას ხელაპყრობილი ლოცულობდნენ და „ქვეყნის შემოქმედს“ გაავდარებდას შესთხოვდნენ. აქედან წარმოსდგა უძველესი წეს-ჩვეულება, რომელსაც ლაზარობა ანუ გონჯაობა ჰქვია. ათეისტურად მოაზროვნე ხალხმა კი ეს წეს-ჩვეულება მახვილსიტყვაობის თემად გაიხადა. „ბრიყვები შეიკრიბნენ და თქვეს: წვიმა რომ არ მოდის, ღმერთთან გავგზავნოთ ვინმე და მოგვეიდოსო“, ასე იწყება ერთი ლეგენდა. მართლაც, შეკრიბეს ასი თუმანი, მისცეს ერთ ჰაბუკს და უთხრეს: მთაზე ადი, იქიდან ღმერთს შესწვდები, ეს ფული გადაეცი და წვიმას გამოგვიგზავნისო. წავიდა ჰაბუკი. გზაზე ბერიკაცი შეხვდა და საქმის ვითარება გააცნო. ბერიკაცმა უთხრა, მე ვარ ღმერთიო. ჰაბუკმა დაუჯერა და ფული მისცა. შინ რომ დაბრუნდა, ცამ პირი მოხსნა, იწვიმა და იწვიმა. ხალხმა ინანა: ასი თუმნის რად ვიყიდეთ, ათისაც იკმარებდაო<sup>24</sup>.

<sup>23</sup> ხალხური სიბრძნე, III, ელ. ვირსალაძის რედ., გვ. 252.

<sup>24</sup> ხალხური სიბრძნე, V, გვ. 422.

რუსულ ლეგენდაში გლეხები წვიმის თაობაზე დელეგაციას იღია წინასწარმეტყველთან გზავნიან. იღია უკვე მიხრწნილი მოხუცია, თანაც ყურს აკლია. როგორც იქნა, გააგებინეს მისელის მიზეზი. წვიმა სად გამოგიგზავნოთო, ჰკითხა ილიამ. სადაც გვალვააო, უპასუხეს. დელეგაცია შინ დაბრუნდა და რას ხედავენ: წვიმა იქ მოდის, სადაც მკაა გაჩაღებული, ხოლო სადაც ნათესი გვალვით იღუპება, ცვარიც არ ვარდება. გლეხები გაბრაზდნენ და ცას მიაფურთხეს: იღია წინასწარმეტყველი მანებელიაო<sup>25</sup>.

მეორე რუსულ ლეგენდაში წვიმის თაობაზე გაგზავნილ დელეგაციას კიდევ უფრო მეტი დაბრკოლება და გაჭირვება შეხედება. ისინი მივლენ ე. წ. „ციურ კანცელარიაში“, სადაც კირილე და მეთოდე გადამწერლებად მუშაობენ, მარია მაგდალინელი კი — მბეჭედავად. ციურ კანცელარიაში სრული არეგ-დარეგვა და უწყესრიგობაა: ღმერთი დაუდევარი და უსულგულო მმართველია, მოციქულები — ლოთები, წმინდანები — ბიუროკრატები. ღმერთმა არ იცის, რას აკეთებენ მისი თანამემწეები. გლეხთა დელეგაცია „ციურ კანცელარიაში“ ხან ერთს მიმართავს, ხან — მეორეს, მაგრამ ვერ არკვევენ, თუ ვისი მიზეზით არ იყო მთელ ზაფხულს წვიმა. ბოლოს წმინდა მეთოდე გლეხთა დელეგაციის განცხადებას ღმერთის ბრძანებით ასეთ რეზოლუციას აწერს: „დარჩეს უშედეგოდ“<sup>26</sup>.

ღმერთი ცრულ და მატყუარადაა გამოყვანილი ლეგენდაში: „ქრისტეს ხუმრობა“. ერთი გლეხი ურმით შეშაზე წავიდა. ტყეში ისე ღრმად შევიდა, გზა ვეღარ გამოიგნო და ღმერთს შეევედრა: ოღონდ აქედან გამიყვანე და შენს სახელზე ცხვარს დაგვკლავო. უცებ ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: მომყევი და გაგიყვანო. იარეს, მთელი დღე იარეს და გლეხმა რომ იფიქრა ტყე ან ახლა დამთავრდება, ან ახლაო, ღმერთი უცებ გაქრა, გზას კი დასასრული არ უჩანდა. თურმე ღმერთმა განგებ დაუბნია გზა და თანდათან ტყის სიღრმეში შეიყვანა. გლეხი ახლაც იქ ზის და ღმერთის გამოჩენას ელოდებაო, ასე პესიმისტურად მთავრდება ეს ლეგენდა<sup>27</sup>.

ღმერთის მატყუარობას გადმოგვცემს აგრეთვე რუსული ზღაპარი „როგორ გაყიდა პეტრემ ვირი“. პეტრე მოციქულს მეტად ზანტი და ჭიუტი ვირი ჰყავდა, თუ არ მოეგუნებებოდა, ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა. პეტრემ ეს ვირი ბაზარში წაიყვანა გასაყიდად. რადგან მუშტრებს მართალს ეუბნებოდა, ვერ იქნა და ვირი ვერ გაყიდა. ბოლოს ღმერთს შესთხოვა: მირჩიე, როგორ მოვიქცეო.

<sup>25</sup> ა. ლ ა ზ ა რ ე ვ ი, დასახ. წიგნ., გვ. 26.

<sup>26</sup> ი ქ ვ ე, გვ. 86.

ფ. არქ. კ. 165, გვ. 29

იცრუე. ვირი შეაქე და გაყიდო, უთხრა ღმერთმა. პეტრემ ღმერთს დაუჯერა და ვირი კარგ ფასში გაყიდა<sup>28</sup>.

ღმერთის თავაშეებულება ზოგჯერ ყოველგვარ საზღვარს აჭარბებს. ერთ ზღაპარში ასეთი ეპიზოდია ჩართული: „უფალი ქორწილს შეესწრო. მიაწოდეს სასმისი. უფალმა სადღეგრძელო თქვა და მერე უცებ განაცხადა: ეს პატარა დამიტოვეთ და თქვენ აქედან წადითო. მაყრებმა თავში ჩაარტყეს: შენ რას ბოდავ, თუ რცით“<sup>29</sup>.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ანდაზები: „ღმერთიც მატყუარაა — ერთს ართმევს, მეორეს აძლევს“, „ღმერთი გულს კი არა, ფულს უყურებს“, „ღვთის იმედით ხელცარიელი დარჩები“, „ღმერთო მიშველე! საქმეს არ შეველის“, „სადაც შიშია, ღმერთიც იქვეა“, „იწრონე და ღმერთიც არ დაგპირდება“ და სხვა.

რელიგიური ბანგისგან ადამიანის გამოფხიზლება ერთბაშად შეუძლებელია. ხალხი ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრების პროგრესს და რამდენადაც უფრო უმტკიცდება საკუთარი ძალების რწმენა, იმდენად აეჭვებს ღმერთის უძლევლობა. ბოლოს კი ეს დაეჭვება ზებუნებრივ ძალთა უარყოფამდე მიდის. ა. ლაზარევი ეხება რა ამ საკითხს, მართებულად შენიშნავს: „ღმერთის უარყოფა განსაკუთრებით გაძლიერდა, როცა რელიგიასთან მიდიოდნენ არა როგორც „ფილოსოფიური“ პოზიციიდან, არამედ კლასობრივი ინტერესებიდან, „რა მისცა ღმერთმა ხალხს?“ და რადგან ღმერთმა არაფერი მისცა, დამოკიდებულებაც მისადმი იყო შესატყვისი: „როგორიც ღმერთია, ისეთი სანთელი მას“<sup>30</sup>!

ამ დებულების დასასაბუთებლად მრავალი ფოლკლორული ნიმუშის მოტანა შეგვიძლია. მაგალითად, ერთი გადმოცემა ასეთია: გლენს ვირი ჰყავდა, რომლითაც ოჯახს ინახავდა. ერთ დამეს ეს ვირი დაეკარგა. ბევრი ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. თვალცრემლიანს მაზრის უფროსი შეხვდა და ჰკითხა: რა გატირებსო. ვირი დავკარგეო, მიუგო დაღონებულმა. მაზრის უფროსმა ანუგეშა: ნუ გეშინია, ღმერთი მოგცემსო. თუ თხუთმეტი მანეთი არ ვიშოვე, ღმერთი ისე არაფერს მომცემსო, უპასუხა გლენსმა<sup>31</sup>.

ერთ ზღაპარში ვკითხულობთ: მკედელს, რომელსაც სიმონი ჰქვია, შეხვდება ქრისტე. სიმონ, რას მთხოვ, რა მოგცეო, ჰკითხავს

<sup>28</sup> Народ о религии, Москва, 1961, стр. 15.

<sup>29</sup> ფ. არქ. ქ. 74, გვ. 97.

<sup>30</sup> ა. ლ ა ზ ა რ ე ვ ი, დასახ. წიგ., გვ. 81.

<sup>31</sup> ხალხური სიბრძნე, V, გვ. 417.

ქრისტე. მკედელი შემოუძახებს: „შე ოხერო, შენთვის რა გაქვს, მე რომ მომცეო“<sup>32</sup>.

რაც შეეხება წმინდა გიორგის, მისი ავტორიტეტი ქრისტიანულ კულტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო იყო, თუმცა ხალხმა არც იგი დატოვა გაუკილავი. პ. უმიკაშვილის ჩაწერილ ზღაპარში ასეთი ეპიზოდია: „ერთ კაცს ნათლია უნდოდა შეილისათვის და თქვა, სწორე, მართალი კაცი უნდა ნათლიადო. შემოხვდა ერთი კაცი და უთხრა: ნათლიად დაგიდგებიო. შეილის პატრონმა უთხრა, მითხარი, რა კაცი ხარო. იმან უთხრა, წმინდა გიორგი ვარო. შეილის პატრონმა უარი უთხრა, მე სწორე კაცი მინდოდაო. ეს წმინდა გიორგი ზოგს ცხვარსა სთხოვს სამღვთოთაო, ზოგს ძროხასაო, ზოგს რას და ზოგს რასაო“.

გლეხმა წმინდა გიორგი შეილის ნათლიად რომ დაიწუნა, ეს კიდევ არაფერი. მან უპირატესობა მიქელ მთავარანგელოზს მიაკუთვნა და თავისი მოსაზრება ასე დაასაბუთა: დიდს და პატარას არ არჩევს, ხელმწიფესა და გლეხს სულს ერთნაირად ართმევსო<sup>33</sup>.

ახლა მეორე ზღაპარს მოვუსმინოთ: „იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, მოუსვენარი, ყაჩაღი, მატყუარა. დედამ უთხრა: შეილო, ოღონდ ნუ იყაჩაღებ და სულ მე გარჩენ, ხელს ნუ გაანძრევ! არა, დედი, განა ჩემი ნებით ვყაჩაღობ? ზევით რომ წმინდა გიორგია, იმის ნებით ვყაჩაღობ, ის მიბრძანებს“<sup>34</sup>.

წმინდა გიორგის ზოგჯერ კიდევ დასცინიან:

— წმინდა გიორგის კი სჯო ბა,  
აქ რომ ქალმ ჩამაი არა.  
— მაშ მაგან მოგცას წყალობა,  
წმინდა გიორგიმ კი არა<sup>35</sup>.

ანდა:

წმინდა გიორგი ცხენზე ზის,  
ცხენი კლდის პირას გოგდება,  
ცხენს ფეხი გადა უცდება,  
გადავარდება, მოკვდება,  
წმინდა გიორგის თვალეზზე  
ცრემლის მძივები მოღვება<sup>36</sup>.

<sup>32</sup> ალ. ლლოტი, ქართული ზღაპრები და ლეგენდები, 1948, გვ. 267.

<sup>33</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, 1964, გვ. 41.

<sup>34</sup> ქართული ხალხური ნოველები, ალ. ლლონტის რედ., 1956, გვ. 155.

<sup>35</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 129.

<sup>36</sup> ფ. არქ. კ. 165, გვ. 87.

წმინდა გიორგისადმი ხალხის დამოკიდებულება კარგად ჩანს გადმოცემაში „ხატების ვაჟარი“. ერთი კაცი ქრისტეს და მისი მოციქულების ხატებს ყიდდა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მხოლოდ ერთი მუშტარი გამოუჩნდა და მანაც წმინდა გიორგის ხატი მოისურვა. ვაჟარმა პეტრეს ხატი მიაწოდა. მუშტარმა დახედა და უკანვე დაუბრუნა: წმინდა გიორგი ცხენზე ზის, ეს კი ვილაც სხვააო. ვაჟარმა შემოუძახა: ქურში ხომ არ იჯექი, ვერ გაიგე, წმინდა გიორგის ცხენი რომ მოუკვდაო?<sup>37</sup>

ანალოგიური გადმოცემა უკრაინელებსაც ჰქონიათ, ოღონდ იქ ხატებს ვაჟარი კი არ ყიდის, არამედ მხატვარი. განსხვავებულია დასასრულიც: ქართული გადმოცემის მიხედვით მუშტარი პეტრეს ხატს არ იყიდის. უკრაინული გადმოცემით კი დედაბერი მოტყუვდება და წმინდა გიორგის ხატის ნაცვლად ვილაც პანტელიმონის სურათს შეიძენს<sup>38</sup>.

რადგან საუბარი წმინდა გიორგის ხატზე ჩამოვარდა, გვინდა აქვე ორიოდ სიტყვა ვთქვათ საერთოდ ხატის შესახებ. ხატი ქრისტიანული კულტმსახურების ერთ-ერთი მუდმივი და აუცილებელი ატრიბუტია, რომელიც პირველყოფილი რელიგიების, კერძოდ, ფეტიშიზმის გადმონაშთს წარმოადგენს<sup>39</sup>. „ტერმინი „ფეტიშიზმი“ ქვის, მცენარის, ცხოველის კულტებისა და პერსონიფიციკრებული ღვთაების პირველ გამოხატულებათა მიმართ მშვენივრად გადმოგვცემს რელიგიური განსხვავების პროცესს, ადამიანთა შორის რომ ხდება სოციალურ განსხვავებასთან ერთად“<sup>40</sup>.

რელიგიური ბანგით დაბინდული გონება ღვთაებათა სურათებს ანუ ხატებს სასწაულთმოქმედად თვლიდა, რომლებსაც თითქოს სიკეთის მოტანაც შეეძლო და ბოროტებისაც, ღმერთმსახურები და ეკლესიოსნები ხატებს თავიანთი მრევლის მოსატყუებლად და დასაბეჩავებლად იყენებდნენ.

საღად მოაზროვნე ადამიანებმა ხმა აღიმალღეს როგორც რელიგიური წეს-ჩვეულებების, ისე ხატების წინააღმდეგ. ფოლკლორში ხატების უარყოფის შემთხვევებიც აისახა. მაგალითად, „ხატილეწია გიორგი“ ასეთ ამბავს გადმოგვცემს: ჭზაზე გლეხი და დიაკონი მიდიან. პირველს ფქვილით სავესე ხურჯინი ჰკილია, მეორეს კი მიქელ-ვაბრიელის ხატი მიაქვს და მიდის არხეინად. წინ

<sup>37</sup> ფ. არქ. კ. 165, გვ. 65.

<sup>38</sup> Народ о религии, Москва, 1961, გვ. 23.

<sup>39</sup> ო. გა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, დ. გ ე გ ე შ ი ძ ე, რელიგიური რწმენა და მეცნიერული ცოდნა, 1969, გვ. 46.

<sup>40</sup> ა. ლ თ ნ ი ნ ი, ადამიანები, კერპები და ღმერთები, 1965, გვ. 71.

შემოხვედებით ხატილენია გიორგი, რომელსაც ხელში სასხლავი უქირავს. გიორგი დიაკონს უსაყვედურებს: ცოდვაა ეს კაცი, ამხელა ხურჯინი ჰკიდა, შენ კი მიშველებას არც აპირებო. მე ტვირთი არ შეკადრება, დიაკონი ვარ და ხატს დავაბრძანებო. ერთი მანახვე რა ხატიაო, უთხრა გიორგიმ. მიქელ-გაბრიელიაო, უპასუხა დიაკონმა და ხატი მიაწოდა. გიორგიმ ხატს სასხლავი დაჰკრა, შუაზე გაჩეხა, მერე დიაკონს მისცა და უთხრა: ეს მიქელა შენა, გაბრიელა შენს ამხანაგს, ხურჯინი კი ხან ერთმა ატარეთ, ხან მეორემოა<sup>41</sup>.

ხატი კიდევ უფრო გამასხრებულია მეორე გადმოცემაში. ერთი ღარიბი კაცი იპოვის ხატს და უბეში ჩაიდებს. შემოხვედება მდიდარი, რომელიც მას მუდამ მტრობს და ავიწროებს. ღარიბი ხატს სთხოვს: მდიდარს კისერი მოუგრიხოს. ხატი ეტყვის: მაგისი მეშინიაო. ღარიბი გზას განაგრძობს და აწლა საოცრად დაბეჩავებული და დაგლახებული მგზავრი შემოხვედება. აი, ამას მოუუგრებს კისერსო, ეტყვის ხატი ღარიბს. მაგას ხომ მეც მოვერევიო, შესძახებს ღარიბი და ხატს ლაფში გადაადგებს<sup>42</sup>.

მიზანდასახულებითა და კრიტიკული პათოსით ამ ქართულ გადმოცემებს ეხმაურება ბელორუსული თქმულება „ბერიკაცი და ნიკალა წმინდანი“. ბერიკაცი შევიდა ეკლესიაში, იყიდა სასანთელი და დაიწყო ფიქრი: ვის ავუნთოო. რომელი ხატიც მეტ სარგებლობას მოუტანდა, სასანთელი მხოლოდ მისთვის ემეტებოდა. დაიწყო ხატების თვალიერება, სასანთელი კი ჯიბეში ჩაიდო. ბოლოს როგორც იქნა გადაწყვიტა: ნიკალა წმინდანს ავუნთებო. ხელი ჯიბეში ჩაიყუო, მაგრამ სასანთელი აღარ აღმოჩნდა. ბერიკაცი გაბრაზდა და ნიკალა წმინდანის ხატს მიაფურთხა: შენს ყურებაში სასანთელი დავკარგე, შე ძველო ეშმაკო<sup>43</sup>.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ფშავეური ლექსის სტრიქონები:

ფშაველა ლაშარის ჯვარი  
ნეტარ არ დაუბერდო?  
ამბობენ დაბერებული,  
ნეტარ არ მოუკვდებო?

ვაჟა-ფშაველა განიხილავდა რა ამ ლექსს, აღნიშნავდა: ფშაველს ემძიმება ხატის სამსახური და ლაშარის ჯვარის სიკვდილს ამიტომ ნატრობსო<sup>44</sup>.

<sup>41</sup> ხალხური სიბრძნე, V, გვ. 420.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> Народ о религии, 1961, стр. 38.

<sup>44</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, 1956, გვ. 97.

ზებუნებრივ ძალთა რწმენის განსამტკიცებლად და დასაკანონებლად ყველა რელიგია უდიდეს ყურადღებას აქცევს კულტმსახურებას. ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი არსებობის პირველივე საუკუნეებში შექმნა მძლავრი საეკლესიო აპარატი, ღმერთმსახურებას მტკიცედ დაკანონებულ წესებისა და დოგმების საფუძველზე რომ ასრულებდა. ხალხს უკიდურესად სძულდა კულტმსახურები და ხშირად ამ სიძულვილს პოეტურად გამოთქვამდნენ და თაობიდან თაობებს გადასცემდნენ. ასე მოაღწია ჩვენამდე მრავალმა ფოლკლორულმა ნიმუშმა, რომლებშიც ოსტატურადაა მხილებული სასულიერო პირთა ავკაცობა და ზნედაცემულობა. ამ საკითხზე სხვა დროს ვისაუბრებთ.

ჩვენი მიზანია, ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით განვიხილოთ ხალხური ლეგენდები, რომლებშიც ნათლად ჩანს როგორც ქრისტიანული, ისე პოლითეისტური რწმენებისა და წარმოდგენების კვალი.

ლეგენდები თემატიკის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ამ ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ სამი ჯგუფი: კოსმოგონიური, აპოკრიფული და წარღვნის ლეგენდები.



კოსმოგონიური ლებენდები

სამყაროს წარმოშობა და დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვა ისეთი საკითხებია, ადამიანის გონებას ყოველთვის რომ იზიდავდა. ამ საკითხებს კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირად ხსნიდნენ. „მეცნიერება სიცოცხლის შესახებ — ბიოლოგია — მუდამ წარმოადგენდა ორ შეურავიებელ ბანაკთა — მატერიალიზმისა და იდეალიზმის — ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად პლაცდარმს“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ძირითადი საკითხია, რა დამოკიდებულებაა ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის, სულსა და ბუნებას შორის. „ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ იმისდა მიხედვით, თუ როგორ უპასუხებდნენ ისინი ამ საკითხს. ვინც აღიარებდა, რომ სული ბუნებაზე აღრე არსებობდა და, მაშასადამე, ასე თუ ისე ქვეყნის შექმნას სცნობდა, მათ იდეალიზმის ბანაკი შეადგინეს. სხვები კი, ვინც ბუნების პირველადობას აღიარებდნენ, მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლას მიემხრნენ“<sup>2</sup>.

გარდა იმ სწავლულებისა და ფილოსოფოსებისა, რომლებიც ყოფიერებისა და ცნობიერების საკითხს არკვევდნენ, იყვნენ უბრალო ადამიანები, სამყაროს საიდუმლოების ახსნას უხსოვარი დროიდან რომ ცდილობდნენ. ასე შეიქმნა ხალხური კოსმოგონიური ლეგენდები, რომლებშიც შეიძლება ორი ძირითადი საკითხი გამოიყოს: 1. სამყაროს წარმოშობა და პირველ ადამიანთა გაჩენა, 2. პირველი ადამიანების შეცოდება და მათი დასჯა.

სამყაროს წარმოშობა და პირველ ადამიანთა გაჩენა

მონოთეისტური რწმენის მიმდევარ ხალხებს სამყაროს წარმოშობა საუკუნეთა მანძილზე ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, როგორც ეს ბიბლიაშია მოთხრობილი. ზოგჯერ „ქვეყნის შექმნის“ ზუსტ

<sup>1</sup> ა. ი. ოპარინი, სიცოცხლის წარმოშობა, 1949, გვ. 111.

<sup>2</sup> ფრ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახის და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწერ., ტ. II, 1964, გვ. 452.

თარიღსაც კი განსაზღვრავდნენ და თავიანთ ვარაუდს უცილობელი კეშმარიტების ძალას ანიჭებდნენ. მაგალითად, ირლანდიელმა არქი-ეპისკოპოსომ უშერმა 1654 წელს განაცხადა, „საღვთო წერილის“ ყურადღებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა 4004 წელს ჩვენს ერამდეო. შემდეგ ამ თარიღს ბიბლიის ყოველ გამოცემაში აღნიშნავდნენ და ვინც საექვოდ მიიჩნევდა, ერეტიკოსად აცხადებდნენ. გამოხდა ხანი და უშერის დათარიღება კიდევ უფრო დააზუსტა ეპისკოპოსმა ლაიტფუტმა, რომლის აზრითაც სამყარო შეიქმნა 4004 წლის 23 ოქტომბერს, დილის ცხრა საათზე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე)<sup>3</sup>.

ასეთი კურიოზული ამბები რელიგიური ფანტიზმით დაბინდული შუა საუკუნეებისათვის არაა გასაკვირი. საქმე ისაა, რომ დიდი მეცნიერული აღმოჩენებისა და გადატრიალების ეპოქაშიც კი ბიბლია ითვლებოდა ერთადერთ ავტორიტეტულ მეცნიერებად სამყაროსა და სივოცხლის წარმოშობის შესახებ. დარვინმა 1859 წელს „სახეთა წარმოშობა“ რომ გამოაქვეყნა, ამან დიდი აურზაური გამოიწვია. ევოლუციურ თეორიას წინ აღუდგნენ არა მარტო ბიბლიის თაყვანისმცემელი, არამედ ზოგიერთი სამეცნიერო წრეც<sup>4</sup>.

კიდევ უფრო საოცარი ისაა, რომ სამყაროს შექმნისა და ადამიანის გაჩენის ბიბლიური ლეგენდა ზოგს ახლაც წყალგაუვალ კეშმარიტებად მიაჩნია<sup>5</sup>.

ბიბლიაში ისე მიმზიდველადაა აღწერილი სამყაროს შექმნა, პირველი ადამიანების გაჩენა, სამოთხის სიღიადე და ცნობადი ხის იღუმალება, რომ მორწმუნე კაცის გონება ადვილად იხიბლება და რელიგიური ექსტაზით იბნიდება.

„ქვეყნის შექმნის“ ქართულ ლეგენდას ბიბლიურს უწოდებენ. ნასესხობა მართლაც იმდენად თვალნათლივ ჩანს, შეუძლებელია საწინააღმდეგო მოსაზრების დასაბუთება, თუმცა ზოგიერთი კორექტივის შეტანა მაინც აუცილებელია. ისმის რამდენიმე კითხვა: 1. სანამ ბიბლიას გაეცნობოდნენ და ქრისტიანულ დოგმებს ეზიარებოდნენ, ჩვენს წინაპრებს სამყაროს საიდუმლოებებზე არ უფიქრიათ, თავიანთი შეხედულებანი არ ჰქონიათ ქვეყნისა და ადამიანის წარმოშობაზე? 2. თუ თავიანთი შეხედულებანი ჰქონდათ, ხომ არ შეგვიძლია დღეს ამის დამამტკიცებელი რაიმე კვალი მოვნახოთ?

<sup>3</sup> З. Косидовский, Библейские сказания, 1968, стр. 29.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 31.

3. „ქვეყნის შექმნის“ ქართული ლეგენდა ზუსტად ბიბლიურ ამბავს იმეორებს, თუ შეაქვს რაიმე ცვლილებანი?

ამ კითხვებს მოგვიანებით ვუპასუხებთ. ახლა კი გავარკვიოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ბიბლია მთლიანად იუდეველ ქურუმთა ორიგინალური შემოქმედებაა, თუ იგი რაიმე წინამძღვრებს ემყარება?

არქეოლოგთა მიერ ლურსმული დაწერილობის აღმოჩენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბიბლია არ წარმოადგენს ებრაელთა ორიგინალურ შემოქმედებას, რომელიც თითქოს ღვთის შთაგონებითაა შექმნილი. უცილობელი ფაქტებით დასტურდება, რომ ამ ცნობილ ძეგლს მესოპოტამიურ ტრადიციებში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და მთელი რიგი ეპიზოდები უმეგრული მითებისა და ლეგენდების გადაშუშავებას წარმოადგენს.

გამოჩენილმა არქეოლოგმა ჯორჯ სმიტმა ლურსმულ ფირფიტაზე ამოიკითხა მთელი ბაბილონური პოემა სამყაროს შექმნაზე, ცნობილი შემდეგი სათაურით „ენუმა ელიშ“, რომლის მოკლე შინაარსიც ასეთია: თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ წყალი და მეფობდა ქაოსი. საშინელი ქაოსიდან გაჩნდნენ პირველი ღმერთები. რამდენიმე საუკუნის გავლის შემდეგ ღმერთთა ერთმა ნაწილმა სამყაროში წესრიგის დამყარება გადაწყვიტა, რამაც აღაშფოთა ღმერთი აბზუ და მისი ცოლი ტიამატა—ქაოსის საზარელი ღმერთქალი. განდგომილნი გაერთიანდნენ ბრძენი ღმერთის ეას ხელმძღვანელობით და მოკლეს აბზუ. ტიამატმა, რომელსაც დრაკონის გამოსახულება ჰქონდა, გადაწყვიტა ქმრის სისხლის აღება და მოწინააღმდეგეთათვის სამაგიეროს გადახდა. მაგრამ ღმერთები მარდუკის მეთაურობით მტკიცედ შეებრძოლნენ ტიამატს, გაცხარებულ ბრძოლაში მოკლეს და მისი უზარმაზარი სხეული ორად გაქრეს, რომლის ერთი ნაწილიც მიწად იქცა, მეორე კი — ზეცად. ხოლო აბზუს სისხლით თიხა აზილეს და იმ თიხიდან პირველი ადამიანი გააჩინეს<sup>6</sup>.

ქართული ლეგენდის ლექსითი ვარიანტების მიხედვით, ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნის მოტივი ბიბლიურ ლეგენდას ემთხვევა. თითქმის ყველგან ღმერთთა აქტიური ძალა, რომელიც სამყაროს ქმნის:

ღმერთო, შენი დაილოცოს სასწორო და სამართალი,  
გააჩინე ცა, ქვეყანა, ზედ ვამართე მთა და ბარი<sup>7</sup>.

ბიბლიის მიხედვით, ქვეყნის და ადამიანის შემქმნელს საკუ-

<sup>6</sup> ზ. კოსილოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

<sup>7</sup> ე. ბაგნოვი, თხზ., ტ. X, გვ. 238.

თავი სახელი არა აქვს, ზოგადად ღმერთად იწოდება. ქართული ლეკენდის ზოგიერთ ვარიანტში კი ერთგვარ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე. სამყაროს შემქმნელად იესო ქრისტე იხსენიება.

ქვირობდა იესო ქრისტე, თვითონ ი ჩვენი გამჩენი;  
ძირიდან მიწა ვილო, მიწა იყო ყვილის ფერი.  
ამას სული ჩეუბერა,—ადა დაგღვა კაცის ფერი<sup>8</sup>.

ზოგიერთ ვარიანტში კი სამყაროს შემქმნელად ღვთისმშობელია გამოყვანილი:

ყოვლად წმინდა ღვთისმშობელმან ქვეყნის შენება ინება,  
ცაა უბოძა ღრუბელი, წვიმისა ჩამო დინება,  
ღეღამიწასა ბაღახი, ქვევილამ ამოღინება<sup>9</sup>.

ღმერთია ღემიურგი, სამყაროს შემოქმედი ზოგიერთი პროზაული ვარიანტის მიხედვითაც. „ღმერთმა შექმნა ღეღამიწა, ხეები და ყველაფერი ის, რაც კი ქვეყნად არსებობს“, მოგვითხრობს ი. ქობალიას მიერ 1903 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ვარიანტი<sup>10</sup>.

რაკუელი ვარიანტი პირდაპირ ადამიანის გაჩენით იწყება: „უფალმა მოზილა თიხა, სული ჩაბერა და გააჩინა ადამიანი. მას დაარქვა ადამი“<sup>11</sup>.

ბიბლიისგან განსხვავებით, ზოგ ქართულ ვარიანტში ღმერთის აქტივობა არ ჩანს, ან ნაკლებად ჩანს.

უწინ იყო ზღვა, ქვეყანა, გადაშრა და დარჩა ხმელი,  
შაშინ კაცი არსად იყო ქვეყნიერად განაჩენი<sup>12</sup>.

ზღვა და ქვეყანა იყო, მაგრამ საიდან იყო, ვინ შექმნა, ამის თაობაზე ლექსი არაფერს ამბობს.

ასლა იმერულ ვარიანტს მოვეუსმინოთ: „ადამის უამს იქით სიცოცხლე არ იყო, სიკვდილი დაძრწოდა ცივ და გაყინულ ატემა-რეზე. ეძინა ღეღამიწას სალათას ძილით. კმარა სიკვდილი და ძილით, თქვა ღმერთმა, მერე შეაზანზარა მიწის გული და ქვესკნელი ვულკანებად ამოხეთქა. სიცოცხლის ძალა ზევით ამოიღვარა, ღეღამიწის გულში უხსოვარი დროიდან რომ გაყუჩებულყო. სიცოცხლის გაჩენით გახარებულმა ღმერთმა სიხარულის ცრემლები დაღვარა და დალოცა ზღვებისა და ოკეანეების დაბადება“<sup>13</sup>.

<sup>8</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 137.

<sup>9</sup> ი. ქ ვ ე, გვ. 207.

<sup>10</sup> И. К о б а л и я, Сотворение Богом мира, СМОНПК, 1903. № 32, III, стр. 89.

<sup>11</sup> გადმოგვცა სპ. რეხიაშვილმა.

<sup>12</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. კრებული, გვ. 137.

<sup>13</sup> ფოლკლ. არქ. ი. <sup>21</sup>, გვ. 24.

ესე იგი დედამიწა უკვე შექმნილი იყო, როცა ღმერთი სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა და სიკვდილს სიცოცხლე დაუპირისპირა.

ღმერთის შემოქმედი ხელი ნაკლებად იგრძნობა აგრეთვე 1905 წელს გამოქვეყნებულ „მთის ლეგენდაში“, რომელიც ასე იწყება: „როგორც მკვდარი მატლიდან ცოცხალი პეპელა ჩნდება, ასე გაჩნდა უფორმო ქაოსიდან საკვირველი და მშვენიერი სამყარო“<sup>14</sup>.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ლეგენდის სვანური და ქართლური ვარიანტები, რომლებიც შუმერულ ლეგენდას უფრო ეხმაურებიან, ვიდრე ბიბლიურს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუმერული ლეგენდის მიხედვით სამყაროს პირველსაწყისი წყალია, საიდანაც ჩნდებიან ღმერთები, შემდეგ კი ეს უკანასკნელნი ცას და დედამიწას გააჩენენ. სვანურ ვარიანტშიც „უწინარეს ყოვლისა ქვეყნიერება წყლით იყო მოცული.“ ღმერთი კი თავდაპირველად ისე მოისუსტებდა, კინაღამ წყალში დაიხრჩო<sup>15</sup>.

ქართლური ვარიანტი მოგვითხრობს: „ეს ქვეყნიერობა პირველიდან ისეთი კი არ იყო, ახლა რომ არის. სადაც გაიხედავდი; წყლის მეტს ვერაფერს დაინახავდი. წყალი იყო და მერე როგორა: წყნარ ამინდში რომ დგას და ოდნავადაც არ ინძრევა, ასე იყო ქვეყნიერება გაყუჩებული. ჰოდა, უცებ ერთ ადგილას შეირბა წყალი და თავი ამოყო ღმერთმა, დაილოცოს მისი სახელი!“<sup>16</sup>

ამ ვარიანტებს რომ გავეცანით, სტიქიური მატერიალიზმის ფუძემდებელი, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი თალეს მიღეთელი და მისი სკოლა გაგვახსენდა. როგორც ცნობილია, თალესი, ანაქსიმენი, ანაქსიმანდრე და ჰერაკლიტე აღიარებდნენ ერთიან, მუდამ მოძრავ მატერიალური საწყისის არსებობას. მიღეთის სკოლის შესახებ ფრ. ენგელსი ამბობდა: „აქ ჩვენს წინაშე უკვე მთლიანად არის წარმოდგენილი თავდაპირველი სტიქიური მატერიალიზმი, რომელსაც თავისი განვითარების დასაწყისში ერთიანობა ბუნების მოვლენათა უსასრულო მრავალფეროვნებაში სრულად ბუნებრივად მიაჩნია როგორც თავისთავად გასაგები რამ და მას გარკვეულად სხეულებრივ, კერძო რაღაცაში ეძებს, როგორც თალესი— წყალში“<sup>17</sup>.

<sup>14</sup> «Кавказ», 1905, № 99.

<sup>15</sup> ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. 1962, გვ. 138.

<sup>16</sup> ფოლკლ. არქ. კვ., გვ. 33.

<sup>17</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 191.

რა თქვა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ ქრისტიანული რწმენის ამსახველ ლეგენდაში თალეს მიღეთელის სტიქიურ-დიალექტიკური შეხედულებანი ვეძიოთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ზემოთ ხსენებულ ქართულ ლეგენდებში გულუბრყვილო მატერიალიზმის ერთგვარი გამოძახილი მაინც შეიმჩნევა, რაც ქვეყნის შექმნის ბიბლიურ ამბავს სულაც არ გააჩნია.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ ქართული ლეგენდის ზოგიერთ ვარიანტში პოლითეისტური რწმენის კვალიც ჩანს: შემოქმედ ღმერთს მარტოდმარტო არ ძალუძს ქვეყნის შექმნა და სხვათა გადამწყვეტ დახმარებას საჭიროებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სევანური ლეგენდა, რომლის მიხედვითაც სამყაროს მოწესრიგებაში მონაწილეობას იღებენ: ღმერთი, სამოელი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. სამოელს თითქმის ღმერთზე მეტი დამსახურებაც კი მიუძღვის. აღსანიშნავია, რომ სამოელის უპირატესობაში მთავარანგელოზებიც არიან დარწმუნებულნი და გაჭირვების უამს უკანასკნელ იმედად მიიჩნევენ.

გავისხენოთ შემერული ლეგენდა. სამყაროს იქაც ღმერთთა მთელი რაზმი აწესრიგებს, რომელთა შორის ბრძენ ეას მოწინავე ადგილი უჭირავს.

როგორც აღვნიშნეთ, სამოელი გაცილებით ძლიერი და მოქმედი, ვიდრე ღმერთი. ეს უკანასკნელი ზოგჯერ საკმაოდ უნდილად, უფხოდ და კეუნანკლებად გამოიყურება. სევანური ლეგენდის ერთ ვარიანტში ასეთი ეპიზოდი გვხვდება: ღმერთი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები გზაზე მიაბიჯებდნენ. მათ წინ მრგვალი ქვა მიგორავდა. ღმერთმა თქვა: მოდი, გავტეხოთ ეს ქვაო. ანგელოზებმა დაუშალეს, ნუ გატეხავთ, თორემ ბოლოს ვინანებთო. ღმერთმა არ დაიშალა, ჰკრა ქვას ფეხი და შუაზე გახეთქა. ქვიდან სამოელი გამოვარდა, ღმერთს ყელში ეცა და მანამდე არ ჩამოეხსნა, სანამ „საუკუნო სოფელი არ ჩამოართვა.“ ღმერთი ვერც მისვდა თავის დანაშაულს, სანამ ანგელოზებმა არ უთხრეს: ცუდი საქმე მოვიმოქმედეთ, ამიერიდან ყოველი კაცის სული მაგის ხელში იქნება. რასაც მიცვალებულს უკურთხებენ, ყველა სამოელს მიუვა და რაკი ეს ადამიანებსაც ეცოდინებათ, ჩვენ ვინლა განგვადიდებსო!<sup>18</sup>

ღვთაებათა სისუსტე-ძლიერება, მათი უფროს-უმცროსობა სპეციალური კვლევის საგნად გაიხადა აკად. ი. ჭავჭავაძის მიერ<sup>19</sup>. იმის გასარკვევად, თუ როგორ ეხატებოდა ჩვენს ხალხს უზენაესი ღვთა-

<sup>18</sup> ბ. ნიქარაძე, დასახ. კრებ., გვ. 142.

<sup>19</sup> ი. ჭავჭავაძის მიერ, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 41.

ება, დიდმა ისტორიკოსმა უპირველეს რიგში განიხილა ლეგენდა „იესო ქრისტესი, ელია წინასწარმეტყველისა და წმინდა გიორგის შესახებ“ და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „თუმცა ჩვეულებრივ საქრისტიანო მოძღვრებისდა მიხედვით ამ სამ პირთა შორის ყველაზე მალა ღმერთი-შემოქმედი უნდა იღვეს, მერე ელია წინასწარმეტყველი, შემდეგ კიდევ წმინდა გიორგი, მაგრამ ამ ხალხურ თქმულე-ბაში უფროს-უმცროსობა სულ სხეანაირად არის დასურათებული; ღმერთი-შემოქმედი ისეთ შესაბრალის მდგომარეობაშია, რომ მეცხვარისაგან ერთი ბატკანიც კი ვერ მიუღია სადილად“<sup>20</sup>.

ი. ჯავახიშვილი განიხილავს რა რამდენიმე ანალოგიურ ლეგენდას, ბოლოს დასძენს: ღვთაებათა უმთავრესი ადგილი წმინდა გიორგის უკავია, მეორე ადგილი — შემოქმედ ღმერთს, ხოლო მესამე — ელიასო<sup>21</sup>. მკვლევარი წმინდა გიორგის უზენაესობასა და უფროსობას შემდეგნაირად ხსნის: „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“<sup>22</sup>.

ისმის კითხვა: შემოქმედი ღმერთისა და სამოელის კონფლიქტშიც ხომ არ იმალება წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლათა რაიმე კვალი? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ჯერ გავარყვიოთ ვინ იყო სამოელი, რატომაა, რომ იგი მხოლოდ სვანური ლეგენდის ვარიანტებში გვხვდება?

სამოელი ანუ სამუილი, როგორც ბიბლიაში იხსენიება, იყო ებრაელთა დიდი წინასწარმეტყველი და ქურუმი მოსეს შემდეგ. მის დროს ქურუმთა ზედაფენამ ისეთი პოლიტიკური გავლენა მოიპოვა, რომ მეფის კანდიდატურის შერჩევა მას მიენდო. სამოელს უნდოდა, მომავალი მეფე მისი ხელქვეითი ყოფილიყო და სახელმწიფოს მართვაში გადამწყვეტი ხმა ჰქონოდა. ამიტომ კანდიდატურა უბრალო ოჯახიდან შეარჩია. იგი სასტიკად მოტყუვდა. ხათრიანი და მორიდებული ყმაწვილი, რომელსაც საული ერქვა, სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ სრულიად გამოიცივალა. იგი ბრწყინვალე მხედართმთავარი და ენერგიული მეფე გამოდგა, რომელიც ქურუმებისაგან დამოუკიდებლად მართავდა ისრაელს. ამ წინადაგზე ჩამოვარდა მტრობა სამოელსა და საულს შორის. სამოელმა ფარული კავშირი გააბა დავითთან და ხელი შეუწყო მის გამეფებას. სამოელი ხანდაზმული გარდაიცვალა და დიდი მწუხარებით დაიტირეს<sup>23</sup>.

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 43.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>23</sup> ზ. კოსილოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 285.

ასეთია სამოელის ვინაობა. კი მაგრამ ამგვარი თავგადასავლის მქონე ებრაელი ქურუმი როგორ გაჩნდა სვანურ ლეგენდაში „ქვეყნის შექმნის“ მონაწილედ, ზოგ შემთხვევაში კი შემოქმედი ღმერთის სასტიკ მეტოქედ?

სვანური ლეგენდის ერთ ვარიანტს ჩამწერის ასეთი შენიშვნა ახლავს: „სამოელი—ერთი მთავარი ეშმაკთაგანი“<sup>24</sup>. ჯერ ერთი, სვანური ლეგენდის სამოელს ბევრი ისეთი რამ მიეწერება, რაც ეშმაკს არ ახასიათებს. მეორეც: ქართულ დემონოლოგიაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეშმაკის სინონიმად იხმარება ეშმა, ქაჯი, ბელიარი, მავნე, ავი სული, ბოროტი სული, სატანა, სათაელი, ტარტაროზი, შაითანი, მაცდური, ბელზებილი, მიწრიელი... სამოელი კი არსად გვხვდება. არცაა მოსალოდნელი: ბიბლიური სამოელი არც ღვთისმშობელს ებრძვის, არც—ქრისტეს, არის ჩვეულებრივი ქურუმი და ბოროტი სულის არაეითარი ნიშნები არ გააჩნია. მამრით ავხსნათ სვანურ ლეგენდაში სამოელის ხსენება?

ივ. ჭავჭავაძის მიხედვით მსჯელობს რა ქართველთა წარმართობაზე, აღნიშნავს: „უეპველია, უნდა ყოფილიყვნენ ყველა ტომთათვის საზოგადო ღვთაებანი და ამასთანავე თვითეულ ტომს თავისი საკუთარი ღვთაებანიც ეყოლებოდა; თანდათან, დროთა განმავლობაში განვითარების, ან ერთ-ერთი ტომის გაძლიერების და დანარჩენებზე გაბატონების დროს, ზოგიერთი საკუთარი ღვთაებანი საზოგადოდ ხდებოდნენ და ამის გამო ზოგჯერ ერთსა და იმავე ღვთაებისათვის რამდენიმე სახელი არის ზოლმე შემონახული: ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ტომის კერძო ღვთაებათა სახელები შერჩენია. ზოგი კი მეზობელთაგან არის შეთვისებული“<sup>25</sup>.

ჩვენი აზრით, ბიბლიურ „სამოელს“ სვანთა რომელიღაც ტომობრივი წარმართული ღვთაებაა ამოფარებული. როგორც ჩანს, სვანებს ზოგჯერ უყვართ ქართული სახელის შეცვლა უცხოურით. ბ. ნიჟარაძის მოწმობით, სვანები სახელმწიფოს მაგიერ ხმარობენ „საკეისროს“, ხელმწიფობის ნაცვლად „კეისრობას“. ქართველ მეფეებსაც „კეისრებს“ უწოდებდნენ. მაგალითად, საქართველოს კეისარი ირაკლიაო, იმერეთის კეისარი სოლომონიო და სხვა<sup>26</sup>.

სვანური ლეგენდის ზოგ ვარიანტში ნათლად ჩანს წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლათა ანარეკლი. სამოელი, რომელიც სვანურ ლეგენდაში წარმართული ღვთაების სახეცვლილება უნდა იყოს, ხშირად თვალთმაქცობს ქრისტესთან და რიც შემთხვევაში

<sup>24</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. კრებ., გვ. 138.

<sup>25</sup> ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

<sup>26</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. კრებ., გვ. 149.



კიდევ ატყუებს მას. ამ მხრივ საინტერესოა ლეგენდა სვანეთში ვენახის გაშენების ანუ უფრო სწორედ, არგაშენების თაობაზე. ქრისტე მიდის სვანეთში ვენახის გასაშენებლად. გზაზე სამოელი ხვდება და ეუბნება: ნუღარ მიდიხარ, სვანეთი მე უკვე გავავენახეო. მან თქმულის დასადასტურებლად კვაწახური აჩვენა: აი, ამგვარი გავაშენეო. ამაზე უფრო წითელი ვენახი არც მე გამიშენებიაო, თქვა ქრისტემ და დაბრუნდა უკან<sup>27</sup>.

ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის კვალი ნათლად ჩანს ერთ სვანურ წესჩვეულებაში, რომელიც ბ. ნიქარაძეს ჩაუწერია<sup>28</sup>. ამ წესჩვეულებას გონების თვალთ თუ ჩვეულებებით, შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ: 1. სვანი ხალხი უკანასკნელ დრომდე ასრულებდა თავისებურ ღვთისმსახურებას, რომელიც მთავრობამ აუკრძალა, II. მთავრობამ იმიტომ აუკრძალა, რომ ქრისტიანულ რიტუალთან ერთად იგრძნობოდა წარმართული რიტუალის კვალიც, III. ქრისტეს მსახურისა და სამოელის როლების გათამაშება ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლათა თავისებურ ინსცენირებას წარმოადგენს, IV. სამოელის როლის შემსრულებელი რომ ეკლესიაში შედის, კარებს აწვევა და ხალხს არ უშვებს, ეს ქრისტიანობის წინააღმდეგ წარმართობის უკანასკნელ ბრძოლათა სცენური განსახიერებაა, V. ეკლესიაში ხალხის ძალით შევარდნა და სამოელის როლის შემსრულებლისათვის მჭიდების ჩართვა, წარმართობის საბოლოოდ დამარცხებას უნდა ნიშნავდეს.

როგორც აღვნიშნეთ, სვანური ლეგენდის ჩამწერი სამოელს, „ერთ მთავარ ეშმაკთავანს“ უწოდებს. ცნობილია, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების ეპოქაში წარმართობა ეშმაკობად იხსენიებოდა, წარმართული ღვთაებანი კი—ეშმაკებად. ამას ადასტურებს ცნობა, რომელიც თან ახლავს ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის წერის ქართულ თარგმანს<sup>29</sup>.

რელიგიურად მოაზროვნე და მორწმუნე ადამიანმა იმთავითვე შექმნა ეშმაკის თავისებური ხატი და მისი დამახასიათებელი ნიშნებიც გამოიგონა. მაგალითად, აი როგორი წარმოდგენია ეშმაკი მეგრელს: „ეშმაკი უნდა იყოს ადამიანის ტანისა და სახისა, მხოლოდ ბანჯგვლიანი, რქებიანი, კუდიანი და გრძელი, მოკაუჭებული ცხვირიანი, შავი და ძალზე უსახურია. ხელების ჩამოფხავებულ თითებ-

<sup>27</sup> ბ. ნიქარაძე, დასახ. კრებ., გვ. 143.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>29</sup> ივ. ჭავჭავაძის მიერ, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

ზე გრძელი, ზულ გრძელი ფრჩხილები აქვს. გრძელი ყურები, გად-  
მოკარკლული სისხლიანი თვალები<sup>30</sup>.

ეშმაკის ძირითადი მიზანია ხელი შეუშალოს ღმერთს მის ყო-  
ველ კეთილ საქმეში, აცდუნოს ადამიანი, ააცდინოს ქვეშაირი გზას,  
დააკარგვინოს სამოთხე და თავი ამოაყოფინოს ჯოჯოხეთში<sup>31</sup>.

„ქვეყნის შექმნის“ ქართულ ლეგენდაში შემოქმედ ღმერთთან  
ერთად ხშირად ეშმაკიც იხსენიება, მაგრამ ერთი რამაა საყურადღე-  
ბო: ღმერთს სამოელი თუ მუდამ მტკიცე მეტოქეობას უწევს, ეშმა-  
კი თითქმის ყოველთვის მარცხდება და ყინულზე გაცურებული რჩე-  
ბა. მაგალითად, მოვესმინოთ კახურ ვარიანტს, რომელიც რუსულ  
ენაზეა გამოქვეყნებული: ღმერთმა თავდაპირველად შექმნა დედამი-  
წა. შემდეგ კი ზეცის შექმნაც ითავა. ზეცა უნდა ყოფილიყო უკი-  
დეგანო, დედამიწას რომ მოესარქველებოდა. მაგრამ ასეთი ცის შექ-  
მნა ღმერთს გაუძნელდა. უჭირსო, რომ გაიგო ეშმაკმა, მოინდომა  
ეს შემთხვევა გამოეყენებინა და მონაწილეობა მიეღო ქვეყნის შექ-  
მნაში, რათა შემდეგ სამყაროს მიმართ ღმერთის თანაბარი უფლებე-  
ბი ჰქონოდა. ღმერთს არ სურდა ეშმაკისათვის დაეთმო და მათ შო-  
რის ბრძოლა გაიმართა, ეშმაკი შეუდგა ძაფისაგან ბადის მოქსოვას,  
რომ ზეცა გაედიდებინა. ღმერთი ეშმაკის განზრახვას მიხვდა, თავ-  
ვები გააჩინა და შეუსია ბადეს. თავვებმა ბადე დახრეს, დაწყვიტეს  
და ცის კამარის შესაერთებლად სრულიად უვარგისი გახადეს.

ღმერთს უნდოდა ადამიანისათვის მიწათმოქმედება ესწავლე-  
ბინა, თანაც დაედგინა, თუ რა მცენარეულობა იყო მისთვის აუცი-  
ლებელი. ამ მიზნით დათესა ხორბალი და ეშმაკს ჰკითხა, ფესვები  
გინდა თუ ღეროებიო. ეშმაკმა დაინახა რა, რომ ღმერთმა მიწაში  
ხორბალი ჩათესა, თქვა: ფესვები მინდაო. მაშინ ღმერთმა პურს  
ნაყოფი ღეროს თავზე გამოაღებინა. ეშმაკს მხოლოდ ბზე დარჩა.

მეორე წელიწადს ღმერთმა ნიორი დათესა და ეშმაკს იმავე კი-  
თხვით მიმართა. ეშმაკმა ამჯერად ნიერის ღეროები აირჩია. ღმერ-  
თმა იგი ამ შემთხვევაშიც დაჯაბნა, ნიორს ნაყოფი ფესვებზე გამო-  
აღებინა, მეტოქეს კი უვარგისი ღეროები არგუნა<sup>32</sup>.

ზოგჯერ ღმერთი ეშმაკსაც გულისყურით უსმენს და მის რჩე-  
ვას თავის საქმიანობაში იყენებს. მოსე ჯანაშვილის ჩაწერილი და  
1912 წელს გამოქვეყნებული ვარიანტი მოგვითხრობს: ღმერთმა

<sup>30</sup> თ. ს ა ხ ო კ ი ა, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956, გვ. 40.

<sup>31</sup> „სოფლის ცხოვრება“, 1965, № 135.

<sup>32</sup> А. С. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, 1895, стр. 258.

დედამიწა ცაზე უფრო დიდი შექმნა. ამიტომ ვერ იქნა და ცა დედამიწას ვერ მოარგო. მაშინ ეშმაკმა უთხრა: მოუქირე დედამიწას შენი მძლავრი მკლავები და ცა ზარფუშივით დაეხურებაო. ღმერთმა მართლაც მოუქირა მკლავები დედამიწას, რის გამოც იგი ადგილადგილ შეიზნიქ-გამოიზნიქა, ზოგან მთები გაჩნდა, ზოგან ხევები<sup>33</sup>.

კახური ვარიანტის მიხედვით, ღმერთმა სამყარო რომ შექმნა, კიდევ განსაზღვრა ვის საღ უნდა ეცხოვრა. მან თავისთვისა და ანგელოზებისათვის ზეცა აირჩია. ისინი რომ ზეცაში იმყოფებიან, ეს მრავალჯერ დადასტურებულა. ღმერთ ბევრს გაუგონია ზარის რეკვის ყრუ ხმა, რომელიც ზეციდან მოდის. გარდა ამისა, ღმერთ შეგვიძლია დავინახოთ, როგორ უეცრად გაიხსნება ცა, გაიღვებს ღვთიური სინათლე და ყურს დაგვიტკბობს ღვთაებრივი სიმღერა. ვინც იმ სინათლეს დაინახავს და ღვთაებრივ სიმღერას გაიგონებს, იმ მომენტში რასაც ინატრებს, ღმერთი ყველაფერს აუსრულებს<sup>34</sup>.

კახური ვარიანტის თავისებურება ისაა, რომ იგი დედამიწის, ზეცის და ადამიანის შექმნით არ მთავრდება. ღმერთს სურს შექმნას ისეთი ცხოველი, ადამიანს ყველაზე უფრო რომ დაეხმარება და ცხოვრების ტვირთს შეუმსუბუქებს. ამ მიზნით იგი შეარჩევს ირემსა და ხარს და ერთმანეთს შეაჯიბრებს. პირობა ასეთია: რომელიც სწრაფად გადირბენს ზეცას თავიდან ბოლომდის, გამარჯვებაც მას დარჩება. მეთოქის დაჯაბვნის სურვილით გულანთებული ირემი თავდაუზოგავად გარბის, მაგრამ მალე იღლება, ბოლომდის ვეღარ მიაღწევს და ცაზე დატოვებს მკრთალ ნაკვალევს, რომელსაც დღესაც ირმის ნახტომი ეწოდება. ხარი კი დინჯად, მხნე ნაბიჯით მიჰყვება გრძელ გზას, გვიან, მაგრამ კეთილად მიაღწია ცის დასასრულამდის და ნათელი, განუწყვეტელი კვალი დატოვა, ხარის ნავალი რომ ჰქვია. ამის შემდეგ ღმერთმა გამარჯვება მიაკუთვნა ხარს და ადამიანის გამწევე ძალად და მეგობრად აკურთხა იგი. ირემს კი ტყეში მიუჩინა ბინა, სადაც მას ყოველთვის საფრთხე ელის და უგზო-უკვლოდ დახეტიალობს<sup>35</sup>.

შემოქმედი ღმერთისა და ეშმაკის ბრძოლა ბევრს გვიანობამდე რეალური ამბავი ჰგონებია. ეს კარგად ჩანს ი. ქობალიას შენიშვნაში, რომელსაც იგი ურთავს თავის ჩაწერილ და 1903 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ვარიანტს. ვავეცნოთ ამ ვარიანტსაც: ღმერთმა შექმნა დედამიწა, მცენარეულობა და ყველაფერი ის, რაც

<sup>33</sup> ხალხური საუნჯე, III, ელ. ვირსალაძის რედ., 1964, გვ. 249.

<sup>34</sup> ო. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

<sup>35</sup> ი ქ ვ ე.

ქვეყნად არსებობს. რამდენიმე ზნის შემდეგ მას წარუდგა ეშმაკი და პრეტენზია წაუყენა: სამყარო მეც მეკუთვნისო. ღმერთმა უთხრა: გინდ დედამიწა აირჩიე, გინდ მცენარეულობაო. ეშმაკმა მცენარეულობა აირჩია. მაშინ შემოქმედმა უბრძანა დედამიწა გამისუფთავეო, თვითონ კი ქვის კედლები აღმართა და ზედ ვაზები ააყოლა. ეშმაკმა რომ დაინახა, მთელი მიწები ღმერთს ეკუთვნისო და შე მცენარეულობას ვერსად გავაშენებო, შექმნა თხა და ვენახისაკენ გადევნა. ღმერთმა თხის საპირისპიროდ მგელი გააჩინა. ამის შემდეგ ეშმაკმა თავი დამარცხებულად სცნო. მაგრამ მცირე ხნის მერე ისევ მივიდა ღმერთთან და სთხოვა: ყველანი, ვინც კი ხეზე ავლენ, გამჩენს ნუ ახსენებენ, პირჯვარს ნუ გადაისახავენ და სულითა და ხორციით შე მეკუთვნოდნენო.

ი. ქობალია წერს: ახლაც მეგრელები ხეზე რომ აღიან, ღმერთს უეჭველად ახსენებენ და პირჯვარს გადაისახავენ. ეს ჩვეულება ისე აქვთ ძვალ-რბილში გამჭდარი, ბავშვებიც კი ასრულებენო<sup>36</sup>.

„ქვეყნის შექმნის“ ერთ-ერთი მთავარი მოტივთაგანი მიწისგან აღამიანის გაჩენაა. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ეს მოტივი გვხვდება ჯერ კიდევ შუმერულ ლეგენდაში, მაგრამ იქ ცოტა თავისებურადაა მოცემული: ღმერთები თავისი მეტოქის — აბზუს სისხლით მოზღლენ თიხას და აღამიანს ამ გზით გააჩენენ<sup>37</sup>. გილგამეშის ეპოსში კი მითითებული არაა, რით აზილეს თიხა. იქ უბრალოდაა ნათქვამი:

ხელნი განიბანა არურუმ,  
თიხა მოზილა, ველზე გადააგდო,  
ველზე გააჩინა გმირი ენქილუ,  
ველთა ნაშიერი, ნანურთას ძალის<sup>38</sup>.

ანალოგიური ამბავია მოთხრობილი ბიბლიაშიც, ოღონდ იქ ღმერთი თიხას რომ გამოძერწავს, მერე სულს შთაბერავს და ასე ქმნის აღამიანს „ხატად და მსგავსად თვისად“<sup>39</sup>.

ბერძნული „სამყაროსა და ღმერთების წარმოშობა“, რომელიც შუმერული ლეგენდის თავისებური გადაამუშავება უნდა იყოს, საერთოდ არ იცნობს თიხისგან აღამიანის შექმნის მოტივს<sup>40</sup>.

<sup>36</sup> И. К о б а л и я, Из мифической Колхиды, СМО, 1903, № 32, III, стр. 89.

<sup>37</sup> ზ. კოსილოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

<sup>38</sup> გილგამეში, 1963, გვ. 19.

<sup>39</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 6.

<sup>40</sup> ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, 1965, გვ. 21.

ვიეტნამური ლეგენდა მოგვითხრობს: ღმერთმა ტი ლიამ შექმნა დედამიწა და ზეცა. როცა დედამიწა გაშრა, მანვე გააჩინა მცენარეულობა და მხეცები. ბოლოს კი მიწისაგან გამოძერწა კაცი, შთაბერა სული და ჩაუდგა სიცოცხლე<sup>41</sup>. ბიბლიაშიც ხომ ასეა, ღმერთი ადამიანს სულ ბოლოს, მეექვსე დღეს აჩენს.

მიწისგან ადამიანის გაჩენის მოტივი დამახასიათებელი ყოფილა აფრიკისა და ავსტრალიის ნაკლებგანვითარებულ ხალხთა ფოლკლორისათვის. მაგალითად, მაგადასკარული ლეგენდის მიხედვით, ღმერთს, რომელმაც სამყარო და ადამიანები შექმნა, ჰქვია ზანახარი. ერთადერთი კაცი, ზანახარს რომ არ შეუქმნია, ზატუვია. ერთხელ ზატუვიმ თიხისგან ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები გააკეთა. ზანახარიმ მოისურვა ენახა ზატუვიმ რა გააკეთაო და ციდან ვერცხლის ჭკვეთ დაეშვა დედამიწაზე. რომ დაინახა თიხის უძრავი ფიგურები, ზატუვის ჰკითხა: რად არიან ეს ფიგურები უძრავად, რატომ არ გააცოცხლებო. არ ვცი, როგორ უნდა გააცოცხლოო, უპასუხა ზატუვიმ. მაშინ ზანახარი მიუახლოვდა ფიგურებს, სათითაოდ ყველას სული შთაბერა და ადამიანებად და ცხოველებად აქცია<sup>42</sup>.

აფრიკის ერთ-ერთი ტომის — ვინაბოგოველთა აზრით, რომელთაც ქრისტიანობის გავლენა სულაც არ განუცდიათ, დიდმა მანიტუმ გაილეძა და დაინახა, დედამიწაზე კაცის ქაჭანება რომ არ იყო. მან თავის სხეულზე მოიგლიჯა ხორცის ნაჭერი, შეუერთა მიწის ბელტს და გააჩინა პირველი კაცი. აქ მთავარი ისაა, რომ ღმერთი ადამიანის გასაჩენად მიწას იყენებს<sup>43</sup>.

ახალზელანდიურ ლეგენდაში პირველი ადამიანის შემქმნელად ღვთაება ტიკი ითვლება. მან აიღო წითელი თიხა, მოზილა თავის სისხლში, მერე სული შთაბერა და კაციც გაჩნდა<sup>44</sup>.

მელენაზიელთა ლეგენდის მიხედვით ადამიანი შეიქმნა წითელა თიხისაგან, რომელიც მოპოვებულ იქნა ვანუალეუსს კაობიან სანაპიროზე. ოღონდ ეს ლეგენდა შემოქმედ ღმერთს არ ასახელებს<sup>45</sup>.

ჩინურ ლეგენდაში პირდაპირ არაა ნათქვამი ადამიანი მიწისგან შეიქმნაო, მაგრამ ერთგვარი მინიშნება კია, რომ ეს მოტივი იქაც არსებობს: ორმა დიდმა ღმერთმა ინმა და იანმა შექმნეს ზეცა და დედამიწა. რაც დედამიწას მასალა გადარჩათ, ხეში და უხეში

<sup>41</sup> Сказки и легенды Вьетнама, Москва, 1958, стр. 254.

<sup>42</sup> Сказки Мадагаскара, Москва, 1901, стр. 158.

<sup>43</sup> Э. Л а н г ь., Мифология, Москва, 1901, стр. 158.

<sup>44</sup> ი ქ ე ე, გვ. 163.

<sup>45</sup> ი ქ ე ე.

მასისაგან ცხოველები, თევზები და მწერები გააჩინეს, სუფთა მას-  
საგან კი — ადამიანები<sup>46</sup>.

პარალელების მოტანა კიდევ შეგვეძლო, მაგრამ ესეც კმაჯა.  
ახლა გავეცნოთ, როგორ არის ეს მოტივი ქართულ ლეგენდაში.  
ლექსითი ვარიანტებიდან მხოლოდ ორშია საუბარი თიხისაგან ადა-  
მიანის გაჩენაზე და ისიც ძალიან მოკლედ:

უწინ კაცი არ ყოფილა ქრისტიანად განაჩენი,  
უწინ კაცი თიხა იყო, თიხას დაღვეს კაცის ფერი<sup>47</sup>.

მეორე

კვირობდა იესო ქრისტე, თვითონ ი ჩვენი გამჩენი,

ძირღვან მიწა ეილო, მიწა იყო ყვითლის ფერი.

ამას სული ჩეუბერა.—აღამ დაგდვა კაცის ფერი<sup>48</sup>.

სევანურ ლეგენდაში ვკითხულობთ: „შემდეგ წყლისა და ხმე-  
ლეთის გაყოფისას, ღმერთმა შვიდი ღლის განმავლობაში გააჩინა ყვე-  
ლა ცხოველა კაცითურთ. პირველი კაცები იყვნენ ევა და ადამი.  
ღმერთმა მიწა ამოიღო, ჩაბერა სული და გაჩნდნენ ევა და ადამი  
ორივე ბრმანი“<sup>49</sup>.

ახლა ქართულ ვარიანტს მოვუსმინოთ: „რად გვინდა ამდენი  
წყალო, თქვა ღმერთმა და ზღვები ალაგ-ალაგ დააშრო, ხმელეთე  
გამოაჩინა. მერე ქარი ამოუშვა და მიწა სულ გამოახშო. ახლა ვე-  
ნაჲ ი უნდა გავაჩინოო, გაიფიქრა, გაფიქრება და ვენახის გაჩენაჲ  
ერთი იყო, ერთ დღეს გავიდა ვენახში და რას ხედავს, ვაზები ტირი-  
ან, სულ ცრემლებად იღვრებიან, ესენი იმიტომ ტირიან, პატრონი არ  
ჰყავთო. თქვა ღმერთმა. ადგა, ვაზის ცრემლები პეშვით შეაგროვა,  
დაასხა მიწას, მოზილა, გამოძერწა კაცი, ჩაჰბერა სული და გაუჩი-  
ნა ვაზს პატრონი“<sup>50</sup>.

რატკული ვარიანტი გადმოგვცემს: „უფალმა შერგულა თიხა,  
სული ჩაბერა და გააჩინა ადამიანი. მას დაარქვა ადამი“<sup>51</sup>.

დასასრულ იმერულ ვარიანტსაც გავეცნოთ: „ახლა ღროა ადა-  
მიანიც გაჩნდესო, თქვა ღმერთმა, მერე აილო მიწა, გამოსახა კაცი  
და ჩაბერა სული. იმ დღიდან დაიწყო სიკვდილისა და სიცოცხლის  
ბრძოლა“<sup>52</sup>.

ამგვარად, ჩვენ ვრცლად წარმოვადგინეთ მიწისაგან ადამიანის

<sup>46</sup> Ю а н ь к е, Мифы древнего Китая, 1965, стр. 42.

<sup>47</sup> ფოლკლ. არქ. კ<sup>145</sup>. გვ. 41.

<sup>48</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. კრებ., გვ. 137.

<sup>49</sup> ბ. ნ ი ე რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 139.

<sup>50</sup> ფ. არქ. ქ<sup>2</sup>, გვ. 33.

<sup>51</sup> გადმოშტა სპ. რეხეიაშვილმა.

<sup>52</sup> ფოლკლ. არქ. ი<sup>1</sup>, გვ. 14.

გაჩენის მოტივი. რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ მოტივის წარმომავლობის შესახებ? ქართულ ლეგენდაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მიწისგან ადამიანის გაჩენის მოტივი ძირითადად გაფორმებულია ბიბლიის სიტყვიერი ქსოვილის მიხედვით. თუმცა ჩვენ მაინც გვგონია, რომ ამ მოტივს ქართველობა გაცილებით აღრე იცნობდა, ვიდრე ბიბლია ითარგმნებოდა. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: I. მიწისგან ადამიანის გაჩენის მოტივი უნდა ჩასახულიყო მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად. ამ მოტივში მიწისადმი ადამიანის უჩვეულო სიყვარული აირეკლა, მიწასთან ადამიანის განუყოფლობა და სასიცოცხლო ძარღვებით მიჯაჭვა დადასტურდა. ჩვენი წინაპრები კი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უძველესი მიწათმოქმედი ხალხი იყო მსოფლიოში. ქართველებში დაუნჯებულა გაძლიერებული და განდიდებული სიყვარული მიწისადმი. ჩვენი ხალხის ეს ძვირფასი თვისება უცხოელ მკვლევარებსაც კი შეუნიშნავთ. მაგალითად, ი. კლინგენი წერს: „ქართველები ისე შესისხლბორცებული არიან მიწასთან, როგორც არავინ არსად დედამიწის ზურგზე“<sup>53</sup>. II. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწისგან ადამიანის გაჩენის მოტივი გვხვდება ნაკლებ განვითარებულ ხალხებში, რომლებიც არც ბიბლიას იცნობდნენ და არც შუმერული ლეგენდა ექნებოდათ გაგონილი. ესე იგი, ეს მოტივი თვითჩასახვის გზით გავრცელებული მოტივია და ერთნაირად საინტერესოა როგორც დიდი კულტუროსანი ერებისათვის, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხებისათვის. თუ ასეა, მაშინ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი წინაპრები ამ მოტივს თვითონვე შექმნიდნენ როგორც მშობლიური მიწისადმი სიყვარულის უმაღლეს გამოხატულებას? III. ისიც საფიქრებელია, რომ ჩვენმა წინაპრებმა აღნიშნული მოტივი შუმერებისგან გაიგონეს. როგორც ცნობილია, შუმერების მეზობლად მოსახლეობდნენ დღევანდელი ქართველ-კავკასიელი ხალხების მონათესავე ტომები: ხურიტები (ანუ „სუბარელები“) და ურარტელები. „ურარტუს სამეფოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა ქართველი და სომეხი ტომების მსხვილი გაერთიანებები. ძველი ნაირი-ურარტუს ტერიტორიაზე ჰეგემონობა ხური-ურარტელი ტომებიდან ქართველი და სომეხი ტომების ზელში გადავიდა“<sup>54</sup>. IV. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, ქართლური ვარიანტი მიწისგან ადამიანის გაჩენის მოტივს ვაზს რომ უკავშირებს. ჩვენს ლეგენდებსა და თქმულებებში ქართველისა და საქართველოს ხნოვანება

<sup>53</sup> ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, 1964, გვ. 169.

<sup>54</sup> გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 143.

ხშირად ვაზის ხნოვანებით განისაზღვრება. მაგალითად, შირაქში ჩაწერილი „ვაზის ცრემლები“ მოგვითხრობს: „ვაზს ასაკი ჰკითხეს. არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად საქართველოს ხნისა ვარო. როგორ? ორივე ერთ დღეს დავიბადეთო“<sup>55</sup>.

ქართველ ხალხს ვაზის სიყვარული დასაბამიდანვე რომ მოსდევს, ეს უძველეს წეს-ჩვეულებებშიც დასტურდება. ჩვენი წინაპრები აღმერთებდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ ვენახს, „ყურძნის და ღვინის კულტის წყალობით სათაყვანებელი გახდა მარანიც“<sup>56</sup>. ქართველების წარმართულ ღვთაებათა პანთეონში საპატიო ადგილი ეკირა მევენახეობის მფარველ ღვთაებას, რომელსაც აგუნა ერქვა<sup>57</sup>.

ასეთია ჩვენი აზრი „ქვეყნის შექმნის“ ლეგენდაზე. ახლა კი გვინდა წარმოვადგინოთ მოკლე დასკვნები, რომლებიც ამავე დროს ზემოთ წამოყენებულ კითხვათა პასუხიც იქნება: 1. ლექსითი ვარიანტების მიხედვით ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნის მოტივი ძირითადად ბიბლიურ ლეგენდას ემთხვევა. ზოგჯერ ვხვდებით განსხვავებასაც: შემოქმედი ღმერთი ხან იესო ქრისტედ იხსენიება, ხან კი — ღვთისმშობლად, 2. ზოგიერთ პროზაულ ვარიანტში შეიმჩნევა გულუბრყვილო მატერიალიზმის გამოძახილი, რაც ქვეყნის შექმნის ბიბლიურ ამბავს სულაც არ ახასიათებს. 3. ზოგიერთი პროზაული ვარიანტი შუმერულ ლეგენდას ეხმაურება: მათში პოლითეისტური რწმენის კვალი ჩანს, 4. სვანური ლეგენდის ზოგ ვარიანტში ნათლად გამოკრთის წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლათა ანარქლი, 5. მიწისგან ადამიანის გაჩენის მოტივი არ უნდა იყოს პიზილის გავლენით შექმნილი. ჩვენი ვარაუდით, ქართველობა ამ მოტივს გაცილებით ადრე იცნობდა.

#### პირველი ადამიანების შეცოდება და მათი დასჯა

ადამისა და ევას ბიბლიურ ამბავში ერთ-ერთი მთავარი მოტივი აღმოსავლეთის ნაყოფიერ მიდამოებში ღმერთის მიერ ედემ-ბაღის გაშენება და ამ ბაღის ბატონ-პატრონად ადამის დაყენებაა. არის თუ არა ეს მოტივი ბიბლიისათვის ორიგინალური? უკანასკნელ დროს დამტკიცდა, რომ ედემი ანუ სამოთხე შუმერთა ფანტაზიის ნაყოფია, ღმერთ ენკის ლეგენდაში სამოთხე დახატულია

<sup>55</sup> „სოფლის ცხოვრება“, 1968, № 215.

<sup>56</sup> „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 16, გვ. 12.

<sup>57</sup> ი. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე., დიონისე-ბახუს-აგუნას კულტის ქართული წარმოშობის შესახებ, Bedi Kartlisa, ტ. XIX—XX, № 48—49, პარიზი, 1965, გვ. 109.



ისეთ ბაღად, რომელიც საესეა ნაყოფიერი მსხმოიარე ხეებით, სადაც ხალხი, ცხოველი, მხეცი თუ ფრინველი ცხოვრობენ მშვიდად და თანხმობით. მათ არ იციან არავითარი ტანჯვა და ავადმყოფობა. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ შუმერული სამოთხე სპარსეთში მდებარეობს, ბიბლიური კი — მესოპოტამიაში<sup>58</sup>.

ასლა ვნახოთ როგორაა წარმოდგენილი აღნიშნული მოტივი ქართულ ლეგენდაში. ვ. კოტეტიშვილის მიერ გამოქვეყნებული ლექსითი ვარიანტი ედემს ასე აგვიწერს:

ადამიანს ედემი აქვს, ვერა ძლება სიტურთია;  
არცა იცის ტანჯვა რაა, არც მოკვდების სიკვდილითა.

ანდა:

პირუტყვი და პირმეტყველი გარს ეხვევა გაჩენელსა.  
ღმერთმა ადამსა უბრძანა:—რათ არ მისცემ სახელეზსა?<sup>59</sup>

ეს სტრიქონები შესაბამისი ბიბლიური ეპიზოდის პირდაპირ სიტყვასიტყვითი გალექსავა. მაგრამ ასეთი დამთხვევა იშვიათია. მთქმელი უფრო ხშირად ბიბლიურ ტექსტს ან გვერდს უვლის ანდა თავისებურად წარმოგვიდგენს. ზოგი ვარიანტის მიხედვით ღმერთი ადამს და ევას ერთად გააჩენს და სამოთხესაც მაშინვე შეუქმნის. ლექსი უეცრად იწყება, ყოველგვარი შესავლის გარეშე:

პირველ გამჩენელმა ღმერთმა ადამ, ევა გააჩინა,  
უკვდავების ბალი მისცა, ორნაე ერთად დაადგინა<sup>60</sup>.

ანდა:

ადამ-ევა როდეს გაჩნდნენ, მისცეს ბალი სანატრელი,  
ხეხილები ჩაურიგა, აქეთ-იქით ჩასასვლელა<sup>61</sup>.

ჩვენს ხალხურ მთქმელს თითქოს არც აინტერესებს, თუ სად, დედამიწის რომელ კუთხეში იყო ედემის ბალი გაშენებული. იგი სამოთხეზე ზოგადად ლაპარაკობს, მას თითქოსდა ღვთაებრივ ბურუსში ხვევს, რითაც ნათქვამს მეტ ემოციურ ძალას ანიჭებს.

„უფალმა ადამს და ევას მისცა ბინა, აგრეთვე მსხმოიარე ბალი, თან უთხრა: მოუარეთ ამ კარ-მიდამოს, ჩემს მეტი არავინ შემოუშვათ აქაო“. — ასე უბრალოდ, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე გვაცნობს რაჭული ვარიანტი სამოთხეს<sup>62</sup>.

სევანურ ვარიანტში ედემი ანუ სამოთხე სულაც არაა ნახსენები. თანაც ადამს და ევას ღმერთი კი არა, მიქელ მთავარანგელოზი პატ-

<sup>58</sup> ზ. კ. ს. ი. დ. ო. ვ. ს. კ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>59</sup> ვ. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ო. ლ. ი., დასახ. კრებ., გვ. 255.

<sup>60</sup> აკაკის კრებული, VII, 1898.

<sup>61</sup> ფოლკ. არქ. კ<sup>1</sup>ბ, გვ. 77.

<sup>62</sup> გადმოგვცა სპ. რეხვიაშვილმა.

რონობს, იგი მიუჩენს მათ საცხოვრებელ ადგილს, „მიქელ მთავარ-ანგელოზმა დაუნიშნა მათ სამყოფი ადგილი და დაუბარა, რომ სა-ნაჲ შე არ მოვიდე, მანამ არავის არაფერი გაუგონოთო და გასწია თავისთვის“<sup>63</sup>.

ხალხური მთქმელი ზოგჯერ ცდილობს სათქმელს თავისი კუთხით მიუდგეს და სამოთხის ბიბლიური აღწერილობა ახალი ნიუანსებით გააანალიზოს. მაგალითად, ერთ-ერთ უძველეს ვარიანტში ლაპარაკია რა ღმერთის მიერ ადამისთვის ედემის შექმნაზე, ბოლოს ნათქვამია:

დაუშვენა ეს ქვეყანა მზე, მთვარე, ვარსკვლავებით,  
დაუმონა ყველა მხეცნი, პირთ ულოყეს ფეხები<sup>64</sup>.

მზეცთა მიერ ადამის ფეხების ლოკვა აღეგორიულად წარმოგვიდგენს ბიბლიის იმ ადგილს, სადაც სამყაროს „პირველი კაცი-სადმი“ ყველა სულდგმულის მორჩილებაზეა საუბარი.

ახლა ამ სტრიქონის მოვლსმინოთ:

ნიგ შუაგულ ედემისა ტახტი იდგა ზურმუხტისა,  
ოქროს ზოდის ფეხები აქვს, გუმბათთა ლაყვარდისა.

ხალხური პოეტი ღმერთს ერთგვარ ადამიანურ თვისებებს მიაწერს. მისი წარმოდგენით ნაჭაფ და დამაშვრალ უფალს დასვენება სჭირდება. იგი ოქროს ტახტზე ჯდება, ანგელოზთა გუნდის გალობას ისმენს და თავისი ნაშემოქმედართ კმაყოფილი ლაღად ისვენებს:

ანგელოზთა გუნდი გალობს, აღიღებენ შემოქმედსა.  
ღმერთი ტახტსა დაბრძანდების.—მეშიოდ დღეს ისვენებს<sup>65</sup>.

ხალხურ პოეტს განსაკუთრებით ადამის უზრუნველი ცხოვრება მოსწონს და ამ მომენტს ხშირად აღნიშნავს:

ადამ ნათლად შემოსილსა, არ უნდოდა ტანსა კველი,  
არც მეშობა უნდოდა, სარჩო კქანდა ძველი ძველი.  
დღე მუდამ ჩამოდიოდა ზეცილამ გაფუკენილი მწყერი<sup>66</sup>.

განსაკუთრებით ბოლო ორი სტრიქონი იქცევა ჩვენს ყურადღებას. ხალხს „გაფუკენილი მწყერი“ დოვლათისა და ბარაქის ერთგვარ სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი, უზრუნველი ცხოვრების წყაროდ აქვს მიჩნეული. ეს სიმბოლო — სახე სრულიად ახალია ქართულ

<sup>63</sup> ბ. ნიქარაძე, დასახ. კრებ., გვ. 138.

<sup>64</sup> აკაკის კრებული, VII, 1898

<sup>65</sup> ე. კოტეტიშვილი, დასახ. კრებ., გვ. 255.

<sup>66</sup> ფ. არქ. უმიკ. 217.

ხალხურ ზეპირშემოქმედებაში და, რამდენადაც ვიცით, არც სხვა ხალხთა ფოლკლორში დასტურდება.

ადამისა და ევას ბიბლიური ამბის ერთ-ერთი მთავარი მოტივია აგრეთვე ღმერთის მიერ ადამის ნეკნიდან ქალის გაჩენა. ჯანსაღი გონების ადამიანი, თუნდაც იგი უაღრესად მორწმუნე ყოფილიყო, არ შეიძლებოდა ამ მოტივს არ ჩაეფიქრებინა. მართლაც, ღმერთმა ადამი თუ თიხისგან შექმნა, რატომ ამავე ხერხს არ მიმართა ევას გაჩენის დროსაც? რისთვის დასჭირდა მას ადამის ნეკნის გამოღება, განა თიხა ცოტა იყო? ამ კითხვებს ისევ და ისევ შუმერული ლეგენდა უპასუხებს. ამ ლეგენდის მიხედვით, ღმერთ ენკის სტკიოდა გვერდის ივალი ანუ ნეკნი. შუმერულ ენაზე ნეკნს აღნიშნავს სიტყვა „ტი“. ღმერთ ქალს, ენკისათვის ნეკნი რომ უნდა მოერჩინა, ერქვა ნინტი, რაც ნიშნავს — „ქალი ნეკნიდან“. „ნინტი“ აღნიშნავს აგრეთვე „სიცოცხლის მომცემს“. ამგვარად „ნინტი“ ერთსა და იმავე დროს შეიძლება ნიშნავდეს — „ქალი ნეკნიდან და — „ქალი, რომელიც სიცოცხლეს იძლევა“.

ზ. კოსიდოვსკის აზრით, სწორედ აქ იმალება გაუგებრობის მიზეზი. უქველესმა ებრაულმა ტომებმა ნინტი ევათი შესცვალესო, რადგან ევა იყო მათთვის კაცობრიობის პირველი ლეგენდარული დედა, ე. ი. „ქალი, რომელიც სიცოცხლეს იძლევა“. ამასთან ებრაელების ხსოვნაში შემორჩა ნინტის მეორე მნიშვნელობაც — „ქალი ნეკნიდან“. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ევასა და ნეკნს შორის რაღაც საერთო არსებობს. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამის ნეკნიდან ევას წარმოშობის მოტივი<sup>67</sup>.

ხსენებული მოტივის კოსიდოვსკისეული ინტერპრეტაცია ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოტივი ისეთ ხალხებთანაც გვხვდება, რომლებიც შუმერულ ლეგენდას არ იცნობდნენ და არც ბიბლიის გავლენაზე შეიძლება რაიმე ლაპარაკი. სკანდინავური ლეგენდა, რომელიც „ძველ ედაში“ პროზაულადაა მოთხრობილი, გადმოგვცემს: თავდაპირველად არსებობდა დიდი მორევი გინუნგაპაპ. იგი წარმოადგენდა ყინულის ხორგს. როცა ეს მორევი დადნა, მისგან წარმოიშვა ტიტანი იმირა. შემდეგ იმირამ თავისი კუნთებიდან გააჩინა სამყაროს პირველი კაცი და ქალი. ეს ლეგენდა ამით არ მთავრდება. იმირას ხორცისაგან წარმოიშვა დედამიწა, სისხლისგან — ზღვები და წყლები. ძვლების-

<sup>67</sup> ზ. კოსიდოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

გან - მოუბი, კპილეპისგან კლდეები და ქეები, თმიდან - მცენარეები<sup>68</sup>.

ჩრდილოეთ ამერიკას ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ლეგენდაში თვით ღვთაება იგლეგს საკუთარი სხეულიდან ხორცს და მიწის ბელტთან მისი შერევით აჩენს პირველ ადამიანს<sup>69</sup>.

ამჯერად, ღმერთის მიერ ადამის ნეკნისგან ევას გაჩენა არ წარმოადგენს უძველეს ებრაელთა ფანტაზიის ნაყოფს.

ახლა ვაჩვენოთ, როგორ წარმოგვიდგენს ამ მოტივს ქართული ლეგენდა. რაჭული ვარიანტი მოგვითხრობს: „ღმერთი ყოველი კვირის შემდეგ მიდიოდა ადამთან და ეკითხებოდა: ხომ არ მოგეწყინაო. მომეწყინა, მაგრამ რა ვქნაო?! ღმერთმა უთხრა ბოლოს: ამხანაგი რომ მოგე. ხომ არ მოგეწყინებაო. მივიდა ერთ კვირადღეს ადამთან, ილიაში ამოჰკრა ქალი და მოუსვა გვერდში“<sup>70</sup>.

ბიბლიასთან ასეთივე სიანლოვეს ამქლავნებს უმიკაშვილისეული ვარიანტიც. მასში მოთხრობილია რა ღმერთის მიერ ადამის გაჩენა. შემდეგ ნათქვამია:

მასჟან კიდე უხერხეს, მას ამოჰკრეს გვერდს წყნო,  
ადამს უწოდეს ცოლაა, არეინ იყო მისი მდრეუი,  
სიტურფით და სილაბაზით ღამე გაანათლოს ბნელი<sup>71</sup>.

მაგრამ უფრო ხშირად ბიბლიისგან ერთგვარ გადახვევას ვხვდებით: ღმერთი ევას ადამთან ერთად აჩენს, ამ უკანასკნელის ნეკნის გარეშე.

პირველ გამჩენელმან ღმერთმან ადამ, ევა გაჩინა,  
მისცა ედემის საშობზე, ლხინ-სიხარულით არჩინა<sup>72</sup>.

ანდა:

იღამ-ევა როდეს გაჩნდნენ, მისცეს ბალი სანატრელი,  
ხეხილება ჩაურჩა, აქეთ-იქით ჩასასულელი<sup>73</sup>.

საინტერესო დიალოგი იმართება ღმერთსა და ადამს შორის ვ. კოტეტიშვილისეულ ვარიანტში. ღმერთი ეკითხება, ცხოველებს რატომ არ არქმევ სახელებსაო. ადამი უპასუხებს:

სახელები ვინ მოსთვალოს, მე დავეძებ მუუღლესა,  
ყველა ცხოველს თავისი ჰყავს, არ მიეცი პირმეტყველსა.

<sup>68</sup> Э. Лангь, Мифология, Москва, 1901, стр. 168.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 158.

<sup>70</sup> გადმოგვცა სპ. რეხეაშვილმა.

<sup>71</sup> ფ. არქ. უმიკ. 217.

<sup>72</sup> „ძველი საქართველო“, III, გვ. 248.

<sup>73</sup> ფ. არქ. კ<sup>16</sup>, გვ. 77.

ღმერთი ადამის თხოვნას შეიწყნარებს და მართლაც ამოეყენებს კვერდით მეუღლეს:

ღმერთმა ესეც აღესრულა, გაუჩინა ადამს ევა,  
სიტურფით და მშენებითა ყველასგან გაირჩევა<sup>74</sup>.

ხალხურ პოეტს ავიწყდება გვითხრას, თუ როგორ გაუჩინა ადამს მეუღლე, სამაგიეროდ არ ერიდება, ბიბლიის ტექსტს გადაუხვიოს და ევას სილამაზეზე გვესაუბროს.

ბიბლიის მიხედვით, ადამს და ევას ცნობადის ხის ქამა აქვთ აკრძალული. ქართულ ლეგენდაში კი ცნობადის ხე საერთოდ არაა ნახსენები. ზოგ ვარიანტში ზოგადად „ერთ რიგ“ ხილზეა საუბარი:

მათ აბარებს მთლად ედემსა, აუკრძალეს ერთ რიგ ხილსა,  
თუ რომ მცნებას გადავიდნენ, წერა გახდნენ სიკვდილისა?<sup>75</sup>.

ანდა:

ერთი ხიდან იშლებოდეთ, ჰამეთ დანარჩენი ხილი,  
თუ გატყვევთ ეს ბრძანება, შვეიქნები თქვენთვის ძნელი<sup>76</sup>.

ზოგჯერ კი აკრძალული ლეღვია:

ყოველი ხილი მიირთვი, ყოველიერთ მოსახდენი,  
ლეღვი არავინ შეცდუოს, საძაგელთ შესაქმელი<sup>77</sup>.

სვანურ ლეგენდაში კი აკრძალულ ხილად ვაშლი იხსენიება<sup>78</sup>.

მაშასადამე, ღმერთმა შექმნა ადამი, ადამს ჯერ აჩუქა სამოთხე, მერე მეუღლეს გაუჩინა, ბოლოს კი ორივე დაარიგა: აკრძალული ხილი არ სჭამოთო. ამის შემდეგ მოქმედება თანდათან იძაბება და სულ მალე კულმინაციურ წერტილს აღწევს. ევას შეუჩნდება გველი და გადააცდენს, აკრძალულ ხილს შეაქმევს. შემდეგ იმავე ხილს ადამიც იგემებს, რის გამოც ღმერთი გაწყურება და ცოლ-ქმარს სამოთხიდან გააძეევებს.

ირკვევა, რომ არც პირველ ადამიანთა შეცოდებისა და დასჯის მოტივია ბიბლიისათვის ორიგინალური, თავითსავადი. ეს მოტივიც შემერული ლეგენდიდან მოდის. ოღონდ ბიბლიაში ევას და ადამს თუ გველი შეაყდენს, შემერულ ლეგენდაში ხალხის ბოროტ მრჩეველად ღვთაება ეა გვევლინება. რაც მთავარია. როგორც ბიბლიური, ისე შემერული ლეგენდა ირწმუნება, რომ შეცნობა ბოროტებისა და სიკეთისა ადამიანს ღმერთს უტოლებს და უცვდავებას

<sup>74</sup> ე. კოტეტიშვილი, დასახ. კრებ., გვ. 255.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> აკაკის კრებული, VII, 1898.

<sup>77</sup> ფ. არქ. უმიკ. 217.

<sup>78</sup> ბ. ნიქარაძე, დასახ. კრებ., გვ. 139.

ანიჭებს. სამოთხეში ცნობადის ხის გვერდით დგას სიცოცხლის ხეც, რომლის ნაყოფიც მოკვდავს გააუკვდავებს. ღმერთმა ადამი და ევა სამოთხიდან არა მარტო ურჩობისათვის განდევნა, არამედ იმისთვისაც, რომ შეეშინდა. სიცოცხლის ხის ნაყოფსაც იგემებენ და ღმერთით მოიპოვებენ უკვდავებას<sup>79</sup>.

ბიბლიურმა სიცოცხლის ხემ უკვდავების მაძიებელი და „სიღრმის მხილველი გმირი“ გილგამეში გაგვახსენა. ეს მამაცი ჭაბუკი დიდი გაჭირვების შემდეგ მიაღწევს სამოთხის კუნძულს, სადაც ცხოვრობს უთანაბრები.

იქ ჰპოვა გილგამეშმა ბალახი,  
მოკლიჩა ბალახი, ხელი გაეკაწრა.  
ფეხთაგან მოიხსნა მძივე ლოლები  
და ზღვამ ამოაგლო ნაპირზე.

გილგამეში ფიქრობს, უკვდავების მცენარე მოვიპოვე და ეს არისო. იგი შინ გახარებული ბრუნდება. მაგრამ როგორც ადამისა და ევას ბედნიერება, ისე გილგამეშის სიხარულიც ხანმოკლე აღმოჩნდა. მან გზაში ერთ ადგილას შეისვენა და წყალში საბანაოდ ჩაეშვა, რაც მისთვის საბედისწერო შეიქნა.

ღაინახა წყარო გილგამეშმა, ციფწყლანა,  
ჩაეშვა წყალში საბანაოდ.  
გველმა იუნოსა ბალახის სურნელი,  
წყლიდან ამოვიდა, ბალახი წაიღო  
და მყისვე გადაიძრო პერანგი<sup>80</sup>.

ადამი და ევა გველმა შეატყინა და ბედნიერი ცხოვრება დააკარგინა. გილგამეშიც გველმა დაღუპა, სიცოცხლის მცენარე წაართვა და უკვდავების მოპოვების გზა დაუხშო. ამგვარად, ამ მხრივაც ერთგვარ ანალოგიასთან გვაქვს საქმე.

ქართული ლეგენდის მიხედვით ადამისა და ევას შეცოდება ოთხგვარი სახით წარმოგვიდგება. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

I. ევას გველი შეატყინს და აკრძალულ ხილს შეაპყვეს:

გველმა ევა შეატყინა, ღმერთი რისხვას მიიყრისა<sup>81</sup>.

ანდა:

ის ადამი და ევაი ერთად იყვნენ დასახდენი,  
ორთავე ბაღში დაბრძანდნენ, მეკრეთ მისცა ერთი გველი<sup>82</sup>.

II. გველს ევას შეცდენაში ეშმაკი ეხმარება:

<sup>79</sup> ზ. კ. ო. ს. ი. დ. ო. ე. ს. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>80</sup> გილგამეში, 1963, გვ. 90.

<sup>81</sup> ე. კ. ო. ტ. ე. ტ. ო. შ. ე. ი. ლ. ი., დასახ. კრებ., გვ. 255.

<sup>82</sup> ფ. არქ. უმიე, 217.

გველმა ლაპარაკი უწყო, ეშმაკი ეტყეის ლექსებსა.  
ევას უთხრეს: „ ხილი ჭამე, შენც უფალთან დაბრძანდები<sup>83</sup>.

ანდა:

გველი ეშმაკს შეუთანხმდა, ერთხმად მისცეს ხელი ხელსა:  
— ევა გადავაციდინოთ და ვაწყენინოთ მაღალ ღმერთსა<sup>84</sup>.

III. ევას ეშმაკი შეაძღენს, გველს კი არავითარი ბრალი არ მიუძღვის, პირიქით, ცდილობს. ეშმაკს ბოროტ განზრახვაში ხელი შეუშალოს:

მეგრედ ერთი გველი მისცა, ყარაულად დაუყენა.  
ჭვევიდან ეშმაკი მოდის, გაწუწული, ძან სველი.  
გველო, კარებე გამიღე, მე ვარ შენი მეუფეო!  
— მე შენ კარებ ვერ გაგიღებ, იუღას გიგავ ფერიო<sup>85</sup>.

ეს მომენტი კიდეც უქეთაა გამოკვეთილი რაჭულ ვარიანტში:  
„უფალმა ადამს და ევას მისცა ბინა, აგრეთვე მსხმოიარე ბალი. კარში დაუყენა სისო (გველი)... ერთ შაბათ საღამოს ადამ და ევასთან მივიდა ეშმაკი და დაიძახა: სისო, გააღე კარიო. სისომ უთხრა: შენ უფალს არ გიგავს ხმა, მე კარებს არ გაგიღებო“<sup>86</sup>.

IV. გველი უკვე აღარ ჩანს, სამოქმედო ასპარეზზე მხოლოდ ეშმაკია, იგი შეაძღენს ევას.

მისცა ეღემის სამოთხე, ღხინ-სიხარულით არჩინა.  
უუურეთ პილწა ეშმაკსა, თუ როგორ მალე აეღანა<sup>87</sup>.

ანდა:

ეშმაკა ბადე მოქსოვა, შიგ გააბა ევა ხელად.  
მაენე ხილი შეაკამა და უფალი გაახელა<sup>88</sup>.

ახლა სევანურ ლეგენდას მოვუხსენით: „ევა და ადამი მარტო დარჩნენ. ამ დროს მოვიდა მათთან სამოელი თხის სახით და უთხრა: რას გაჩერებულხართ, აი თქვენს ახლო ვაშლის ხეა, აცოცდით მასზე, სჭამეთ მისი ნაყოფი და თვალხილულნი იქნებითო. ევამ დაუჭერა, აცოცდა ხეზე, მოსწყვიტა ვაშლი, ჩაკბიჩა და მერე ადამს გადასცა“<sup>89</sup>.

ახლა ის ვიკითხოთ, ქართული ლეგენდის ზოგიერთ ვარიანტში საიდან გაჩნდა ეშმაკი? რატომ შეცვალა მან ბიბლიური გველი? აქ უქველად გავლენა აპოკრიფისა, რომლის სათაურიცაა „საკითხა-

<sup>83</sup> აკაკის კრებული, VII, 1898.

<sup>84</sup> ფ. არქ. კ<sup>12</sup>, გვ. 41.

<sup>85</sup> ფ. არქ. კ<sup>57</sup>, გვ. 69.

<sup>86</sup> გაღმობევა სპ. რეხვიანუილმა.

<sup>87</sup> ძველი საქართველო, III, გვ. 248.

<sup>88</sup> ფ. არქ. კ<sup>165</sup>, გვ. 18.

<sup>89</sup> ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, დასახ. კრებ.. გვ. 139.

ვი ადამ და ევაძის სამოთხით გამოსვლისაჲ“. ამ აპოკრიფს საინტერესო ისტორია აქვს. მე-10 — 11 საუკუნეების დიდ საეკლესიო მოღვაწეს ექვთიმე ათონელს დაინტერესებული პირი საქართველოდან ათონში ასეთ შეკითხვას უთვლის: „გვედრები შენ, ღმერთშემოსილო ძმაო, მაუწყე — თუ რომელნი წიგნნი არიან, რომელთა იგი წმიდა კათოლიკე ეკლესია არ შეიწყნარებს“. ექვთიმემ პასუხად გამოუგზავნა ბარათი, სადაც ეკლესიისათვის შეუწყნარებელ ნაწარმობად ჩვენთვის საინტერესო ძეგლიცაა დასახელებული<sup>90</sup>.

აკად. კ. კეკელიძის აზრით, „საკითხავი ადამ და ევაძის სამოთხით გამოსვლისაჲ“ თარგმნილი უნდა იყოს მეათე საუკუნემდე<sup>91</sup>. მასში მოთხრობილია, თუ რა ბედი ეწიათ ადამს და ევას ღმერთის მიერ სამოთხიდან გამოძევების შემდეგ. დამწუხრებულ და დანაღვლიანებულ ევას ეშპაკი შეუჩნდება და მოსვენებას არ აძლევს, ცდილობს კვლავ აცდუნოს და მოატყუოს. რაც შეეხება აპოკრიფთან ქართული ლეგენდის ანალოგიას, მხოლოდ ერთადერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიტანოთ. აპოკრიფი ელემიდან გამოძევებული ადამისა და ევას შესახებ მოგვითხრობს: „ტიროდეს ორნივე ტირილითა დიდითა, რამეთუ ჭუოდეს საყოფელთა მათთჳს სასუფევლისათა, რომელთა განეშორნეს“<sup>92</sup>.

ქართულ ვარიანტში ნათქვამია:

ევა ადამს შესტიროდა და ადამიც ღვრიდა ცრემლსა,  
ვაი მწარე ჩვენს ცხოვრებას, ვაი მწარე ყოფას ჩვენსას<sup>93</sup>.

საერთოდ კი აპოკრიფს ქართულ ლეგენდაზე არსებითი გავლენა ვერ მოუხდენია.

დაგვრჩა კიდევ ერთი მოტივი: ღმერთის მიერ ცოდვილი ადამ და ევას დასჯა. ეს მოტივი ქართულ ლეგენდაში ყველაზე უფრო ზედმიწევნით ემთხვევა ბიბლიურ ტექსტს. განაწყენებული ღმერთი ჯერ ევას წყევლის:

ელემი აღარ გელირსოს, ტყივილითა შობდე შეილა<sup>94</sup>.

ანდა:

შენი ქმარის ხელქვეითი სიკვდილამდე იწერები,  
ზედ დაგიყენამ სიკვდილსა, სადაც რომ იყო, მოკვდები<sup>95</sup>.

<sup>90</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 394.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 408.

<sup>92</sup> ფილოლოგიური ძიებანი, I, 1964, გვ. 109.

<sup>93</sup> ფ. არქ. კ<sup>185</sup>, გვ. 19.

<sup>94</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. კრებ., გვ. 393.

<sup>95</sup> აკაკის კრებული, VII, 1898.



რაკულ ვარიანტში ღმერთი ევას მიმართავს: „შენ შვილის შობაზე წიოდე, კიოდე და ძლივს რჩებოდეო“<sup>96</sup>.

ღმერთი არც ადამს ინდობს:

მობრუნდა და ადამს უთხრა: გაგიფუქდა საღმობანი,  
კუროსთავი და ეკალი ამოგივიდეს ყანებში!  
სიმწეხრითა პური ქამო, ბოლოს სიმწარით მოკვლები!<sup>97</sup>

ანდა:

ადამსაც რისხვას თან ატანს:—ტანჯვით სკამდე პურსა ხმელსა.  
მანამდე უკვდავ ადამსა აწ ვშინის სიკვდილსა<sup>98</sup>.

საინტერესოა ერთი ეპიზოდი: ადამი და ევა ისე ცდილობენ ღვთის წინაშე თავის გამართლებას, რომ მხოლოდ პირად ინტერესებზე ფიქრობენ, ურთიერთისადმი სიყვარულს არ ამჟღავნებენ. ადამი ევაზე ამბობს:

ამ ცუდმა ქალმა მაცდინა, გამიტეხინა ბძანება<sup>99</sup>.

ევას შესახებ კი ნათქვამია:

ევა გადგა პინქურზეა(უარზეა),  
მე სულ არა მაქვს ბრალეები<sup>100</sup>.

ზემოთ ხსენებულ აპოკრიფში კი საპირისპირო მდგომარეობაა. ღვთისაგან განწირული და გაუბედურებული ცოლ-ქმარი ცდილობენ ერთმანეთს უწამლონ და გაჭირვება შეუქმნავენ. ევა ერთგან ასე მიმართავს ადამს: „უფალო ჩემო, უკეთუ ჩერ — გიჩნს, მომაკვდინე მე, რაჯთა მოვისპო პირისაგან ღმერთისა და ანგელოზთაგან მისთა, რაჯთა დასცხრეს რისხვა ღმერთისა შენ ზედა, რომელ არს ჩემ გამო და შეგიყვანოს მუნვე სამოთხედ“.

ამგვარად, ევა სიკვდილსაც არ ერიდება, თლონდ ადამს ეშველოს. მაგრამ არც ადამი რჩება ვალში. იგი თავგანწირულ შეუღლეს გაოცებით შემოუძახებს: „ვითარ-მე აღვილო კელი ჩემი ვნებად ქორცთავე თვსთა ზედა?“<sup>101</sup>.

ადამისა და ევას ეს დიალოგი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ „ადამის ცხოვრების“ აპოკრიფმა ქართულ ლეგენდაზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა.

<sup>96</sup> გადმოგვცა სპ. რეხვიაშვილმა.

<sup>97</sup> აკაკის კრებული, VII, 1898.

<sup>98</sup> ე. კ. ბ. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. კრებ., გვ. 255.

<sup>99</sup> აკაკის კრებული, VII, 1898.

<sup>100</sup> ი. ქ. ვ. ე.

<sup>101</sup> ფილოლოგიური ძიებანი, I, გვ. 109.

დასკვნა: 1. ადამისა და ევას ბიბლიური ამბის საწყისები შუმერთა უხსოვარი დროის ნააზრევსა და შეხედულებებში იძებნება.

2. ქართულ ლეგენდაში ადამისა და ევას თავდასავალი ბიბლიიდანაა ნასესხები. თუმცა ბრმად კი არაა გადმოღებული: მთქმელი ზოგჯერ ცდილობს ამა თუ იმ საკითხს თავისი კუთხით მიუღგეს, ლეგენდაში ახალი ნიუანსები შეიტანოს, ხოლო ზოგიერთ ეპიზოდს გვერდი აუაროს.

3. ქართული ლეგენდის ზოგიერთ ვარიანტში ევას მაცდუნებლად გველის მაგივრად ეშმაკია გამოყვანილი. ეს მომენტი აპოკრიფის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

აპოკრიფული ლეგენდები

აპოკრიფული მწერლობა ეკლესიური მწერლობის მნიშვნელოვანი და თავისებური დარგია. „აპოკრიფი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დაფარულს, საიდუმლოს. როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, აპოკრიფული ლიტერატურა ძირითადად მწვალებელთა ანუ ერეტიკოსთა სკოლებში შეიქმნა და განვითარდა. „მწვალებლებმა აპოკრიფულ ნიადაგზე შექმნეს თავისებური რომანები და მოთხრობები, ადვილად საკითხავი და საინტერესო, რომლებშიაც მათ შეიტანეს თავიანთი ტენდენციები, აზრები და თეორიები“<sup>1</sup>.

საქართველოში აპოკრიფები ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად გავრცელებულა. „მომეტებული ნაწილი ქართულ ენაზე შენახული აპოკრიფებისა, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ნათარგმნია ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდში, თუმცა, — როდის ან ვისგან, — დანამდვილებით არ ვიცით; მაშასადამე, უკვე მეათე საუკუნემდე ჩვენ საკმაოდ მდიდარი აპოკრიფული მწერლობა გვქონია“<sup>2</sup>.

ჩვენს წინაპრებს ქართულად თარგმნილი ზოგი აპოკრიფი საუკუნეთა მანძილზე ისე შეუტკბიათ და შეუქსნხლბორცებიან, რომ თაობიდან თაობებზე გადაუციათ, ბევრი რამ თავისებურად გადაუკეთებიათ, გადაუსხვაფერებიათ და ლიტერატურულ წყაროსაგან საკმაოდ განსხვავებულ ფოლკლორულ ნაწარმოებად უქცევიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ხალხური ლეგენდები წმინდა მარიაზე. ეს ბუნებრივიცაა. ისე როგორც ბევრ სხვა ქრისტიანულ ქვეყანაში, საქართველოშიც ფართოდ იყო გავრცელებული წმინდა მარიამის კულტი. „მორწმუნეთა უმეტესობა, მეტადრე კი ქალები, წმ. მარიაში ისეთ ღვთაებრივ არსებას ხედავენ, რომელსაც ქრისტე ღმერთზე მეტი გაეგება, როგორც მათი მძიმე საერთო ხვედრი, ისე მათი, როგორც შვილთა მშობლების, დედობრივი გრძნობებიც“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1941. გვ. 391.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 393.

<sup>3</sup> ს. ს ა ხ ა რ თ ე ი, ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაულის წარმოშობისა და იდეოლოგიური არსის შესახებ, 1971, გვ. 89.

მორწმუნეთა წარმოდგენით, წმ. მარიაში შუამავლობს ღმერთსა და ადამიანს შორის, ამ უკანასკნელს თავის ღვთაებრივ კალთას აფარებს და ბოროტებისგან იცავს. „იგი ღვთისა დედა არს შესავედრებელ ქრისტიანობისა ტბილი მოღვაწე, სიქადულ, სიხარულ, საღმრთო და სიმტკიცე და მყუდრო ნავთსაყუდელ, მეოხე და მოღვაწე ყოვლისა, შუამდგომელი ღვთისა და კაცთა დედოფალთ ცათა და ქვეყნისა, ორთავე ერთად შეერთებული“<sup>4</sup>.

წმ. მარიამს უკავშირდება თითქმის ყველა საქრისტიანო მწერლობაში ცნობილი აპოკრიფი „ღმრთისმშობლის მიმოსვლა“ ანუ „ცათა მოხილვა წმიდისა ღმრთისმშობლისა გამოცხადებასა სატანჯველთაგან“. ეს ძეგლი ჯოჯოხეთში ცოდვილთა წამების მეტად ცოცხალ, კოლორიტულ სურათს გვიხატავს, რის გამოც მორწმუნე მკითხველებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

„ღმრთისმშობლის მიმოსვლია“ ქართული ტექსტის უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნით თარიღდება. ამ აპოკრიფში შეგვიძლია შემდეგი ძირითადი ეპიზოდები გამოვყოთ: 1. ღვთისმშობელი მოსურვებს ჯოჯოხეთის დათვალიერებას. მოუხმობს მიქელ მთავარანგელოზს და მასთან ერთად, აგრეთვე სხვა ანგელოზთა თანხლებით, ფეხს შესდგამს ცოდვილთა მუდმივ ადგილსამყოფელში. მათ თვალწინ შემზარავი სურათი გადაიშლება: სიბნელეში სხედან კაცები და ქალები, რომლებიც ტირიან და გოდობენ, მაგრამ არაფერ შევლით და მათ ტანჯვას ბოლო არ უჩანს. ირკვევა, რომ ცოდვილთა ამ ჩგუფვა „მამაჲ“, „ძეჲ“ და „სული წმიდაჲ“ არ იწამეს, ღვთისმშობელი არ აღიარეს და იესო ქრისტე არ ცნეს. 2. შემდეგ ცოდვილთა სამი ჯგუფი ნახეს. პირველი ჯგუფი ცეცხლის მდინარეში სარტყლამდე იდგა, მეორე — მკერდამდე, მესამე კი — თხემამდე. პირველთა ტანჯვის მიზეზი ის იყო, რომ უწესო საქციელის გამო საკუთარი დედისა და მამის წყევლა დაიმსახურეს. მეორენი ნათელმირონული ნათესაური კავშირის დამრღვევნი და მისი შეურაცხყოფელნი იყვნენ, ხოლო მესამენი — ფეხმძიმობის ხელოვნურად შემწყვეტნი, მუცლის მომშლელნი, ჩვილთა მომსპობნი, აგრეთვე შთა გამცემნი და დამსმენნი. 3. მეექვსე ბნელს ადგილას იყო ხელით ჩამოკიდებული, სხეულზე მატლი ეხვეოდა და ხორცს უჭამდა. 4. კორიკანა დედაკაცი ორივე ძუძუთი იყო ჩამოკიდებული და პირიდან ცეცხლის ალი ამოსდიოდა. 5. ვინაც კვირაობით ლოცვა-წირვაზე არ იარა და საეკლესიო რიტუალი აბუჩად აიგდო, ცეცხლში იდგა, ცეცხლისფერი ვეშაპი შემოხვეოდა და ხმელი ლერ-

<sup>4</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 1.

წამივით იწვოდა. 6. ცრუმოფიცარნი და ზურგსუკან მძრახველნი რკინის რტოებიან ხეზე იყვნენ ენით ჩამოკიდებულნი. 7. ეკლესიის მოღალატეს ენა ცეცხლით ჰქონდა შეკრული და აღარც ლაპარაკი შეეძლო, აღარც ტირილი. 8. საეკლესიო წეს-ჩვეულებების დამრღვევი მღვდლები ხეებზე ეკიდნენ და მათი თხემიდან ცეცხლი გადმოდიოდა. 9. სახარების ურჩი მთავარდიაკონიკ ცეცხლში იდგა, რომელსაც სამთავიანი და ფრთოსანი მხეცი გვემდა და სტანჯავდა. 10. მღვდლისა და დიაკვნის ცოლები, რომლებიც ქმრების სიკვდილის შემდეგ გათხოვდნენ, თანაც სხეებთან შესკოდეს, ცეცხლში იდაგებოდნენ. მათი პირიდანაც ცეცხლის ალი გადმოვიზგიზებდა. 11. მრუწი მონაზონი ქალიც ცეცხლში იდგა და მხეტთა ხროვა ვარს დასტრიალებდა. 12. ცეცხლის მდინარეში იმყოფებოდნენ და ცეცხლის ვეშაპები ენას სწოვდნენ ცოდვილთა მრავალ ჯგუფს: მძეავეებსა და მემრუშეებს, ქურდებს, სხვათა ნაშრომთა მკამელებს ანუ დღევანდელი ტერმინით რომ ეთქვათ, ექსპლოატატორებს, ვერცხლის მოყვარულებს ანუ მექრთამეებს. 13. ჯოჯობეთის ყველაზე ბნელ კუთხეში ბორგავდა და მძვინვარებდა ცეცხლის მდინარე, საიდანაც ყველაზე მწარე მოთქმა-ტირილის ხმა გამოდიოდა. იქ იტანჯებოდნენ ებრაელი მამაკაცები და დედაკაცები, რომლებმაც ქრისტე ჯვარს აცვეს. იქვე იყვნენ მწვალებელნი და კაცის მკვლელნი. 14. ცეცხლის ტბაში ეწამებოდნენ ისინი, ვინაც ჯერ ნათელ ილო, გაქრისტიანდა, შემდეგ კი ეშმაკის გზას დაადგა და ჰე? მარიტ სარწმუნოებას უღალატა. 15. ღვთისმშობელი შეაწრუნა ცოდვილთა ტანჯვის ხილვამ. ბევრი იტირა, შემდეგ მიქელ მთავარანგელოზს განუცხადა: მეც ჯოჯობეთში უნდა დავრჩე და წამებულთა ხვედრი გავიზიარო. შენი განსასვენებელი სამოთხეაო, უპასუხა მიქელ მთავარანგელოზმა. 16. ბოლოს ღვთისმშობელი ანგელოზთა დახმარებით მოახერხებს მამალმერთთან შეხვედრას და სთხოვს: შეიწყალე და დაიხსენ ცოდვილნი ჯოჯობეთისგანო. მამალმერთი უარს ამბობს: ვერ შევიწყალებო. თანაც სახარებას იმოწმებს: „უქეთუ ვინმე იყოს ბოროტი, არა მიიღოს კეთილი“. 17. აპოკრიფი მთავრდება ქრისტეს ერთგვარი მონოლოგით. მეო, აღნიშნავს იგი, ადამიანი შევქმენ „ხატად ჩემად“ და სამოთხეში მივეუჩინე ბინაო. მაგრამ ადამიანმა ვერ შეიღირსა სამოთხე და შესცოდაო. ჯოჯობეთში ჩავედი, მტერი დავთრგუნე, მაგრამ ადამიანებმა არც ეს სიკეთე დამისწავლეს და მრავალი ბოროტება ჩაიდინესო. 18. ქრისტე მთლად უიმედოდ მაინც არ ტოვებს ცოდვილებს და ჰპირდება გაგათავისუფლებთ „დღესა წმიდასა“, რათა აღიდებდეთ სამებასო<sup>5</sup>.

<sup>5</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 15.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რა გამოძახილი ჰქოვა ამ ძეგლმა ქართულ ფოლკლორში. მაგრამ სანამ ამ ძირითად საკითხზე გადავიდოდეთ, ვუპასუხოთ ორ კითხვას: I. ეს აპოკრიფი როდის შეიქმნა? II. რა წინამძღვრებს ემყარება იგი?

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ტექსტში ცოდვილთა ერთ ჯგუფზე ნათქვამია: ამათ ნათელ ილეს, კეშმარიტი სარწმუნოება იწამეს, ხოლო შემდეგ ისევე ეშმაკის გზა დაადგნენ და ჯოჯოხეთში ამიტომ იტანჯებიათ, ე. ი. წარმართები მოინათლნენ, გაქრისტიანდნენ, მერე კი ისევე ძველ სარწმუნოებას დაუბრუნდნენ. ისიც საგულისხმოა, რომ ღვთისმშობელი ერთგან სთხოვს მიქელ მთავარანგელოზს, ჯოჯოხეთში ქრისტიანებიც მანახვე და წარმართებიცაო. ამგვარად, „ღმრთისმშობლის მიმოსვლა“ იმ დროსაა შექმნილი, როცა ქრისტიანობა უკვე გამარჯვებული და დამკვიდრებული იყო, მაგრამ წარმართობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ დღის წესრიგში იდგა. ეს ხანა დაახლოებით II — III საუკუნეები უნდა იყოს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „ღმრთისმშობლის მიმოსვლის“ უძველესი ქართული ხელნაწერი XIII საუკუნით თარიღდება. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ქართველებს ეს ძეგლი გაცილებით ადრე აქვთ ნათარგმნი. ყოველ შემთხვევაში ძველ ქართველ მთარგმნელთა ოქროს ხანაზე გვიანდელი მაინც არ უნდა იყოს. ეს ხანა კი X — XI საუკუნეებია.

ძველი აღთქმის წიგნები ცოდვილთა საიქიო სამყოფელზე არაფერს მოგვითხრობენ. „ბუნდოვნად არის მოხსენებული ის, რომ მიცვალებულთა სულები აჩრდილების სახით დაეხეტებიან ქვესკნელის ბნელ სამყაროში და მეტად საცოდად მდგომარეობაში არიან, მიუხედავად სიცოცხლეში ჩადენილი დამსახურებისა და ცოდვებისა“<sup>6</sup>. ახალ აღთქმაში კი ხშირად არის საუბარი ამქვეყნიური საქმეების გამო აღამიანის საიქიო მისაგებელზე. მაგალითად, საინტერესოა სახარებებში ჩართული იგავი მდიდარსა და ლაზარეზე. ეს უკანასკნელი ღარიბი-ღატაკი იყო, არაფერი გააჩნდა და განებივრებულ-გაზულუქებულ მდიდარს ემსახურებოდა. მდიდარი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვდა, ლაზარე კი — სამოთხეში. ერთხელ გაწამებულმა მდიდარმა შემთხვევით თვალი მოჰკრა ლაზარეს, რომელიც სამოთხეში იმყოფებოდა აბრამთან ერთად. მდიდარი შეეხვეწა აბრამს, მიშველე და ლაზარეს ერთი წვეთი წყალი მაინც გამოატანე ჩემთანაო. აბრამმა გამოჯავრებით მიუგო: „შვილო; — მოიქსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად ბოროტი. და აწ ესე რა აქა ესე ნუგეშისცემულ არს, ხოლო შენ

<sup>6</sup> ი. კ რ ი ვ ე ლ ე ე თ, წიგნი ბიბლიაზე, 1966, გვ. 366.

იტანჯები. და ამასა ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რაჟთა რომელთა უნდეს წიალსვლად ამიერ თქუენდა, ვერა ჭელ-ეწიფოს, არცა მაგიერ ჩუენდა წიალმოსვლად“<sup>7</sup>.

„ღმრთისმშობლის მიმოსვლაშიც“ ანალოგიური ამბავია. ცოდვილთა ერთი ჯგუფი ჯოჯოხეთში მიტომ იტანჯებოდა, რომ ისინი იყვნენ „უწყალონი მთაქარნი“ და „მთავრობდეს გლახაკთა ზედა“.

ქრისტე სახარებებში ერთგვარი გაორების შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი, ერთი მხრივ, ცოდვების მიმტევებლად და დამნაშავეთა შემწყალებლად გვევლინება. უნდა გიყვარდეს არა მარტო მეგობარი და ახლობელი, არამედ მოძულე და ავის მდომელიცაო, არიგებს თავის სამწყოს. „გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოძულო მტერი შენი. „ხოლო ჰე გეტყვ თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი“<sup>8</sup>.

ადამიანი უნდა იყოს მომთმენი, ნაწყენობა გულში არ ჩაიდოს და ბოროტის მოქმედს სიკეთით უპასუხოს. „გესმა, რამეთუ თქმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა წინააღმდეგობად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენასა, მიუჰყარ მას ერთკერძოცა“<sup>9</sup>.

კითხვაზე, იქნებ შვიდამდე შეიძლება წყენის მიტევებაო, მაცხოვარი უპასუხებს: შვიდამდე კი არა, შვიდჯერ სამოცდაათამდეო<sup>10</sup>.

მეორე მხრივ, ქრისტე იმავე სახარებების სხვა ფურცლებზე წარმოგვიდგება როგორც უაღრესად დესპოტი და სისასტიკის განსახიერება. მას სულაც არ ებრალება ადამიანი. მან ერთი თავისი მოციქული უცხო ქალაქებში მართლმადიდებლური მოძღვრების საქადაგებლად გაგზავნის წინ ასე დაარიაგა: თუ ვინმემ წინააღმდეგობა გაგიწიოთ, ყოვლად დაუნდობელი იყავითო. „რომელსა ქალაქსა შეხვიდეთ, და არა შეგიწყნარენ თქუენ, გამო-რაჲ-ხვდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ: აჰა ესერა მტუერი რომელ აღეკრა ფერჯთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა... გეტყვ თქუენ: სოდომელთა უმოლხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის“<sup>11</sup>.

როგორც ძველი აღთქმა მოგვითხრობს, ქალაქი სოდომი მთლიანად დაიწვა და განადგურდა. გადარჩა მხოლოდ ერთი ოჯახი. ე. ი.

<sup>7</sup> სახარება ლუკასი, თავი 16, მუხლი 25—26.

<sup>8</sup> სახარება მათესი, თავი 5, მუხლი 43—44.

<sup>9</sup> ი ქ ვ ე, მუხლი 38—39.

<sup>10</sup> ი. კ რ ი ვ ე ლ ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 397.

<sup>11</sup> სახარება ლუკასი, თავი 10, მუხლი 10—12.

იმ ქალაქის მცხოვრებთ. რომლებიც ქრისტეს მოძღვრებას წინ აღუდგებიან, სოდომელებზე უარესი უბედურება მოელოთ.

საბარებათა ფურცლებზე ხშირადაა ქრისტეს მუქარა ადამიანების მიმართ. იგი ირწმუნება, რომ მეორედ მოსვლის შემდეგ ყველას დამაპატიებელი მიუზღავს. საშინელი სამსჯავრო მოელოთ ცოდვილებს, ვინაც მიწიერი ცხოვრების დროს ღმერთის საწყენი საქმე მოამოქმედა, რელიგიური მოძღვრების ესა თუ ის ცნება დაარღვია. მათ არ ასცდებთ ჯოჯოხეთში სამუდამო ტანჯვა-ვაება: „შესთხინენ იგინი საქუმილსა მას ცეცხლისასა, მუნ იყოს ტირილი და ღრქენა კბილთა“<sup>12</sup>.

ქრისტე „ღმერთისმშობლის მიმოსვლაშიც“ ასე გულქვად და ულმობელად წარმოგვიდგება. ჯოჯოხეთში ტანჯულთა ხილვით გულდამძიმებული წმ. მარიამის ტირილი და ხვეწნა-მუდარა მასზე არ მოქმედებს. იგი ოდნავადაც არ თანაუგრძნობს ცოდვილებს, ცეცხლის მდინარეში რომ იტანჯებიან. მიუხედავად ზოგიერთი ამ დამთხვევისა, „ღმერთისმშობლის მიმოსვლა“ სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ძეგლია, რომელშიც ადამიანის საიქო მისაგებელი დიდი ოსტატის ფუნჯითა და ფანტაზიით არის დახატული.

ისმის კითხვა: ჯოჯოხეთში ანუ საიქიოში მოგზაურობა არის თუ არა აღნიშნული აპოკრიფისათვის ნიშანდობლივი?

შუამდინარეთის უდიდესი ეპოსის, — „გილგამეშის“ აღმოჩენამ, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი, ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალ საინტერესო საკითხს მოფინა შუქი. გამოირკვა, რომ ბევრი რამ, რაც სემიტთა მოდგმის ორიგინალურ შემოქმედებად და ნააზრევად მიგვაჩნდა, შუამდინარეთის ხალხთა უძველეს კულტურაში აქვს ძირები.

მიცვალებულთა ადგილსამყოფელში ანუ ქვესკნელში მოგზაურობას თავდაპირველად „გილგამეშში“ ვხვდებით. ამ ეპოსის მეტორმეტე დაფა მოგვითხრობს, რომ გილგამეშს ქვესკნელში ჩაუვარდა მუსიკალური საკრავები და მათი ამოტანა ენქიდუმ იკისრა. როგორც ღვთისმშობელი, ენქიდუმს მკვდართა სამეფოში ცოცხლად ჩადის. ვინაიდან გილგამეშის დარიგებას ყურად არ იღებს, იგი ქვესკნელის ტყვედ იქცევა და მიცვალებულთა სულებს ისე შეუერთდება, თითქოს თვითონაც მკვდარი იყოს. ბოლოს ისევ გილგამეშის შემწეობით მოახერხებს საიქიოდან დაბრუნებას:

ენქიდუს სული, ვით ნიავი, ქვესკნელით ამოეშვა<sup>13</sup>.

ენქიდუმ ქვესკნელიდან შემფოთებული და შეძრწუნებული დაბრუნდა. მართალია, რაც მან ქვესკნელში იხილა, ჯოჯოხეთს ვერ

<sup>12</sup> სახარება მათესი, თავი 13, მუხლი 42.

<sup>13</sup> გილგამეში, 1963, გვ. 95.



ეუწოდებთ, მაგრამ ბევრად ნაკლებიც არ იყო. გილგამეშმა ენქიდუ გამგზავრებისას აკი მიტომაჲ გააფრთხილა: „შეგიპყრობს ქვესკნელის ჩივილი“-ო. ეს სტრიქონი მიგვანიშნებს, რომ როგორც ჯოჯოხეთში, ქვესკნელშიც მიცვალებულთა ჩივილი და გოდება ისმოდა. გილგამეშს აინტერესებს, თუ რა ნახა ენქიდუმ ქვესკნელში:

მაუწყე, ძმობილო, მაუწყე, ძმობილო,  
წესი ქვესკნელისა, რაც ნახე, მაუწყე!<sup>14</sup>

ენქიდუ უპასუხებს:

არ გაუწყებ, ძმობილო, არ გაუწყებ.  
რომ გაუწყო წესი ქვესკნელისა, რაც ენახე.  
დაჯდები ტირილად შენი!<sup>15</sup>

ენქიდუ ბოლოს მაინც გაუმხელს მეგობარს ქვესკნელის საიდუმლოს. მოუყვება, მიცვალებულნი თუ როგორ მტკრად და არა-რაობად არიან ქცეულნი ქვესკნელში:

ჩემს სხეულს, შეხება რისიც გზაროდა,  
კიები ჰამენ ვითარ ძველს სამოსს.  
სხეული, შეხება რისიც გიხაროდა,  
დაღრღნილია და საესეა მტყერით!<sup>16</sup>

ენქიდუს ნაამბობში ცოდვილთა შესახებ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი, მაგრამ მის მიერ დახატული ქვესკნელი ზოგი რამით მაინც ჰგავს ჯოჯოხეთს. მიცვალებულნი ქვესკნელშიც მათი ამქვეყნიური დამსახურებისამებრ არიან პატივდებულნი თუ პატივცაყრილნი. მოვუ-სმინოთ გილგამეშისა და ენქიდუს საუბარს:

„ვინც ერთი ძე შობა, თუ ნახე?“ „ენახე.  
ქვესკნელში მხოლოდ პურს შეექცევა“.  
„ვინც სამი ძე შობა, თუ ნახე?“ „ენახე.  
ქვესკნელში მხოლოდ წყალსა სეამს იგი“.  
„ვინც ოთხი ძე შობა, თუ ნახე?“ „ენახე.  
სასმელ-საქმელით გულს იხარებს“.  
...ვინც შვიდი ძე შობა, თუ ნახე?“ „ენახე.  
ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს“<sup>17</sup>.

ქვესკნელი მიცვალებულთა საშინელ მუდმივ ადგილსამყოფე-ლადაა დახატული შუამდინარეთის ხალხთა პოეზიის მეორე მნიშვნე-

<sup>14</sup> გილგამეში, 1963, გვ. 95.

<sup>15</sup> ი ქ ვ ე.

<sup>16</sup> ი ქ ვ ე.

<sup>17</sup> ი ქ ვ ე.

ლოვან ძეგლში „თამუზის სიზმარი“. იშთარი ქვესკნელში ჩადის თამუზის გამოსახსნელად. იქ ასეთ სურათს ხედავს:

მტვერი აქვთ სასმელად, ტლახი-საზრდოდ,  
ნათლის ვერმპკრეტელნი წყვილადში სხედან,  
მოსავთ ფრინველებრ ნაკრტენის სამოსი,  
კარებს და ურდულს მტვერი აფენია<sup>18</sup>.

ქვესკნელში ანუ ჰადესში მოგზაურობს ჰომეროსის გმირი ოდი-სევსიცი. აქვე უნდა გაეხსენოთ „საყოველთაოდ გავრცელებული წარმოდგენები ქვედა ქვეყნის არსებობისა და მასში ზღაპრული ბუმბეოზების ხშირი ასპარეზობის თაობაზე“<sup>19</sup>.

ასეთია ის წინამძღვრები, რომელსაც „ღმრთისმშობლის მიმოსვლა“ ემყარება. ახლა გადავიდეთ ჩვენი თემის ძირითად საკითხზე.

ქართულ ფოლკლორში გვხვდება მრავალი აპოკრიფული ლეგენდა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში „ღმრთისმშობლის მიმოსვლას“ უკავშირდება. ამასთან ქართულ აპოკრიფულ ლეგენდებში წარმართული რწმენის გადმონაშთებიც შეიმჩნევა. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, თუ როგორ აითვისეს ქართველმა ხალხურმა მთქმელებმა და ავტორმთქმელებმა აპოკრიფული ლიტერატურული ძეგლები, რა ცვლილებები შეიტანეს მათში და საუკუნეთა მანძილზე ზეპირად როგორი სახით გადმოგვცეს. კვლევის გაადვილების მიზნით გალექსილ და პროზაულ ტექსტებს ერთად განვიხილავთ.

ქართველ ტომებს სულის უკვდავებისა და საიქიოს შესახებ წარმართობის ხანგრძლივ ეპოქაში გარკვეული შესედულებანი გამოუმუშავებიათ. ახალი რელიგია ცეცხლითა და მახვილით შეებრძოლა ქრისტიანობამდელ სარწმუნოებას, მაგრამ მთლიანად მისი აღმოფხვრა ვერ შესძლო. ამ მხრივ განსაკუთრებით შემოინახა თავი საქართველოს მთიანეთმა. მაგალითად, როგორც ცნობილია, ქრისტიანობა ფშავში ჯერ კიდევ IV საუკუნეში შეიქრა, მაგრამ ვერ იქნა და კარგად ფეხი ვერ მოიკიდა. ამის გამოა რომ იქ თითო-ორიოლა ქრისტიანული ეკლესია თუ გვქონდა და ისიც მე-19 საუკუნეში აშენებულა. წარმართული დროის ხატთა „საბრძანისები“ კი მრავლად ჰოგვეპოვება. ხატის ამ „საბრძანისებში“ ხალხი უკანასკნელ წლებამდე ლოცულობდა და რელიგიურ დღეობებს მართავდა<sup>20</sup>.

ვაჟა-ფშაველა ერთ თავის წერილში აღნიშნავდა: „ფშავლის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის „შავეთს“. შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი

<sup>18</sup> თამუზის სიზმარი, 1969, გვ. 99.

<sup>19</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება, V, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. XVII.

<sup>20</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, 1934, გვ. 176.

ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამჭრალი სხივები მთის წვერებზე; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტად-ლა არიან ამ დროს წითლები, ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“<sup>21</sup>.

დაახლოებით ასეთივეა „სვანების საიქიოც“: მობიბინე ბალახით დაფარულ შუა მინდორში ბრძანდება ქრისტე. მას წინ უდგას სხვადასხვა სანოვაგით სავსე სუფრა. მთელი მინდორი მზითაა განათებული. ქრისტეს სიახლოვეს მეტი მზე და სინათლეა, მისგან დაშორებით კი სხივთა სიკაშკაშე იკლებს. ამიტომ ვინც ქრისტესთან ახლოსაა, ის უფრო კმაყოფილია<sup>22</sup>.

აქ ქრისტე გვიანდელი დროის დანამატი უნდა იყოს. ამას მოწმობს ბ. ნიჟარაძის დაკვირვება: „სვანეთის კარგი სასულეთიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუვარდება ქრისტეს სასუფეველსა. შესანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა აქვს და სული წმინდის ხსენება სულ არ არის. სვანი არასოდეს არ გაუტრევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს“<sup>23</sup>.

როგორც ფშაველთა, ისე სვანთა ზემოთ მოტანილ წარმოდგენებში მთავარია მზე. იგია ადამიანთა მასულდგმულელებელი და გამხარებელი არა მარტო ამ ქვეყნად, არამედ საიქიოშიც. რაც შეეხება ქრისტეს, იგი სვანთა წარმოდგენით, თვითონ ჰგავს მიცვალებულს. ის უმოქმედოა, ზის სულებთან და მათ ბედს იზიარებს. სულები თანატოლივით შეჰყურებენ, კიდევაც ემუსაიფებიან. ქრისტეს სიდიადე განისაზღვრება მზით, რომელიც მის ახლოს ძალუმად ჩახჩახებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქრისტეს განგებ უჭირავს საიქიოს შუა ადგილი, იცის იქ მეტი მზეა. ამგვარად, „სვანთა საიქიოს“ წარმოდგენაში წინა პლანზე წამოწეულია მზე, რაც ამ მნათობის თაყვანისცემის მანიშნებელია.

აკად ი. ჯაბახიშვილმა ფოლკლორულ ნიმუშებზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ მთვარეს ქართველთა წარმართულ ღვთაებათა პანთეონში წმინდა გიორგის ადგილი უკავია. დასტურდება, რომ სვანები მზეს უფრო სცემდნენ თაყვანს, ვიდრე მთვარეს. მათი რწმენით, მზე და მთვარე ძმები არიან. „ერთხელ ღმერთმა გამოუტყადა მზის და მთვარის ღედებს, რომ მათ ეყოლებათ ვაჟიშვილები: ამათგან ერთი იქნება დღის მანათობლად და მეორე — ღამისა, იმის მიხედვით, ვინ გაიღვიძებს ადრე ღედების დაუხმარებლად. მთვარე, რათა გაეღვიძა ადრიანად, ჩაწვა ეკლიან ლოგინში, დიდხანს არ დაეძი-

<sup>21</sup> ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, VII, 1956, გვ. 16.

<sup>22</sup> ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, გვ. 178.

<sup>23</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. კრებ., გვ. 180.

ნა. მხოლოდ გათენებისას ნიელულა. მზე კი დაწვა აღ'ე, აღრევე გაიღვია და მოჰვინა სხივი დედამიწას<sup>24</sup>.

მზე გაცალიებით ძლევამოსილი და დიადია მთვარესთან შედარებით. ერთი სკანური თქმულების გმირი მაფუნჩხიელი მთვარეს ესევ-წყება: „მზესთან შემწეობა გამიწიეთ“. მთვარე მზეს მორიდებით გადასცემს მაფუნჩხიელის დანაბარებს<sup>25</sup>.

მზისადმი სვანთა თაყვანისცემა და ღვთაებრივი მოკრძალება ყველაზე კარგად ჩანს უძველეს სავალობელში „ლილე“. ამიტომ არაა გასაკვირი, მზის კულტმა „სვანთა საიქიოშიც“ თუ იჩინა თავი.

საიქიოს ზოგჯერ ისულებსაც უწოდებენ. საინტერესოა ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებული ლექსი „სულეთისაიმ ვინ იცის“.

სულეთისაიმ ვინ იცის, სულეთს რა სამართალია?  
სულეთს რა სამნი ხე დგანან, წვერ ცაში მიბჭენილია,  
იმ ხის ძირ წყარო გამოდის, სასმელად სანატრელია<sup>26</sup>.

არც „სახარებების საიქიოში“, არც „ღმრთისმშობლის მიმოსვლაში“ ხე საერთოდ არ იხსენიება. აღნიშნულ ლექსში კი სულეთის აღწერა ხეებით იწყება. ამ ლექსში ხეების მოხსენიება შემთხვევითი რომ არაა. ჩანს ფშავური ვარიანტიდან, სადაც ვკითხულობთ:

შავეთის ამბავს თუ მკითხავთ, იქ სამართალი დიდია:  
ბერძენი ლაღად შრიალებს, ოქროს შიბები ჰკიდია.  
თავს დაგვტრიალებს კოპალა, გვატრონობს მამასავითა.  
შავეთის ამბავს თუ მკითხავთ, ყველა კარგად ვართ აქითა<sup>27</sup>.

სულეთის ხეები, ისევე როგორც შავეთის მუხა, წმინდა ხეებია. არსებობს ისტორიული ცნობა საქართველოში ხეთა თაყვანისცემის ანუ „ხეთა მსახურების“ შესახებ<sup>28</sup>. განსაკუთრებით მუხის თაყვანისცემა იყო გავრცელებული. სევსურებისა და ფშაველების სადიდებლებსა და ლოცვებში არც თუ იშვიათად იხსენიება „მუხის ანგელოზი“<sup>29</sup>. ამ შემთხვევაში ქრისტიანული პერსონაჟი — „ანგელოზი“ ნუ დაგვაფიქრებს. ეს სიტყვა ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული და ქრისტიანობასთან ერთად დამკვიდრებული. წარმართობის ხანაში კი ანგელოზის მაგივრად სხვა სიტყვა გვექნებოდა<sup>30</sup>.

<sup>24</sup> ვ. კ. ტ. ე. ბ. ვ. ი. ლ. ი., ქართული ხალხური პოეზია, 1934, გვ. 358.

<sup>25</sup> ი. ქ. ვ. ე.

<sup>26</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 180.

<sup>27</sup> ფ. არქ. კ<sup>185</sup>, გვ. 23.

<sup>28</sup> Т. Ж о р д а и я, Описание рукоп. II, стр. 200.

<sup>29</sup> ვ. ა. უ. ა. შ. ა. ვ. ე. ლ. ა., ტ. VII, 1956, გვ. 30.

<sup>30</sup> ი. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ე. ლ. ი., ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 94.

„შავეთის ლექსში“ ოქროს შიბების მოხსენიებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ლეგენდა, რომელიც ზურაბ ერისთავის სახელს უკავშირდება. ლაშარის გორზე მდგარა ბერძუნა, რომელიც ოქროს შიბებით ყოფილა შემკული. ამ შიბებს მაგიური ძალა ჰქონიათ, მათი საშუალებით ანგელოზი ზეცას უკავშირდებოდაო. ზურაბ ერისთავს უფიქრია, სანამ ლაშარს მუხის ანგელოზი ფარველოძს, ფშავს ეერ დავიპყრობო და შესდგომია ბერძუნის მოჭრას. მაგრამ ღვთაებრივ ხეს ნაჯახი ვერაფერს აკლებდა: ბოლოს ზ. ერისთავმა ერთი ფშაველის ლალატით შესწლო თურმე ბერძუნის „გაუწყმინდურება“ და ამ გზით მისი მოჭრა. ამის შემდეგ ფშავსაც ადვილად სძლია<sup>31</sup>.

ეს ლეგენდა უეჭველად წარმართობასა და ქრისტიანობას შორის მწვავე ბრძოლის ადრინდელ საფეხურს ასახავს და ზ. ერისთავის სახელი შემდგომ დაუკავშირებიათ<sup>32</sup>. მაგრამ ახლა ამ საკითხის გარკვევას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნულ ლეგენდაზე მხოლოდ იმიტომ შეეჩერდით, გვეჩვენებინა თუ როგორაა შექრილი წარმართული რწმენის ელემენტები ხალხის მიერ დახატულ „შავეთში“. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ლექსში კოპალას მოხსენიება. თ. რაზიკაშვილისეულ ვარიანტში იახსარზეცაა საუბარი. მიცვალებული იქადის:

შავეთს რა გვიქირს უკლთა, წინ შუქი გვიდგა სანთლისა.  
...თუ სამ ხმა გა ტყდა, იახსონ, იქ წავალთ ცქენით, საგძლითა,  
გვერდს მიდგან მ ოჯაბრები, იახსარ უდგა ლახტითა<sup>33</sup>.

ფშავ-ხევსურთა წარმოდგენით კოპალა და იახსარი დევებთან მებრძოლი ღვთაებანია, რომლებიც ხალხს დარაჯად უდგანან და გამირობისა და ვაჟკაცობის ერთგვარ ეტალონებად არიან მიღებულნი. ფშავ-ხევსურეთში დღემდე შემორჩა კოპალასა და იახსარის ხატის დღეობანი, სადაც ამ ღვთაებებს მსხვერპლს სწირავენ და სადიდებლებით ხოტბას ასხამენ. ფოლკლორული ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ ხალხურმა მთქმელმა კოპალა და იახსარი შავეთშიც „დაასახლა“ და მათი შემწეობით თავი იქაც ლალად და უძლეველად წარმოიდგინა.

ნ. ხიზანაშვილი, ენება რა ხევსურთა რელიგიურ წარმოდგენებს, აღნიშნავს: საზოგადოდ რომ ითქვას, ხევსურის სულეთი მოკლებუ-

<sup>31</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, 1934, გვ. 198.

<sup>32</sup> ქს. ს ი ხ ა რ ე ლ ი ძ ე, ქართ. ხალხ. საგმრო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 162.

<sup>33</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 20.

ლია ფანტაზიის გავლენას და უფრო სააქაოს ფერი და მიმართულება ეტყობა. ასეც უნდა იყოს, რადგანაც ხევესური განწყენებულს მსჯელობას შეჩვეული არ არის და მისი გონება მარტო ახლო საგნებს თუ მისწვდება<sup>34</sup>.

როგორც ვხედავთ, ნ. ხიზანაშვილი ხევესურებს ნებისთ თუ უნებლიეთ ფანტაზიის ნაკლებობას უკიყინებს. უფრო მეტიც: ამ ლალ და გონებამახვილ ხალხს, ვინც პოეზიის განუშეორობელი შედეგები შექმნა, მკვლევარი „განწყენებული მსჯელობის“ უუნარობასა და გონებაშეზღუდულობას სწამებს.

ნ. ხიზანაშვილი ერთში მართალია: „ხევესურთა საიქიო“ მართლაც ამქვეყნიური ელფერით წარმოგვიდგება და ქრისტიანული მოძღვრებით დახატული საიქიოსაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგრამ ეს ამბავი მარტო ხევესურებს არ ახასიათებს. ვაჟა-ფშაველამ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ამ საკითხზე. იგი ემყარება ცნობილ სოციოლოგ სპენსერის თხზულებას და საყურადღებო მაგალითები მოაქვს: „ვენებიანი და სიცხისაგან დამწვარი მაჰმადიანი მოელის საიქიოს ჩრდილებში განცხრომას და ვნებათა კმაყოფილებას. სამოედს — ამ ყინულის შვილს — არ შეუძლიან ერთი კვირა იცოცხლოს, თუ ქონი არ სჭამა. ფიჯიელს ჰგონია, რომ საიქიოს მოჰყავთ მცენარეები, ოჯახები აქვთ, ომობენ, იბრძვიან, ერთი სიტყვით, საიქიოს იმასვე მოჰქმედებენ, რასაც სააქაოს“<sup>35</sup>.

თუმცა „სვანთა საიქიოში“ სმა-ჰამა არაა, მაგრამ სასმელ-საჭმელი აუცილებელია. ამიტომ ჭირისუფალი ყოველთვის ცდილობს თავის მიცვალებულს კარგი საკურთხი გაუყეთოს. სვანთა წარმოდგენით, სულები საიქიოში გაშლილ სუფრასთან სხედან და, საჭმლის სუნითა და მისი ცქერით ტკბებიან<sup>36</sup>.

ბ. ნიქარაძის ცნობით, სვანები მხოლოდ სინათლეში ვახშობენ. სიბნელეში სმა-ჰამა თურამე დიდ სირცხვილად მიაჩნიათ. ამ ჩვეულებას მათ „საიქიოშიც“ უპოვია გამოძახილი. სვანთა რწმენით წაწყმედილ მიცვალებულებს სულეთში ცალკე კუნძული უჭირავთ, სადაც ისეთი სიბნელეა, ერთმანეთს ვერ არჩევენ. ჭირისუფლის საკურთხი მათაც მისდით, მაგრამ საჭმელი უგემურია, რადგან სიბნელეში უნდა მოიხმარონ<sup>37</sup>.

ს. ცისკარიშვილის ლექსი საიქიოში მიცვალებულთა მდგომარეობას მათი ასაკის მიხედვით წარმოგვიდგენს:

<sup>34</sup> ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერება, 1940, გვ. 72.

<sup>35</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, 1956, გვ. 16.

<sup>36</sup> ბ. ნიქარაძე, დასახ. კრებ., გვ. 178.

<sup>37</sup> იქვე.

სულეთში ბერი-მოხუცი სუფრის თავს დასხდებოდა. .  
ახალგაზრდანი, ჟილინი, სულ ფეხზედ გლობდოდა,  
ლამაზ-ლამაზი ქალ-რძალნი სანთლის შუქს დასხდებოდა<sup>38</sup>.

ამ სტრიქონების მიხედვით ხალხის მორალურ-ეთიკური კოდექსის სამი მნიშვნელოვანი პუნქტი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ. 1. მოხუცისადმი პატივისცემა, 2. ახალგაზრდის რიდი და კრძალვა. 3. ქალისადმი თაყვანისცემა.

როგორც ცნობილია, საქართველოში უძველესი დროიდანაა დამკვიდრებული მოხუცისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. ეს ჩვეულება კიდევ უფრო ფართოდაა ფესვგადგმული მთიელ ტომებში. მკვლევარი ს. მაკალათია ისტორიულ ასპექტში წარმოგვიდგენს რა მოხვევთა სოციალურ და ეთნოგრაფიულ ყოფას, აღნიშნავს რომ ამ კუთხეში თემური წყობილების გადმონაშთები გვიანობამდე შემორჩა. „ოჯახის სათავეში დგას უხუცესი მამაკაცი „სახლის უფროსი“ და უხუცესი დედაკაცი „დიასახლისი“. უფროს მამაკაცს თავისი საკუთარი საპატიო „სამარტო სკამი“ აქვს. ამ უფროსების პატივისცემის წესებიც არსებობდა, რასაც წინათ მტკიცედ ასრულებდნენ. საღმის დროს ოჯახის უფროსებს ყველანი ფეხზე უდგებოდნენ. როცა უფროსი წყალს დალევდა, ან ცხვირს დააქემინებდა, ყველანი ფეხზე დგებოდნენ. მათ წინ გავლაც არ შეიძლებოდა, შორით უნდა მოევლოთ“<sup>39</sup>.

კიდევ მეტის თქმა შეიძლება ქალის კულტზე. საქართველოში ქალი უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. საქმარისია გავიხსენოთ მთაში გავრცელებული ჩვეულება: ქალი თუ დანასისხლად გადაკიდებულ მოჩხუბრებს შორის მანდილის ჩაფენას მოასწრებდა, ჩხუბი მაშინვე შეწყდებოდა.

ზემოთ ციტირებულ ლექსში მოხუცებულნი სუფრის თავში სხედან, ქალებსაც სანთლის შუქთან უკავიათ საპატიო ადგილი, ახალგაზრდები კი ფეხზე დგანან და უფროს თანამესუფრეებს უმღერიან. ამგვარად, ხალხმა ცხოვრებისეული სიმართლე „საიქიოში“ გადაიტანა და სულების ურთიერთდამოკიდებულება ამქვეყნიური ზნეობრივ-მორალური კოდექსით განსაზღვრა.

მთიელი ტომების საზოგადოებრივი მართვა-გამგეობა თემური წყობილების დროს მარტივი იყო. მაგალითად, ფშავეში ცალკეულ თემს ხევისბერი განაგებდა, მთელი ფშავეს ხევს კი — თავხევისბერი. გარდა ამისა იყვნენ კიდევ „პუნენი“, რომლებიც ხევისბერის მეთა-

<sup>38</sup> ფ. არქ. კ<sup>25</sup>, გვ. 164.

<sup>39</sup> ს. მაკალათია, ხეი, 1934, გვ. 98.

ურობით ყოველგვარ სათემო საქმეებს არჩევდნენ. საინტერესოა, რომ ხალხის წარმოდგენით „შავეთსაც“ ანალოგიური გამგებლობა ჰყავს, რომელსაც სულთა ცოდვა-მადლის განსჯა ევალება. „ბჰენი“, „მოსამართლენი“ ანუ „მეუფროსენი“ მიცვალებულთა ამქვეყნიურ ნამოქმედარს სასწორზე წონიან და თითოეულს დამსახურებისამებრ უსაზღვრავენ ადგილს სამუდამო სამყოფელში.

შავეთში სულთქმის ციხე დგა, წვერ ცამდე მიმდინარია. შიგ ხელან მოსამართლენი, რომლებიც მართლის მოქმედებია<sup>40</sup>.

ანდა:

შამოუარე შავეთსა, ვერ მახუხლე კარია,  
შაეთის მეუფროსესა სამჭერ დაუეკარ თაეია<sup>41</sup>.

სულეთ-შავეთის ციკლის ნაწარმოებებში განსაკუთრებით ხშირად წყარო იხსენიება:

თეთრი ციხე დგას სულეთში, წვერი ცას მიმდინარია.  
ბოლოზედ ვეშა წყარო დის, სასმელად გემნიერია<sup>42</sup>.

ხალხურ პოეტს საიქიოს დანატღისას ბავშვის სათამაშოებიც არ ავიწყდება:

ბალღების საფერებლად წყალი გადმაჰყრის მძივსაო,  
დაეხვევან ბალღები, ჟრიაძული დგა ცისაო<sup>43</sup>.

წყაროზე უმთავრესად ფშავ-ხევისურულ პოეზიაშია საუბარი. ეს გასაგებიცაა: მთის სიდიადის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი მისი ცივი წყაროებია. მთიელი, რა თქმა უნდა, მთის წყაროს სიკვდილის შემდეგაც ვერ შეეღევა და საიქიოს უიმისოდ ძნელად წარმოიდგენს. ამასვე ვერ ვიტყვით მარილზე, რომელიც ს. მაკალათიასეულ ვარიანტში იხსენიება<sup>44</sup>. მარილს ძველად ყოველდღიურ საჭიროებასთან ერთად საღვთო დანიშნულებაც ჰქონდა. მაგალითად, სვანები მსხვერპლს უმარილოთ ვერ შესწირავდნენ. ისინი მარილს იმ ფქვილში ურევდნენ, რომლიდანაც ღვთის შესაწირავი პური (ლემზირ) უნდა გამოეცხოთ. მარილს უეჭველად გადააყრიდნენ აგრეთვე მიცვალებულთა საპატივცემულოდ გაშლილ საუფრას<sup>45</sup>.

<sup>40</sup> ლიტ. მუზეუმი, H 2025.

<sup>41</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 18.

<sup>42</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 600.

<sup>43</sup> ფ. არქ. კ<sup>25</sup>, გვ. 88.

<sup>44</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 180.

<sup>45</sup> ბ. ნ ი ე რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 180.



აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ცრუ რწმენაც: სუფრაზე მარილის დაბნევა თითქოს ჩხუბის მომასწავებელი იყოს. ჩვენი აზრით, ამ რწმენას სინამდვილე უდევს საფუძვლად. ვინაიდან მარილი ერთ დროს ძალიან ძნელად იშოვებოდა, მისი დაბნევა უეჭველად ნაწყენობისა და ჩხუბის მიზეზი იქნებოდა. დროთა განმავლობაში მარილის მოპოვება გაადვილდა და ეს ძვირად ღირებული ნივთიერება ჩალის ფასი გახდა. დროთა განმავლობაში ხალხმა ამ პროდუქტის სიძვირე დაივიწყა, ხოლო ის გარემოება, რომ მარილის დაბნევა ჩხუბის მიზეზი იყო, ცრურწმენად იქცა. „შავეთის“ ლექსში კი მარილი კვლავ ძვირად ღირებულია, რაც ძველი დროიდან უნდა მომდინარეობდეს.

სულეთში მატყლი, მარილი, თეთრი ხარისა ფასია<sup>46</sup>.

„შავეთ-სულეთის“ ლექსებში ლაპარაკია აგრეთვე ცბენებზე:

გვერდით გვიბაეის ცხენები, დაყაჩრულები. ლაგმითა<sup>47</sup>.

ანდა:

სულეთში სადამ ჩავედი, ჩემის მიმინოს ცხენითა,  
შამომყვენნ მოქიშპეები, მოლაღატენი ენითა<sup>48</sup>.

ცხენი ქართველი კაცის საიმედო ძალა იყო როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომში. არქეოლოგიური გათხრებით დამტკიცდა, რომ ქართველთა შორეული წინაპრები ცხენს თაყვანს სცემდნენ და წმინდა ცხოველად წარმოიდგენდნენ. ამიტომაც, რომ ცხენს „სულეთ-შავეთშიც“ საპატიო ადგილი უჭირავს. იგი ხშირად სულის თანამგზავრია საიქიოში. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ცხენი სამგლოვიარო რიტუალადაც უკავშირდება. მაგალითად, ხევსურეთში ასეთი წეს-ჩვეულება იყო: „მცვალებულთან დააყენებენ მის „სულის ცხენს“, რომლის აღვირი მიცვალებულს მარცხენა ხელში აქვს გამობმული. ხევსურის წარმოდგენით ვაჟკაცს საიქიოშიც სჭირია ცხენი, რომლითაც ის ეგებება საიქიოში მიმავალ სულებს და მათ სააქოს ამბებს გამოკითხავსო. ამიტომ კარგ ვაჟკაცს ოჯახმა სულის ცხენი უნდა დაუყენოს“<sup>49</sup>.

ქრისტიანული მოძღვრება მიცვალებულებს საიქიოში მეტა-მეტად პასიურებად, დაბეჩავებულებად და საცოდავად გვიხატავს.

<sup>46</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 150.

<sup>47</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის ოედ., გვ. 20.

<sup>48</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, გვ. 157.

<sup>49</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, 1935, გვ. 202.

მათ მხოლოდ მოთქმა და ტირილი შეუძლიათ, სხვას ვერაფერს ახერხებენ, „სულეთ-შავეთის“ ციკლის ნაწარმოებებში კი მიცვალებულნი ხშირ შემთხვევაში ისე არიან საბრძოლველად შემართულნი, თითქოს საიქილო მათი მოქმედებისა და მამაცობის ასპარეზი იყოს. ამიტომაც, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მკვდრის გაპატიოსნება თავისებურად იცინან. მაგალითად, ხევსურები მიცვალებულს საგანგებოდ ამზადებენ. ისინი მომაკვდავ ვაჟაკს მარჯვენა ხელში ხმალს ჩაუდებენ, მარცხენაში — ანთებულ სანთელს და ეტყვიან: „იალიმც შეხვალ, იახში გზაიმც ხსნილი გაქვს, სულიმც იალი გზათაც ინათები, ბნელამშიაც ნუ დარჩები, ნუმც რა დაგაშინებსა, ხმლითამც ილალო, ტერსამც იბრუნებო, გულმაგრადაც ხარო. თავსებაც შეეყრები, ცნობა, ნდობითა, განათლებითა ერთადამც ხართო, ძმა ბიძაშვილნო“<sup>50</sup>.

ლექსში „შავეთს რა გვიჭირს“ მიცვალებული ერთგვარი თავმომწონებით ამბობს:

გვერდით გვიბავის ცხენები, დაყაჯრულები, ლაგმითა,  
თუ სამ ხმა ვატყდა, იძახონ, იქ წავალთ ცხენით, საგძლითა<sup>51</sup>.

ეს კიდევ არააფერი. „სულეთ-შავეთში“ თურმე სისხლისმღვრელი ომიც ყოფილა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სასიკვდილოდ ხმლის მოქნევაც:

ომ იყვა სულეთის კარა, ჩემნიც იქ იყვნენ ძმანო,  
ხანჩრების იღვა პრიალი, კაცის არ იყვა ჩქამიო.  
იქნედეც სასიკვდილოსა, ერთს სხვის არ პქონდა ყამიო<sup>52</sup>.

„სულეთ-შავეთის“ ციკლის ნაწარმოებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მორწმუნე კაცს სიკვდილი და საიქიოს „გამგზავრება“ მთელ რიგ შემთხვევებში დიდად არ ანალვლებს. მისი წარმოდგენით, ამქვეყნიურა სიცოცხლე დროებითია, მუდმივი სამყოფელი კი საიქიოა, სადაც აღამიანი კვლავ განაგრძობს ცხოვრებას და ის ცხოვრება არასდროს დასრულდება. საიქიოში მისი სამუდამო ცხოვრების ავ-კარგი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმოღეაწა მან ამ ქვეყნად. ამიტომ იგი ცდილობს სააქაო ცხოვრება პატიოსნად გაატაროს, სასუფეველის წინაშე რომ პირნათლად წარსდგეს. ამ შემთხვევაში მისი აზროვნება მთლიანად ქრისტიანული მოძღვრებითაა განსაზღვრული.

<sup>50</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 198.

<sup>51</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 20.

<sup>52</sup> ფშავ-ხევსურული პოეზია, ივ. ხორნაულის შეკრ., გვ. 228.

გაზეთ „კავკაზში“ საინტერესო წერილია გამოქვეყნებული სვანთა სამგლოვიარო წეს-ჩვეულებების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ მიცვალებულის დასაფლავების წინ იწყება დატირება: „კაცუბისაგან შემდგარი გუნდი ვალობს საგალობელ ჰიმნს, რომელშიაც მოცემულია ის შინაარსი, რომ განსვენებული ბედნიერია, რადგან მან უკვე დატოვა წუთისოფელი და გადავიდა ბუღმივ სამყოფელში“<sup>53</sup>.

ამ ცნობას ბ. ნიქარაძეც ადასტურებს. იგი აღნიშნავს, რომ თუ სვანს ვინმე ძალიან ახლობელი გარდაეცვალა, ისიც მალე სიკვდილს ნატრობს, რადგან იმედი აქვს საიქიოში თავის მიცვალებულს შეეყრება. სვანის ერთ-ერთი დამარწმუნებელი ფიცი ასეთია: „თუ ეს ასე არ იყოს, ჩემის სიხარულის (მიცვალებულის) შეყრამც მომსკობიაო“<sup>54</sup>.

მორწმუნეთა წარმოდგენა კიდევ უფრო შორს მიდის. მათ სჯერათ, რომ მიცვალებულთა სულები ცოცხლებთან კავშირს არ სწყვეტენ. „რადგან მიცვალებულის სული შეიძლება ცოცხლებთან გარკვეულ-კეთილ ან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს, ამის გამო გარდაცვლილთა სულებს სხვადასხვა წესით იმადლიერებენ, მათთან კეთილ განწყობილებას ამყარებენ“<sup>55</sup>.

მიცვალებულთა სულების მოსამადლიერებლადაა სვანეთში დაწესებული დღეობა, რომელსაც „ლიფანალს“ უწოდებენ. სვანთა რწმენით, ყოველი წლის ზეთ იანვარს ჰირისუფლებს საიქიოდან ესტუმრებიან სულები და პირველ ორშაბათამდე რჩებიან. ამ დღეობისთვის ჰირისუფლები საგანგებოდ ემზადებიან: კლავენ საკლავს. აცხობენ ნამცხვარს და ცდილობენ რაც შეიძლება გულუბვი სუფრა გაშალონ: „ამას ავალებს, ერთის მხრივ, პატივისცემა იმის წინაპართ სულებისადმი და, მეორეს მხრივ, შიში, რადგანაც სვანი დარწმუნებულია, რომ თუ იმან მომღურავი გაუშვა მიცვალებულთა სულები, უკანასკნელნი სასტიკად დასჯიან: მოუვლენენ სნეულებას. მოუკვლენ ოჯახის წევრს, წაუხდენენ ნახნავ-ნათესს, ამოუწყვეტენ პირუტყვს და სხვა მრავალს უბედურებას გადაჰკიდებენ“<sup>56</sup>.

აღსანიშნავია, რომ მიცვალებულს ზოგჯერ მეთისმეტად ლაღად გვიხატავენ, ხოლო მის მუღმივ ადგილსამყოფელს ყოველი სიკეთით შემკულ დარბაზად:

<sup>53</sup> ე. ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ძ ე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, 1965, გვ. 177.

<sup>54</sup> ბ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 182.

<sup>55</sup> მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 352.

<sup>56</sup> ბ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 182.

შვეთში შუქი დაგენათის, არვის გეგონოთ საწყლადა,  
სახლ გვიდგა მუხის, წიფელის, შივ კვამლი გვიდგა საკმლადა.  
სკამ გვიდგა სასვენებელი, კარ გვიბავ ცოდვა-მადლისა,  
წინ გვიდგა ოქროს ტაბაკი, შუქი ეღვრება სანთლისა,  
ტაბაკზე კურპლული დგა, სავსე ნაყურთხის სასმლითა<sup>57</sup>.

ერთ ლექსში კი მომაკვდავი ვაეკაცი კირიშუფალს ევედრება:

შავეთს ფული გამაყოლეთ, ნისიათ ავიკები.  
იქაც ღუქან-ბახარია, განა იქ არ დავითვრები?!<sup>58</sup>

მაგრამ ყოველთვის ასე არაა. „სულეთ-შავეთის“ ციკლის ნაწარმოებებში არც თუ იშვიათად ვხვდებით ადამიანის ცხოვრებისადმი ჩანსალ, მატერიალისტურ მიდგომას. ლექსის ლირიკულ გმირს საიქიო მოგონილ, ტყუილ ამბად მიაჩნია და ადამიანის სიცოცხლეს წარმავალად თვლის. ამ აზრს მხატვრული შედარების გზით ასე მოხდენილად გადმოგვცემს:

ეს ხომ იყო, — გაზაფხულზე ტყის ფურცელი გაიშლება,  
მას რომ ვადები მოუვა, ისევ ძირსა გასცვივდება.  
ისე ჩვენცა გადავდივართ, დღე-ღამე არ გაჩვენდება<sup>59</sup>.

უბედებით საფლავში მიცვალებულისათვის საბრძოლო იარაღებისა და სხვა მოსახმარი საგნების ჩაყოლებს კრიტიკასაც. მიცვალებული შავეთიდან ასეთ ფაფრთხილებას იძლევა:

არ გაიყოლოთ შავეთში სამკლავე, საფუხარია.  
მეც ჩამაყოლეს საფლავში, მაგრამ ვერ მოვიხმარე.  
ან როგორ მოვიხმარებდი, ვერ გავამჩრე მხარია,  
კუბო ღვართქაფმა დაშალა, ჩამოძლიოდა წყალია<sup>60</sup>.

ლექსი „შავეთში“ მიცვალებულთა მეტად მძიმე და სავალალო მდგომარეობას გვიჩატავს. მიწა ადამიანს არარაობად და მტვრად აქცევს. ახლადდასაფლავებულ ვაეკაცს აოცებს შავეთის დუხჭირი პირობები და შავეთლების უმწეობა.

ჩამოშლილიყო მიწანი, ჩამოძლიოდა წყალია.  
სხვას ყველას გაეძლებოდა, სურიელს ექნა ძალია.  
ვაესა წასძოვა უღვაში, ქალსა გიშრისა თმანია<sup>61</sup>!

საგულისხმოდ ისაა, რომ აქ ცოდვილთა ადგილსამყოფელზე კი არაა საუბარი, არამედ საერთოდ მიცვალებულის მდგომარეობაა

<sup>57</sup> ფ. არქ. კ<sup>21</sup>, გვ. 12.

<sup>58</sup> ლიტ. მუზეუმი, H 1990.

<sup>59</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, I, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 229.

<sup>60</sup> ფ. არქ. კ<sup>1</sup>, გვ. 17.

<sup>61</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 18.

დახატული. ხალხურ პოეტს ამ შემთხვევაში მიაჩნია, რომ სიკვდილი და საფლავი უცოდველისთვისაც და ცოდვილისთვისაც ერთნაირად შემაზარზენი და შემაძრწუნებელია.

„ღვთისმშობლის მიმოსვლაში“ წმიდა მარიამი მიქელ მთავარანგელოზის დახმარებით შესძლებს საიქიო მისაგებლის ნახვას და ტანჯულთა ხილვას. ხალხურ ნაწარმოებთა გმირები როგორღა ახერხებენ ამავე მისიის შესრულებას? უნდა ითქვას, რომ ფოლკლორში „სულეთ-შავეთის“ ხილვის რამდენიმე საშუალება და გზაა წარმოდგენილი. დავიწყოთ სიზმრით.

სიზმარი უძველესი დროიდან უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე და მრავალი ცრურწმენის საბაბს იძლეოდა. „ძველად და პრიმიტიულ ხალხებში დღესაც გავრცელებულია შეხედულება, რომ, როდესაც ადამიანს ღძინავს, მისი სული შორდება სხეულს, მოგზაურობს და სხედავს იმას, რასაც ადამიანი სიზმრის შინაარსის სახით განიცდის“<sup>62</sup>. სიზმრის შინაარსი ძირითადად წარმოდგენები და გრძნობები<sup>63</sup>. რელიგიურად მოაზროვნე ადამიანის წარმოდგენები და გრძნობები კი ხშირად საიქიოზე ფიქრითაც განისაზღვრება. ამიტომაც, რომ იგი სიზმარში „ხედავს“ საიქიოს ამბებს, რასაც შემდეგ სინამდვილედ წარმოიდგენს. ასე შეიქმნა საიქიოში მძინარათა სულის მოგზაურობის ამახველი ფოლკლორული ნაწარმოებნი.

შენ შინახავის სიზმარი, დიდ იდგა ცოდო-ბრალიო,  
ლოდის ლოგინჩისამ ვიწვე, ჩამამდიოდა წყალაო.

ასე იწყებს თავის სიზმარს ერთი ლექსის ლირიკული გმირი და შემდეგ გვიამბობს, თუ რა ნახა მან შავეთში მოგზაურობისას. მას ახარებს, რომ სხვებთან ერთად თავის ახლობელსაც შეხვდა:

მოვიდა ჩვენი ჩიხაი, ღმერთო, დასწერე ჭვარიო!  
შათამშებს ბეთოსა ყმაწვილი უმეცარიო<sup>64</sup>.

საიქიოს ზოგჯერ ედგმსაც უწოდებენ, მაგრამ ისე გვიხატავენ, ედგმს სულაც არა ჰვავს.

სიზმრათა ვნაზე ედგი ადმოსაელეთის თავშია,  
არცა მზე იყო, არც მთვარე, არცა ვარსკვლავი ცაშია<sup>65</sup>.

ფოლკლორული ნაწარმოების გმირს სიზმარში ზოგჯერ ანგელოზი შეხვდება და საიქიოს მისი დახმარებით მოინახულებს. რუ-

<sup>62</sup> რ. ნ ა თ ა ძ ე, რა არის სიზმარი?, 1948, გვ. 14.

<sup>63</sup> ი ქ ე ე, გვ. 16.

<sup>64</sup> ფშავ-ავესურული პოეზია, 1949, გვ. 228.

<sup>65</sup> თუშური პოეზია, 1962, გვ. 90.

სულ ენაზე გამოქვეყნებული ერთი ქართული ლეგენდა მოგვითხრობს ბერიკაცის ამბავს, რომელსაც ზურგით მარილის ლოდი მიჰქონდა და ამ ტვირთს ვერაფრით იშორებდა. ბერიკაცი მძიმე ტვირთის გამო ღვთისადმი სამღურავს გამოთქვამდა. სიზმარში მას ანგელოზი გამოეცხადა და გარკვეული პირობით სამოთხეში წაიყვანა. იქაურობას დაგათვალეერებინებო. ბერიკაცმა პირობა დაარღვია, რის გამოც იმ წამსვე გაეღვიძა და კვლავ თავის მძიმე ტვირთთან აღმოჩნდა<sup>66</sup>.

1882 წელს ჩაწერილი ლეგენდის გმირი ლეგა თეგერაშვილი საიქიოში შემთხვევით მოხვდება. მას ერთ საღამოს კვიციანი ცხენი დაეკარგება და მის მოსანახად საძოვარზე გაეშურება. როცა კარგად დაღამდება, ერთ ქალს შეხვდება, რომელიც მეზობლის ცოლი ეგონება. ქალი ბერიკაცს მოტყუებით შინ წაიყვანს, სახლის კარს ჩაუქეტავს და ცდუნებას მოუწოდებს. საწადელს რომ ვერ მიაღწევს, ბერიკაცის მოტყუებას განიზრახავს, საიქიოს გზას უჩვენებს: სმას დაადექ და შინ მიხვალო. ბერიკაცი შავეთში აღმოჩნდება. ბოლოს დაკარგული ცხენ-კვიცის მაძიებელს კოპალა უშველის, წინ გაუძღვება და გათენებისას სააქაოში დააბრუნებს.

ამ ლეგენდას დროთა განმავლობაში ზღაპრული ელფერი მიუღია, მაგრამ ძირითადი ბირთვი—წარმართული საიქიოს სურათი მაინც კარგადაა შენარჩუნებული, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ<sup>67</sup>.

საიქიოში მოგზაურობს აგრეთვე გმირი ზღაპარ „მზის ქალისა“, რომელიც ვრცლად განიხილა და საგულისხმო დასკვნები მოგვცა პროფ. მ. ჩიქოვანმა<sup>68</sup>. „მზის ქალი“ ვრცელი ზღაპარია, რომლის გმირსაც ძნელად შესასრულებელი ტრადიციული დავალებანი ეძლევა. ერთი დავალება ასეთია: წავიდეს საიქიოში და იქიდან ხელმწიფის დედის ბექედი წამოიღოს. ზღაპრის გმირი მზის ქალის დახმარებით მართლა მიაღწევს საიქიოს, სადაც მის თვალწინ ცოდვილთა ტანჯვის მეტად კოლორიტული სურათი გადაიშალა. მან დასჯილთა ამბები დაწვრილებით გამოიკითხა და სააქაოში მძიმე შთაბეჭდილებით დაბრუნდა<sup>69</sup>.

მორწმუნე ხალხი სულეთის ამბავს უფრო ხშირად მესულთანეების მეშვეობით გებულობდა. მესულთანე განსაკუთრებული თვი-

<sup>66</sup> Сборн. матер. для опис... X, III, стр. 75.

<sup>67</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, IV, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 31.

<sup>68</sup> ხალხური სიტყვიერება, V, მ. ჩიქოვანის რედ., 1956, გვ. X.

<sup>69</sup> რჩეული ქართ. ხალხ. ზღაპრები, ე. ვირსალაძის რედ., 1949, გვ. 75.

სებებისა და უნარის მქონე პიროვნებას წარმოადგენდა, რელიგიური ექსტაზით შეპყრობილს სულეთსა და სააქაოს შორის მეკავშირის ფუნქცია რომ ეკისრებოდა. მესულთანე ქალი იყო, ოღონდ ოც წელზე ნაკლები ასაკისა ვერ იქნებოდა. მესულთანე ჩვეულებრივ ხვით მოტირალი ხდებოდა. „მესულთანეს სულთან ლაპარაკი უფრო ემარჯვება, როცა სოფელში ერთი წლის მკვდარია და მისი ტალავარი გაშლილია. სულთან საუბრის დროს მესულთანე არაყს დაღევს, მიწაზე წვება და თავს მოიმკვდარუნებს, თან კი ბუტბუტებს, ვითომც სულებს ესაუბრება. შემდეგ ადგება და მიცვალებულის პატრონს გადასცემს სულის მოთხოვნებს“<sup>70</sup>.

მესულთანე ზოგჯერ ერთგვარი სიამაყით აცხადებს, რომ საიქიო თავისი თვალით იხილა და ლექსში გადმოცემული ამბავი ჭრული შემარტიბება:

ამაგის მალექსებელი მალა მე ვიქე სკამზედა,  
აქაურ არა გეგონას,—სულეთს მიაბებს ჯარზედა.  
იქ ვიყავ სამ-ოთხ კვირასა, ჯელ ვერ დავიდე კმალზედა<sup>71</sup>.

ზოგიერთ ლექსში საუბარია ე. წ. „სულის მკრეფლებზე“, რომლებიც სულეთსა და სააქაოს შორის მეკავშირეებიც არიან და შავეთის გზაზე მიცვალებულთა სულების მეგზურებიც. ამასთან ისინი ზოგჯერ ძალდატანებას იჩენენ და ადამიანები მოუსაველეთში იძულებით მიჰყავთ.

სულის მკრეფლები დადიან, ივანე და ორნიე ხხვანი.  
არ მოგვეშენენ, წაგვიყვანეს, შორი გზაზე გაგვატარეს<sup>72</sup>.

ანდა:

მე და ივანე კავთელი სულის საკრეფად წავედით,  
სული ბევრი მოვაქჩხეთ, გავიარეთ ვიწრო გზანი<sup>73</sup>.

ვინაა ივანე კავთელი, ზოგ ვარიანტში კარტელად რომ იხსენიება? ან ის ვინაა, სულის „მკრეფლად“ რომ მოაქვს თავი და საიქიოს ამბავს გვიყვება? ჩვენი აზრით, აქ ტექსტისადმი მთქმელთა დაუდევარი დამოკიდებულების შემთხვევა უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს აღნიშნული ლექსის თუშური ვარიანტი, სადაც ვკითხულობთ:

სულის მკრეფლები მოსულან მიქელი და გაბრიელი,  
არ გამიშვეს, წამიყვანეს, გამატარეს ღიდი გზანი<sup>74</sup>.

<sup>70</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხვესურეთი, გვ. 216.

<sup>71</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 600.

<sup>72</sup> ფ. არქ. 12550.

<sup>73</sup> ფ. არქ. უმიკ. 233.

<sup>74</sup> ფ. არქ. 885.

ამგვარად. ივანე კავთელი და მისი თანამონაწილე არაფერ შუ-  
აშია, სულის მკრეფლები მიქელი და გაბრიელი ყოფილან. ეს მი-  
ქელ და გაბრიელი კინლა არიან? ანდა „სულის მკრეფლობა“ რა-  
ლას უნდა ნიშნავდეს?

„სულეთ-შავეთის“ ლექსებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ  
„სულის მკრეფლობა“ საიქიოსათვის სულთა შეკრებას, შეგროვებას  
ნიშნავს. ე. ი. მიქელი და გაბრიელი დადიან ამ ქვეყნად, ადამიანებს  
კლავენ და მათ სულებს შავეთში კრებენ, აგროვებენ. სახარებები-  
ზიდან ვიცით, რომ მიქელი ანუ მიხეილი მთავარანგელოზია. ანგე-  
ლოზია გაბრიელიც. ხალხს მიქელი და გაბრიელი რატომღაც ერთმა-  
ნეთისთვის დაუკავშირებიათ და მათ ცალ-ცალკე იშვიათად ახსენე-  
ბენ. უფრო მეტიც: ისინი ერთ პიროვნებათაც წარმოუდგებათ: „მი-  
ქელ-გაბრიელს“ რომ ამბობენ, ზოგჯერ მხოლოდ ერთ სულთამხუ-  
თავს გულისხმობენ.

„ღვთისმშობლის მიმოსვლაში“ მიქელ მთავარანგელოზი წჱ.  
მარიამს ახლავს თან და მასთან ერთად ჯოჯონეთში ცოდვილთა  
ტანჯვა-წამებას ეცნობა. მის „სულის მკრეფლობაზე“ კი არაფერ-  
ია ნათქვამი რაც შეეხება გაბრიელს, იგი აღნიშნულ აპოკრიფში  
საერთოდ არ იხსენიება. მაშ საიდან გაჩნდნენ ისინი ზემოთ ხსე-  
ნებულ ლექსში?

ქართულ ენაზე მოგვეპოვება აპოკრიფების ერთი საგანგებო  
კრებული, რომელიც „მარგალიტის“ სახელწოდებითაა ცნობილი.  
ამ კრებულში თავმოყრილია როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის  
აპოკრიფები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთ  
ძეგლს: „კითხვა-მიგება გრიგოლი ღვთისმეტყველისა ანგელოზის  
მიერ“<sup>75</sup>.

ამ აპოკრიფის მოკლე შინაარსი ასეთია: გრიგოლ განმანათლე-  
ბელი შეევედრება უფალს, სამი საათით ანგელოზი მომივლინეო.  
უფალმა მოუვლინა. გრიგოლ განმანათლებელი ანგელოზს შეეკი-  
თხება, თუ შეიტყობს სული პატივს ან ცოდვას, ადამიანს თავზე  
რომ დაადგები სულის ამოსართმევადო? შეიტყობსო, უპასუხებს  
ანგელოზი და შემდეგ ჰყვება, თუ როგორ ტანჯავს იგი ცოდვილს  
სიკვდილის დროს, ხოლო „სულსა მართლისასა“ ნეტარებით ჩაიბა-  
რებს<sup>76</sup>.

უეჭველია, ამ აპოკრიფმა ხელი შეუწყო მიქელ-გაბრიელზე  
ხალხური ლეგენდების შექმნას. ერთი ასეთი საინტერესო ლეგენ-  
და თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია ფშავში. „ღმერთმა უბრძანა მი-

<sup>75</sup> კ. კ. ე. ე. ლ. ი. ძ. ე. დასახ. წიგნ. გვ. 413.

<sup>76</sup> ალ. ხაზიკაშვილი, ქართ. სიტყვიერების ისტორია, 1914, გვ. 101.



ქელ-გაბრიელს, გადაეშვი დედამიწაზედ, იქ ამა და ამ სახლში რომ დედაა, სული ამონადე და ამომიტანეო," ასე იწყება ეს ლეგენდა. შემდეგ მოთხრობილია. მიქელ-გაბრიელს თუ როგორ შეებრალა პაწაწა ბაღების დედა, ღვთის ბრძანება არ შეასრულა და ამის გამო კიდევაც დაისაჯა: „წაიყვანეთ და გული ამოგლიჯეთო, ბრძანა უფალმა. წაიყვანეს მიქელ-გაბრიელი, გაუპეს მკერდი და გულ-ღვიძლი ამოაცალეს. მას შემდეგ აღარავის იცოდებს და ერთ-ნაირ მუსრს ავლებს საწყალსა და გაჭირვებულს, პატრონიანს და უპატრონოს“<sup>77</sup>.

მიქელ-გაბრიელის უღმობლობა და სულთამხუთათობა კარგად ჩანს ქართლში ჩაწერილ ლეგენდაში<sup>78</sup>.

ვიმეორებთ: ივანე კართელი და მისი თანამონაწილე სულეთ-შავეთსა და სააქაოს შორის მეკავშირეებად ვერ ჩაითვლებიან. მათ ზემოთ მოტანილ ლექსებში მიქელ-გაბრიელის ადგილი უკავიათ მთქმელთა გულმავიწყობითა თუ დაუღვევრობით.

ამგვარად, სულეთ-შავეთში მოგზაურობენ და საიქიოს ამბებს გადმოგვცემენ მესულთანეები. გარდა ამისა, ხალხურ ნაწარმოებთა გმირები სულებს უკავშირდებიან სიზმრით, ჯადოსნური საგნით. ანდა საიქიოში შემთხვევით მოხვდებიან. ამ მხრივ ფოლკლორული ტექსტები „ღვთისმშობლის მიმოსვლისგან“ სრულიად განზე დგას და ამ უკანასკნელის გავლენა არ შეიძინევა. ახლა ის ვიკითხოთ: რამდენად ორიგინალურია ხალხურ ნაწარმოებთა გმირების მიერ ნანახი „სულეთ-შავეთის“ სურათი. „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ ტექსტთან შედარებით?

ჩვენ ზემოთ „ღვთისმშობლის მიმოსვლა“ ეპიზოდებად დავშალეთ და თანმიმდევრობით გამოვყავით ცოდვილთა ყველა დანაშაული და სასჯელი, რაც კი ტექსტშია მოცემული. ახლა ასევე თანმიმდევრობით მივყავთ „სულეთ-შავეთის“ ციკლის ფოლკლორულ ნიმუშებსაც. დავიწყეთ ისეთი ნაწარმოებით, სადაც მიცვალებულთა არც დანაშაულზეა რამე ნათქვამი და არც სასჯელზე. ლეგენდა „ლეგა და კოპალეს“ გმირი ლეგა თეგერაშვილი საიქიოში შემთხვევით რომ მოხვდა, მის წინაშე ასეთი სურათი გადაიშალა: „მზე კი არ არის, მაგრამა ისე მუშაობენ, რომა ზმას არავინ იღებს, ვისაც გამარჯვებას ეტყვის, მადლობასაც კი არ უხდისან. ხალხში ბევრი იცნო თავისი მეზობლები და აგრეთვე პირუტყვები. ის კაცები იცნო, რომლებიც იმის დროს წყალში დაიხრჩენენ, პირუტყვებიც ისინი ნახა და იცნო, რომლებიც უსულოდ იყვნენ დახოცი-

<sup>77</sup> თ. ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფოლკლორი, 1941, გვ. 201.

<sup>78</sup> ფ. არქ. კ<sup>87</sup>, გვ. 31.

ლები. ასე რომა. ერთი კოკლითხა ერთს იმის მეზობელს, წყალში და-  
მხრჩვალს დაუკლეს. ის და წყალში დამხრჩვალი კაციც ორნივე იქა  
ნახა ერთათა“<sup>79</sup>.

საიქიოს ეს სურათი მოგვეგონებს ვაჟა-ფშაველას მიერ აღწე-  
რულ „ფშავთა საიქიოს,“ რომელსაც აპოკრიფის გავლენა სულაც  
არ ემჩნევა და წარმართული რწმენის კვალს ძალუმაღ ატარებს<sup>80</sup>.

ხალხურ ნაწარმოებებში აღწერილი დანაშაულობანი ძირითა-  
დად ზნეობრივ-ეთიკური ან იურიდიული ხასიათის დანაშაულობა-  
ნია და რელიგიასთან ნაკლები კავშირი აქვს. ჯოჯოხეთში სულთა  
ტანჯვა-წაპების მიზეზი ზოგჯერ მათი ამორალური საქციელია, ზო-  
გჯერ კი სახელმწიფოებრივი სამართლის დარღვევა. ამ მხრივ „სუ-  
ლეთ-შავეთის“ ციკლის ფოლკლორულ ნიმუშებს ერთგვარი დი-  
დაქტიკურ-აღმზრდელობითი ფუნქციაც გააჩნიათ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცოლ-ქმრული ურთიე-  
რთობის სიმტკიცეს. ხალხის შეხედულებით, ოჯახის დანგრევა  
ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაულია. გაყრილი ცოლიცა და ქმ-  
რიც ერთნაირ ცოდვილებს წარმოადგენენ და ჯოჯოხეთის სიმწვა-  
ვესაც თანაბრად ინაწილებენ.

ახლად გაყრილი ცოლ-ქმარი სულეთში გაჩვენდიანო,  
არცა აქეთ თვალთა სინათლე, არც ბაგედ იშლებიანო,  
მათ მხილველ ბერნი-მოხუცი მათ ცოდვთ იწვებიანო<sup>81</sup>.

ხალხის სამართალი ქალის მიმართ მკაცრი და ნაკლებ შემწყ-  
ნარებელია. მას ქმარი თუნდ სულაც არ უყვარდეს და ამის გამო  
წინაგანად იტანჯებოდეს, მაინც სიკვდილამდე მეუღლის ერთგული  
უნდა დარჩეს და ოჯახის მთლიანობა არ დაარღვიოს. ამ ნიადაგზე  
ხევსურეთში მკაცრი ზნეობრივი კოდექსი ჩამოყალიბდა, რომელ-  
საც ქალის „კვეთილში ჩასმა“ ეწოდება. „თუ ქმარმა იცის, რომ მი-  
სი ცოლი სხვას ყვარობს და ამის გამო მას სწუნობს, მაშინ ის ცოლს  
გაყრის ნებას არ აძლევს, სტანჯავს და სცემს. მაგრამ ქმარი  
ბოლოს იძულებული ხდება ჭირვეული ცოლი მოიშოროს და რჯუ-  
ლის მიხედვით გაეყაროს, მხოლოდ ნებას არ აძლევს მას თავის  
მოწონებულ კაცზე გათხოვდეს. ვინც ამ წესს დაარღვევს, მასზე  
შურს იძიებენ“<sup>82</sup>.

<sup>79</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვ., IV, მ. ჩიქოვანის რედ., 1964, გვ. 32.

<sup>80</sup> ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. VII, 1956, გვ. 16.

<sup>81</sup> ე. კ. ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 267.

<sup>82</sup> ს. მ ა კ ი ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, 1935, გვ. 182.

სულეთის ლექსში ვკითხულობთ:

ქალს ქმრისა შამცელეს, შამლანძღველს, ორგულსა, მავნე ენაის,  
ჩანაბეთს, ჟოჯოხეთშია, თავიც ვერ აუწვენია<sup>83</sup>.

ანდა:

ქალა ქმრის მწუნობანიო ბაზარგნის ჯარსამც გახევების!<sup>84</sup>

ჩვენ სიტყვა „ბაზარგნის“ გვეუცხოვა. გაუგებრობას ნათელი მოჰქვინა ამ ლექსის გვიანდელმა ჩანაწერმა, სადაც ვკითხულობთ:

ქალა ქმრის დამწუნებელი ბელიარის ჯარს გახევების!<sup>85</sup>

ბელიარი კი ეშმაკის, სატანის, მიწრიელის სინონიმი. ე.წ. ქმრის დამწუნებელი ქალი ჟოჯოხეთში ეშმაკთა ჯარის საკუთრება გახდებო.

არც ცოლის გამწვევებ კაცს მოელის კარგი დღე. მას საიქიოში დიდად საჩოთირო საქმის შესრულება მოუწევს:

კაცს ცოლთან გაშორებულსა ეცმევა ცეცხლის სულარა,  
ეშმაკის კარზე იქნება, ტანი რომ ბანის მუღამა<sup>86</sup>.

ზღაპარ „მზის ქალის“ მიხედვით მოსიყვარულე ცოლ-ქმარი საიქიოში ცულის ტარზე წვანან და მაინც შშენიერად გრძნობენ თავს, ერთმანეთის მოძულე მეუღლეები კი კამეჩის ტყავზეც ვერ ეტევიან და საცოდავად ჯახირობენ<sup>87</sup>.

ოჯახის დამანგრეველთა მიმართ ხალხის მკაცრი განაჩენი ბავშვებზე ზრუნვითა და ყურადღებითაა გაპირობებული. ამიტომ, ობლების მიმტოვებელ ქალს შავეთში ასე უმოწყალო ტანჯვა რომ ელის:

ღდას ობლების დამყრელსა უბეს ჩაუსხნეს გველია,  
ჟოჯოხეთისკენ გაღმართეს, ჟოჯოხეთის კარ ბნელია<sup>88</sup>.

ვაჟა-ფშაველა ერთ ეთნოგრაფიულ ნარკვევში წერდა: „უკეთუ ქალი უძეოდ დაქვრივდებოდა, მაშინ იმისი გათხოვება და მეორე ქმრის შერთვა შესაწყნარებელი იყო. ხოლო შვილიანის მეორედ ქმრის შერთვას საძრახისი მოსდევდა“<sup>89</sup>.

ქვრივი ქალის გათხოვება სამარცხვინოდ მიაჩნდათ ხევშიც<sup>90</sup>. ჩანს, მშობლებისადმი შვილთა არაჩანსალი დამოკიდებულების

<sup>83</sup> ფ. არქ. კ<sup>186</sup>, გვ. 45.

<sup>84</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 601.

<sup>85</sup> ფ. არქ. კ<sup>186</sup>, გვ. 21.

<sup>86</sup> ფ. არქ. კ<sup>185</sup>, გვ. 23.

<sup>87</sup> რჩეული ქართ. ხალხ. ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედ., 1949, გვ. 82.

<sup>88</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 229.

<sup>89</sup> ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა, VII, გვ. 62.

<sup>90</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, 1934, გვ. 98.

შემათხვევებიც ხშირი ყოფილა. ამის თაობაზე ხალხს ერთგვარი მორალური კოდექსიც კი შეუქმნა. „თუ შვილი წმობლებს უპიერად ექცეოდა, დედ-მამა ამაზე „ერობას“ (უფროსთა კრებულს) შესჩივლებდა, ასეთ შვილს ერობა დაიბარებდა და საჯაროდ შეატყებდა. შემდეგ მას კენჭებსა და ღორებს მიყრიდნენ და ისე გაავლებდნენ. ერობისგან შერცხვენილს ქორწილში, ხატობაში და სხვა რაიმე საზოგადო წვეულებაში არ დაიწვევდნენ და მას ასე შეტყებენილად უნდა ევლო განსაზღვრულ დრომდის, სანამ მას დანაშაული ერობისგან არ ეპატიებოდა“<sup>91</sup>.

ლექსში „ბეწვის ბიძგე“ უმაღლური შვილების შესახებ ნათქვამია:

ე.წ. ზოგიერთა შვილი დედას ავად მოექცევა,  
შვილის ავად მოყიდება დედისაგან რად იქნება?  
მამას კარში გამოაგდებს, გასწა იქით, გამეცაღ<sup>92</sup>...

უდიერ და უმაღურ შვილებს სულეთ-შავეთში დიდი სატანჯველი ელით:

დედ-მამას მაგინებულსა ებევა კრელი გველია<sup>93</sup>.

ანდა:

ვინც აქ დედ-მამას აგინებს, იქ თავზედ ნეთი ასხია<sup>94</sup>.

ჩვენი ხალხის ზნეობრივი კოდექსით შეატრად იყო დაცული ნათელმბრონობა. ბ. ნიჟარაძე ამის თაობაზე წერს: „სენების აზრით, მომაკვდინებელი ცოდვა არის მარტო ერთი მბრონის გატეხა... მარტო ამბათვის არის (საიქიოში. ნ. შ.) გამზადებული ფისის ტბა. ამ ცოდვის ჩამდენნი საუკუნოდ უნდა იტანჯებოდნენ ფისის ტბაში და ვერაფერი საკურთხი იქილამ ვერ იხსნის მათ“<sup>95</sup>.

ახლა ლექსებს მოვეუსმინოთ:

ნათლის დედის შემოდველსა-გამოსკრიან სამწვადესა,  
გაუხვრეტენ ენის წვერსა, შიგ უყრიან დანის წვერსა<sup>96</sup>.

ანდა:

ნათლის უპატიურსა ცეცხლში უდგია ფხია<sup>97</sup>.

აღსანიშნავია, რომ ნათელმბრონობის შებღალვა მკვლელობასთანაა გათანაბრებული. „ნათლიდედის შემცოდველიც“ და მკვლე-

<sup>91</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხეი, 1934, გვ. 99.

<sup>92</sup> ხელნ. ინსტ., ხახ. 72, უბის წიგნაკი № 12, გვ. 45.

<sup>93</sup> აკაკის კრებული, № 5, 1898.

<sup>94</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, I, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 225.

<sup>95</sup> ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 180.

<sup>96</sup> ხელნ. ინსტ., ნაწ. 72, უბის წიგნ. № 12, გვ. 45.

<sup>97</sup> ფ. არქ. უშიკ. № 225.

ლიც კუპრის ტბაში არიან, თავს ეშმაკი ადგიათ და მისი შიშით თავსაც ვერ სწევენ მაღლა:

კუპრი დუღს, კუპრი გადმოდის, კუპრი ქოთქოთებს ცხელია,  
კაცისა მკვლეელიც იქ არის, ნათლის შემგმანელია,  
თავზე ადგიათ ეშმაკი, რომელიც უფრო შტერია<sup>98</sup>.

მძიმე ცოდვად ითვლება ძმათა შორის მტრობა და შუღლიც:

ანდა: ძმას ძმისა მო ღალატესა მოსდეს ცეცხლი და გენია<sup>99</sup>.  
ძმასა ძმის მოღალატესა გარს ახვევის სამოც გველი<sup>100</sup>.

ასევე მკაცრად ისჯება ამხანაგისა და მეგობრის მოღალატე:

ანდა: ღვას კუპრიელის ქვევრია, გარს უკიდია გენია.  
ამხანაგის მოღალატეს, შიგ უღვეს ენის წვერია<sup>101</sup>.  
ამხანაგის მოღალატეს პირში ჩრია გველი კრელი<sup>102</sup>.

კერძო მესაკუთრული შეურნეობის ჩასახვის დროიდან მიწა მრავალი ჩხუბისა და სისხლის ღვრის მიზეზია. ერთი ხელის დადება მიწისთვის ნშირად ძმა ძმას კლავდა, მეზობელი — მეზობელს. ხალხის წარმოდგენით, სამან-საზღვრის დამრღვევი და მიწის მიმთვისებელი საიქიოში დიდად იტანჯებოდა: „იმას მუდამ ჰკიდია მიწით სავსე გოდორი და გაუჩერებლივ უნდა ირბინოს. საზღვრის პატრონის გარდა ყოველის მიცვალებულის სული მოვალეა დაარტყას მიწით სავსე გოდორს ჯოხი, რომ მიწა გამოაცივდეს. ამ ცოდვის ჩამდენმა სულმა სულ უნდა ირბინოს, რომ სადმე არ შეჩერდეს; სხვები ერეკებიან, რომ არ შეისვენოს“<sup>103</sup>.

სულეთის ლექსშიც ანალოგიურ სასჯელზეა საუბარი:

სამან-სამზღრისა შამრეესა, ზურგზე მახკიდეს კლდენია<sup>104</sup>.

შავეთში მძიმედ ისჯება მამუზღარაც:

ენიც რომ შორით ყურს დაუგდებს, რასა შერება მეზობელი,  
წავა და სო ფელში იტყვის,— შეიქნება კაცის მკვლელი<sup>105</sup>.

<sup>98</sup> ფ. არქ. კ<sup>185</sup>, გვ. 33.

<sup>99</sup> ი ქ ვ ე, გვ. 26.

<sup>100</sup> საქ. ცენტ. არქ., ფ. 1446, № 689, გვ. 72.

<sup>101</sup> იმედი, 1881, გვ. № 11.

<sup>102</sup> ჰ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, I, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 232.

<sup>103</sup> ბ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 180.

<sup>104</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 601.

<sup>105</sup> ჰ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, I, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 232.

ქორიკნებისა და მბეზღლების ასალაგმავად ფშავლებს საგანგებო კანონი ჰქონიათ: „თუ ერთი რომელიმე წევრი ენატანიობით, ანუ როგორც ფშაველი ამბობს, „ენაკაკლაობით“, „მოყურიალობით“ ერთი მეორეს გადაემტერებოდა და სისხლი დაიქცეოდა, მაშინ ამ ლაქლაქას უნდა გადაეხადა დაზარალებულის ნათესავეების სასარგებლოდ ხუთი ძროხა „საენაო“<sup>106</sup>.

ცალკეა გამოყოფილი ბატონთან ენის მიმტანის, დამბეზღების ავკაცობა, რაც ბატონყმური წყობილების უკუღმართობის ანარეკლი უნდა იყოს:

ბატონთან მობეზღარეთა გაუხვრიტეს ენის წვერი<sup>107</sup>.

ხაზგასმულია აგრეთვე იმ ქორიკნებისა და ცილისმწამებელთა შეცოდებანი, რომლებიც ქალ-ვაჟთა ინტიმურ გრძნობებს აბუჩად იგდებენ და მათ უმწიკვლო ურთიერთ დამოკიდებულებას ათას კუღს გამოაბამენ ხოლმე:

მევეთში სულთქმის ციხე დგას, წვერ ცამდე მიმდინარია;  
შიგ სხედან მოსამართლენი, რომლებიც მართლის მტკმლებია.  
ქალ-ვაჟთა უსჯოთ დამსჯელთა მასკრიან ენის წვერია<sup>108</sup>.

ანდა:

ტყუილა ქალ-ვაჟ ვინცა თქვა, ენის მახვერი ცეს წვერია<sup>109</sup>.

ყველა ცოდვილთა დახასიათება შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ. რომ ხალხს არ გამოჩინია ფეოდალური წყობილების დამახასიეთებელი პროფესიისა და თანამდებობის თითქმის არცერთი დამნაშავე, რომლებსთვისაც ჯოჯოხეთში არ მიეჩინოს ბინა. აქ არიან: მეწისქვილე, გუთნისდედა, ხაბაზი, ფეიჭარი, მექრთამე, მჭედელი, სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი. ამ უკანასკნელში უეკველად გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლები იგულისხმებიან. რომელთა შესახებ აშკარად არაფერია ნათქვამი.

საინტერესოა, რომ ხალხს ყველაზე დიდ შეცოდებად სამშობლოს ღალატი მიაჩნია. ერთ ლექსში ჩამოთვლილია რა დამნაშავენი და მათი სასჯელი, ბოლოს ვკითხულობთ:

მაგრამ სამშობლოს ღალატი ყველა ცოდვაზე ძნელია<sup>110</sup>.

ანდა:

მაშულისა მოღალატეს პირს უზის მორიელია<sup>111</sup>.

<sup>106</sup> ვ ა ე თ ა ვ ე ლ ა, VII, 1956, გვ. 64.

<sup>107</sup> ფ. არქ. უშიყ. № 235.

<sup>108</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 601..

<sup>109</sup> ი ქ ვ ე. გვ. 600.

<sup>110</sup> ფ. არქ. კ<sup>165</sup>, გვ. 31.

<sup>111</sup> აკაის კრებული, № 5, 1898 წ.,

დასჯილთა შორის მოხსენიებულია აგრეთვე მღვდელი, რომელმაც „წირვა დააკლო“. ეს არის და ეს: რელიგიურ შეცდომებზე მეტი არაფერია თქმული.

ამგვარად, „ღვთისმშობლის მიმოსვლაში“ მთავარი და წამყვანია რელიგიური მოტივები. ცოდვილთა უმრავლესობა ჯოჯოხეთში სარწმუნოებრივ ნიადაგზე ისჯება. ხალხური ნაწარმოებნი კი ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ რეალიებს ემყარება და ისეთი საკითხების განსჯას იძლევა, რომლებიც ადამიანს საზოგადოებრივი თანაცხოვრების პირველი დღიდან აინტერესებს. ცოდვილთა დანაშაულისა და მათი სასჯელის სურათი, სულეთ-შავეთის ციკლის ნაწარმოებები რომ გვიხატავენ, ძირითადად უძველესი დროიდან მოდის და „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ გავლენა ამ მხრივ ნაკლებ საგულეებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ძეგლის, ისევე როგორც სხვა აპოკრიფების გავლენა ქართულ ფოლკლორში საერთოდ არ იგრძნობოდეს. გავლენა კი არა და ზოგი ქართული ხალხური ნაწარმოები (და არა მარტო ქართული) პირდაპირ აპოკრიფს ან მის რომელიმე ეპიზოდს იმეორებს. ჩვენ ახლა სწორედ ამ საკითხზე ვისაუბრებთ.

„ღვთისმშობლის მიმოსვლის“ გავლენა განსაკუთრებით ე. წ. „ჯოჯოხეთის“ ციკლის ნაწარმოებებში აისახა. საგულისხმოა ერთი ამბავი. ენქიდუ რომ ქვესენელში ჩადის სამოგზაუროდ, იქ მას ნამთარი, ასაქუ და სხვა ღვთაებანი ზედებიან, რომლებიც საიქიოში მიცვალებულთა ბედს განაგებენ<sup>112</sup>. სულეთ-შავეთში კი ამავ ეფუნქციის შემსრულებლად „ბჰენი“, „მოსამართლენი“ და „მეუფროსენი“ იხსენიებიან. „ჯოჯოხეთის“ ციკლის ნაწარმოებებში კი უკვე ქრისტე ჩნდება.

დალოცვილი ქრისტე ღმერთი ოქროს ტახტზე დაბრძანდება,  
ზედ უღვა ოქროს სასწორი, ცოდო-მადლი იწონება<sup>113</sup>.

„ღვთისმშობლის მიმოსვლის“ დასასრულ ქრისტე თავის დამსახურებაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ იგი ჯოჯოხეთში ჩავიდა და მტერი დათრგუნა. ამ პატარა ეპიზოდს სულ სხვადასხვაგვარი ფოლკლორული გაერცობა-განვითარება მიუღია. ერთი ლექსი მოგვითხრობს, რომ ქრისტემ პირველ რიგში აკურთხა მჭედელი, რომელმაც მას რკინის კეტები დაუმზადა ჯოჯოხეთის დასანგრევად.

<sup>112</sup> ვილგამეში, 1963, გვ. 92.

<sup>113</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ.: გვ. 233.

ქრისტემ ჯოჯოხეთის ათი კუთხე რომ დაანგრია და „მეთერთმეტეს მიწყო ხელი,“ ეშმაკიც გამოეცხადა და უთხრა:

ქრისტევ, კუთხეს ნუ დააქცევ,—აგუყვება ჩვენი ხელი,  
არცერთი აღარ გაგიტანს, აღარც ბერი, აღარც ღვდელი!

ქრისტემ ყურად ილო ეშმაკის რჩევა:

იქ ღატოვა ცალი კუთხე, შიგ შეუშვა კუპრი ცხელი<sup>114</sup>.

ე. ი. ქრისტე ჯოჯოხეთს მთლიანად ანგრევდა, მაგრამ ეშმაკმა შეაჩერა: უჯოჯოხეთოდ ყველა გაგიურჩდება და გაგიორგულდებაო. ქრისტეს ეშმაკის რჩევა კჳჳაში დაუჯდა და ცოდვილთათვის ჯოჯოხეთის ერთი კუთხე ხელუხლებლად დატოვა.

ზოგ ვარიანტში ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთის მარტო დანგრევაზე კი არა, აშენებაზეცაა საუბარი:

არანგეთი, ბარანგეთი, მკვდლად დაჯდა ქრისტე ღმერთი,  
გააჩინა ჯოჯოხეთი, ჯოჯოხეთი სამარგლეთი<sup>115</sup>.

საინტერესოა გოდერძიშვილისეული ვარიანტი. აქ ქრისტე ამბობს:

ორი სახლი ავაშენე, ერთი ტკბილი, ერთი მწარე.  
მწარე სახლი დავაქციე, მეოთხედი შვინახე<sup>116</sup>.

ამ სტრიქონებში მწარე სახლი ჯოჯოხეთის ალეგორიული გამოხატულებაა. ტკბილი სახლი კი—სამოთხისა.

ზოგი ლექსის ვარიანტით ჯოჯოხეთს ეშმაკი აშენებს:

ამ დაწყველილა ეშმაკმა რა სიტყვა თქვა საზარელი:  
ავაშენოთ ჯოჯოხეთი, ღრმად ჩაყვართ საძირკველი<sup>117</sup>.

საერთოდ ერთი რამ შეინიშნება: „ჯოჯოხეთის“ ციკლის ფოლკლორულ ნაწარმოებებში ქრისტესთან ერთად ეშმაკიც ხშირად იხსენიება. აქეთივე მდგომარეობა გვაქვს როგორც სახარებებში, ისე აპოკრიფებში. მაგალითად, მათეს სახარებაში თხრობა იესოს მოღვაწეობის შესახებ მისი ნათლობით იწყება, შემდეგ კი ნათქვამია: „იესო აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ, რადგან გამოიციადოს

114 ბ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 217.

115 ფ. არქ. კ<sup>23</sup>, გვ. 374.

116 ივერია, 1888, № 87.

117 ფ. არქ. უმიც. 19231.



ეშმაკისაგან.“ ეშმაკი შეეცადა იესოს ცდუნებას, მაგრამ ვერ მოახერხა<sup>118</sup>.

აღსანიშნავია ერთი პატარა აპოკრიფი, რომლის სათაურიცაა: „ადამის ხელწერილის მიცემა“ ანუ „საფიცარი“. იგი მოგვითხრობს: ღმერთმა ადამი და მისი ცოლი სამოთხიდან რომ გამოდევნა, გავიდა ცოტა ხანი და ევა დაორსულდა. მშობიარობის ქამი რომ დაუდგა, აუტანელი ტკივილები დაეწყო. ადამი ცოლის გასაქირმა ღიდად შეაღონა. მან განაცხადა: ყველაფერს მივსცემ, ვინც ჩემს ცოლს ტკივილს შეუშუბუქებსო. გამოჩნდა ეშმაკი, რომელმაც ევას კი უშველა, მაგრამ ადამს ხელწერილი ჩამოართვა. ამ ხელწერილის ანუ საფიცარის ძალით, ადამის მთელი შთამომავლობა ეშმაკის კერძი იქნებოდა, სანამ დაუბადებელი არ დაიბადებოდა. ღმერთმა ეს რომ გაიგო, ეშმაკზე ძალიან გაბრაზდა და გადასწყვიტა დაბადებულყო იესო ქრისტე. იესოს დაბადებამ მართლაც მოსპო ეშმაკის ბატონობა. ქრისტე ჩავიდა ჯოჯოხეთში, ეშმაკს ხელი სტაცა და „საფიცარი“ პირიდან წამოაგდებინა<sup>119</sup>.

სვანურ ლეგენდაში ამ აპოკრიფის ეშმაკი სამოელად იხსენიება, თანაც ქრისტესა და სამოელს შორის ბრძოლა უფრო ვრცელადაა აღწერილი. ქრისტე სამოელს საფიცარს რომ წაართმევს, ეს უკანასკნელი გაბრაზდება და სამაგიეროს გადახდას მოუხდომებს. „ისე დააბნელა ჯოჯოხეთი, რომ ქრისტემ და მისმა მხლებლებმა ორი თვე ჯოჯოხეთიდან გამოსასვლელ გზას ვერ მიაგნეს. შეწუხდა ქრისტე, მიუბრუნდა თავის მხლებელთ და სთხოვა ყველას — ეგება ვინმემ კარს მიაგნოთო“<sup>120</sup>. ასეთი კაციც გამოჩნდა. მას ჯოჯოხეთში შესვლისას გარეთ დაეტოვებინა ვირი, რომელიც პატრონის ხმან სცნობდა და მის ძახილს ეხშიანებოდა. ამ კაცმა ჯოჯოხეთიდან გაყვანის საფასურად საჩუქარი მოითხოვა. ქრისტე იმდენ ოქროს შეპირდა, რამდენსაც ეს კაცი აიწონიდა. ვირის დახმარებით ჯოჯოხეთიდან რომ გამოვიდნენ, ვირის პატრონმა უბიდან კაცის გული ამოიღო და ქრისტეს უთხრა: „ეს გული დამიფარე ოქროთი და მეტომე არაფერი მინდაო. ქრისტემ გულზე უანგარიშო ოქრო დააყარა, მაგრამ გული მაინც ვერ დაჰყარა: რამდენსაც მეტ ოქროს დააყრიდა, იმდენჯერ გული ზევით ხტებოდა... ამ დროს გამოვიდა ერთი

<sup>118</sup> სახარება მათესი, თავი II, მუხლი 23.

<sup>119</sup> ვ. ბ ა რ ნ ო ე ი, ტ. I, გვ. 242.

<sup>120</sup> ბ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 140.

კაცი, აიღო ერთი შუქა მიწა და გულს დააყარა. გული მაშინვე მოკვდა და გაჩერდა<sup>121</sup>.

ქრისტე „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ ბოლოს იმასაც აღნიშნავს, რომ იგი ადამიანთა ბედნიერებისათვის ჯვარს ეცვა. ქრისტეს წამება მრავალი ფოლკლორული ნიმუშის თემაა. ხალხური ავტორ-მთქმელები ხშირ შემთხვევაში „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ კარგ ცოდნასაც ამჟღავნებენ და სახარებისასაც. ლექსი „ქრისტე“ მოგვითხრობს, იესო თუ როგორ დაიჭირეს და აწამეს:

ერთსა გორას დაიჭირეს, მეორე გორას დამარხესო,  
იქ ლურსმნეზი მიუტანეს, თურმე ყურით დააყრესო<sup>122</sup>.

ანდა:

შებლზე დაადგეს ლურსმნეზი, ზედ დიდი კვერები სცესა,  
სიკვილი რომ შეამჩნიეს, მერე ძირს ჩამოიღესა<sup>123</sup>.

აღსანიშნავია, რომ იმ ლურსმნეზზე, რომლებითაც ვითომ ქრისტე აწამეს, ლეგენდაა შექმნილი: „ქურდების გზა“. ებრაელებმა ქრისტე რომ დაიჭირეს და ჯვარზე გაკვრა დაუპირესო, მოგვითხრობს ეს ლეგენდა, უცებ საგულისგულოდ მომზადებული ლურსმნეზი თვალ და ხელ შუა გაუჭრაათო. ბევრი ძებნის შემდეგ ძლივს მიაგნეს: თურმე ქრისტეს ორ თანამგრძნობელ ბერიკაცს მოეპარათო. ამის შემდეგ უფალმა ქურდების გზა დალოცაო<sup>124</sup>. ეს თემა რუსულ ლეგენდაში სულ სხვაგვარადაა გადაწყვეტილი. აქ ქრისტეს ქომბავად ბერიკაცების მაგივრად მერცხალია გამოყვანილი. მაცხოვრის მაწამებლებს მერცხალი ჭტაცებდა ლურსმნეზს, მაგრამ ყვავი ისევ ნახულობდა იმ ლურსმნეზს და უკანვე მიჰქონდა. ამიტომაც, მერცხლის ბუდე სახლში ბედნიერების მაუწყებელი და მისი დანგრევა დიდი ცოდვაა. ხოლო ყვავი უბედურების სიმბოლოა<sup>125</sup>.

ქრისტეს წამება მისი ჯვარზე გაკვრით არ მთავრდება. ლექსი გრძელდება:

სიკვილი რომ შეამჩნიეს, მერე ძირს ჩამოიღესა,  
ღანით ლერწმები დათალეს, ქრისტე მითი დაჩქვლიტესა.

რომ დარწმუნდნენ მკვდარიყო, წაიყვანეს და დამარხხეს, საფლავს დარაჯები დაუყენეს: ცხედარი არავინ მოიპაროსო. ქრისტე

<sup>121</sup> ვ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 223.

<sup>122</sup> ი კ ე ე.

<sup>123</sup> ფ. არქ. 31682.

<sup>124</sup> ფ. არქ. კ<sup>185</sup>, გვ. 39.

<sup>125</sup> Народные русские легенды, собрания, А. Н. Афанасьевым, Москва, 1859, стр. XIII.

გაცოცხლდა და ზეცად ამოიღო. ებრაელებს კი ეგონათ: ცხედარი საფლავიდან ამოიღეს და გაიტაცესო.

წვიდენ და მოახსენეს თავისაანთ პილატესა.

პილატე, არ გებრალებით, მკვლარი ქრისტე მოგეპარესა<sup>126</sup>.

როგორც ვიცით, პილატე ბიბლიური პერსონაჟია. ერთ დროს ცნობილი იყო და მორწმუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახალი აღთქმის წიგნი „პილატეს აქტები“, რომლითაც თითქოს სანქცია მიეცა ქრისტეს სიკვდილით დასჯას ჯვარზე გაკვრით. პილატე სხვა ლექსშიც იხსენიება:

პილატეს ღმერთი გაუწყრა, შიში დაეცა ძნელია.

წყალი მოჰკითხა, მოართვეს, და გაღიბანა ხელია:

—მე ამაში უბრალო ვარ, მან ნახოს სატანჯველია!<sup>127</sup>

ე. ი. პილატე ქრისტეს დასჯას ხელს კი აწერს, მაგრამ ამავე დროს აცხადებს: ამ საქმეში მე ბრალი არ მიმიძღვისო. პილატეს თვალთმაქცობა შემდეგ უფრო ნათელი ზდება. ქრისტეს ცხედარი მოუპარავთო, რომ ეტყვიან, ებრაელებს გაბრაზებით შემოუძახებენ:

რატომ წინდლით არ იფიქრეთ, ვერ მოკლავდით ქრისტე ღმერთსაო.

ბოლოს ებრაელებიც დაექვედნენ: ქრისტე ვაი თუ მართლა გაცოცხლდა და საფლავიდან წამოდგაო. მათ ასეთი ცდა ჩაატარეს:

სამი წლის მკვლარი მამალი კიდე ქვაბში ჩაადგესა.

ისეთნაირად მოხარშეს, ძვალი რბილად ჩაეარდესა.

მათი აზრით, თუ მოხარშული მამალი გაცოცხლდებოდა, მაშინ ქრისტეც იქნებოდა საფლავიდან წამოდგარი. მამალი გაცოცხლდა:

იყო ღვთისაგან ბრძანება, ქვაბის კარბაზე შეხტესა,

ზეღიზედ შემოიყვილებს, გარეთ წვენი გადვარდესა<sup>128</sup>.

მოხარშული მამლის გაცოცხლება ფართოდ გავრცელებული მოტივია. მაგალითად, ერთი გალიციური ლეგენდა მოგვითხრობს: ქრისტე რომ აღსდგა, იგი ებრაელმა გოგომ დაინახა და მოხუც მამას უთხრა. მამამ არ დაუჯერა. ქალიშვილმა დაიჟინა, ნამღვლილად ვნახეო. ბერიკაცმა დამკინავედ ჩაილაპარაკა: ქრისტე მაშინ აღსდგება, თუ ეს შემწვარი ყვერული, თეფშზე რომ გვიდევს, წარმოფრინდება

<sup>126</sup> ფ. არქ. 31682.

<sup>127</sup> ძველი საქართველო, III. გვ. 25, № 107.

<sup>128</sup> ფ. არქ. 31682.

და დაიყვილებსო. შემწვარი მამალი იმავე წუთს შეინძრა, აფრინდა და დაიყვილა<sup>129</sup>.

ხალხს არც ქრისტეს გამყიდველი მოწაფე დავიწყებია. იუდაზე ასეთი სტრიქონები გვხვდება:

იუდა ვერცხლის მოყვარე, სიყრმიდან ავის მქნელია,  
მისთვის შეუდგა ქრისტესა, რომ იყო მამის მკვლელია<sup>130</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტე „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ მიხედვით გულქვაა, ღვთისმშობელი კი — ადამიანთა ქომაგი და მოსარჩლე. ქრისტეს ხალხურ ნაწარმოებებშიც მკაცრადაა წარმოდგენილი. ღვთისმშობელი როგორღაა?

ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი მაღალი ღვთისა ოლარია,  
წინ უღვას ოქროსა ტახტი, გლეხიყაცის მშველელია<sup>131</sup>.

ასეა ნათქვამი ერთ ლექსში და არა მარტო ერთში. ხალხი ღვთისმშობელს ადამიანის მზრუნველად და მოამაგედ გვიხატავს. მაგრამ ყოველთვის ასე არაა. გულჩვილმა და ლმობიერმა მარიამმა ზოგჯერ გვარიანი განრისხებაც იცის. „ერთხელ სამშვილდეში ხალხმა ძალინ გაამწარა ის ცოდვებით. მაშინ ძილში გამოეცხადა მღვდელს და უთხრა: თუ ხალხი არ გამოსწორდება, ქვად ამოვალ მიწიდან, თავს ცას მივაბჯენ და დავთქამ აქაურობასო. ენახოთ, მიწიდან ამოვიდა ქვა და სწრაფად დაიწყო ზრდა. ხუცესმა შეკრიფა ხალხი და უთხრა ყველაფერი. ხალხმა შეინანა და იმ ქვას სწრაფად გადახურა საყდარი. მაშინ შეჩერდა ქვის ზრდაც“<sup>132</sup>.

სენაური ლეგენდა მოგვითხრობს, ფუთა დადემქელიანისა და მისი მხლებლების გამო უშგულელებზე ღვთისმშობლის გაბრაზებას. მან უშგულელებს ასეთი სასჯელი მოუვლინა: დაე, ყველა ძრახა ბერწად დარჩეს და ერთი წვეთი რძეც ვერ გამოწველონო. დასჯილმა სოფელმა სამი წლის შემდეგ მსხვერპლის შეწირვითა და ვედრებით ძლივს მოაღბო წმ. მარიამის გული და სასჯელი მოახსნევინა<sup>133</sup>.

ზოგჯერ ღვთისმშობლისადმი ხალხის ჩივილისა და უკმაყოფილების ხმაც კი ისმის:

<sup>129</sup> ა. ნ. აფანასიევი, დასახ. კრებ., გვ. XIV.

<sup>130</sup> ძველი საქართველო, III, გვ. 25.

<sup>131</sup> ფ. არქ. უმიკ. 1071.

<sup>132</sup> ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 243.

<sup>133</sup> ქართული ხალხ. სიტყვ. ქრესტომათია, II, ქს. სიხარულიძის რედ., გვ. 51.

ვარძიისა ღვთისმშობელმან ქმარი აუად გამიხადა,  
არც მოკლა, არც დაარჩინა, საეჭიოდ გამიხადა<sup>134</sup>.

ანლა:

ვარძიას წაველ დღეობას, მარიაშობის თვეშიო,  
მტკვარმა დამირჩო მერანი, წაილო მისი ლეშიო<sup>135</sup>.

დასასრულ ერთ საგულისხმო ტენდენციას უნდა შევეხეთ. უკანასკნელ წლებში ჩაწერილი ლეგენდები ნაკლებ რელიგიურ შთაბეჭდილებას ტოვებენ და საეკლესიო მოძღვრებას მეტად გაუბრალოებულად, ზღაპრისებურად წარმოგვიდგენენ.

„მაჰმადი და იოსე ქრისტე დანახლევდნენ. იოსე ქრისტემ უთხრა: — მე წყალს პირჯვარს გადავწერ და ღვინოდ ვაქცევო,“ — ასე იწყება სოფელ ხაშმში ჩაწერილი ლეგენდა. შემდეგ მოთხრობილია მაჰმადის ოინებზე. მან ქრისტეს პირობა დაუდო: ტრიალ მინდორში, სადაც კი შამფურს დავაპერ, ყველგან ერბო-კარაქს ამოვიყვანო. მაჰმადმა თავისი კაცები წინასწარ გაგზავნა მინდორად, თანაც გულებით ერბო-კარაქი გაატანა: ჩამარხეთ მიწაში და ესა და ეს ნიშანი დაადეთო. სანამ მაჰმადი იმ დამარხულ გულებთან ქრისტეს მიიყვანდა და თავის სასწაულს უჩვენებდა, ერთმა მელორემ იქ გარეკა ღორები, რომლებმაც მთელი მინდორი მითხარ-მოთხარეს. საიდუმლოებას ფარდა აეხადა და მაჰმადმა ნიძლავი წააგო<sup>136</sup>.

ქრისტემ წყალი ღვინოდ თუ აქცია, ლეგენდაში ამის თაობაზე ნათქვამი არაა, მაგრამ ისედაც ყველაფერი ნათელია. მაჰმადი როცა ასე გამასხრებულა, ქრისტეზე რაც უნდა ითქვას, სასურველ შთაბეჭდილებას მაინც ვერ მოახდენს.

რელიგიურ მოძღვრებათა კერპები კიდევ უფრო გათანადრულეებულა მეორე ლეგენდაში, რომელიც მოგვითხრობს: „იოსე ქრისტემ, მაჰმადმა და ბუდენიკმა პალესტინაში დაამთავრეს უმაღლესი. ამის შემდეგ მაჰმადმა ყურანი დაწერა, იოსე ქრისტემ კი სახარება... შემდეგ იოსე ქრისტე წამოვიდა საბერძნეთში და ხალხს აუხსნა თავისი პროგრამა. ბერძნებს ქრისტეს პროგრამა მოეწონათ და მიიღეს“.

მაჰმადი როგორც წინა ლეგენდაში, აქაც დაბეჩავებულად და მატყუარადაა წარმოდგენილი. მისი „პროგრამა“ ხალხს რომ არ მოეწონება, იგი თვალთმაქცობს და მიზანს მრუდე გზით აღწევს<sup>137</sup>.

<sup>134</sup> ფ. არქ. უმიკ. II, 477/1079/.

<sup>135</sup> ფ. არქ. უმიკ. II, 475/1077/.

<sup>136</sup> ფ. არქ. კ<sup>2</sup>, გვ. 187.

<sup>137</sup> ფ. არქ. კ<sup>2</sup>, გვ. 35.

დასკვნები: 1. აპოკრიფული მწერლობა ეკლესიური მწერლობის მნიშვნელოვანი და თავისებური დარგია. საქართველოში აპოკრიფები ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად გავრცელდა.

2. ჩვენს წინაპრებს ქართულად თარგმნილი ზოგი აპოკრიფი საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობაზე გადაუციათ, ბევრი რამ თავისებურად გადაუქეთებიათ, გადაუსხვაფერებიათ და ლიტერატურული წყაროსაგან საკმაოდ განსხვავებულ ფოლკლორულ ნაწარმოებად უქცევიათ.

3. განსაკუთრებით ბევრი აპოკრიფული ლეგენდა მოგვეპოვება წმ. მარიამზე და ქრისტეზე.

4. წმ. მარიამს უკავშირდება თითქმის ყველა საქრისტიანო მწერლობაში ცნობილი აპოკრიფი „ღვთისმშობლის მიმოსვლა“ ანუ „ცათა მოხილვა წმიდისა ღმრთისმშობლისა გამოცხადებასა სატანჯველთაგან“.

5. „მიმოსვლა იმ დროსაა შექმნილი, როცა ქრისტიანობა უკვე გამარჯვებული და დამკვიდრებულია, მაგრამ წარმართობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას. ეს ხანა უნდა იყოს დაახლოებით II—III საუკუნეები.

6. „მიმოსვლას“ უძველესი ქართული ხელნაწერი XIII საუკუნით თარიღდება. ქართველებს ეს ძეგლი გაცილებით ადრე აქვთ ნათარგმნი. ყოველ შემთხვევაში, ძველ ქართველ მთარგმნელთა ოქროს ხანაზე გვიანდელი მაინც არ უნდა იყოს. ეს ხანა კი X — XI საუკუნეებია.

7. ჯოჯოხეთში მოგზაურობა, რომელიც „მიმოსვლას“ მთავარი სიუჟეტური ღერძია, არაა ორიგინალური, მარტო ამ ქრისტიანული აპოკრიფისათვის დამახასიათებელი. გმირის ქვესკნელში მოგზაურობას ვხვდებით შუამდინარეთის ხალხთა უძველეს ეპოსშიც.

8. ქართულ ფოლკლორში გვაქვს რამდენიმე აპოკრიფული ლეგენდა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში „მიმოსვლას“ უკავშირდება. ამასთან ქართულ აპოკრიფულ ლეგენდებში წარმართული რწმენის გადმონაშთებიც შეიმჩნევა.

9. სულეთ-შავეთში მოგზაურობენ და საიჭიოს ამბებს გადმოგვცემენ მესულთაანები. გარდა ამისა, ხალხურ ნაწარმოებთა გმირები სულებს უკავშირდებიან სიზმრით, ჯადოსნური საგნით, ანდა საიჭიოში შემთხვევით მოხვდებიან. ამ მხრივ ფოლკლორული ტექსტები „მიმოსვლასაგან“ სრულიად განზე დგას და ამ უკანასკნელის გავლენა არ შეიმჩნევა.

10. ხალხურ ნაწარმოებებში აღწერილი ცოდვილთა დანაშაულობანი ძირითადად ზნეობრივ-ეთიკური ან იურიდიული ხასიათის დანაშაულობანია და რელიგიასთან ნაკლები კავშირი აქვს. ჯოჯოხეთში სულთა ტანჯვა-წამების მიზეზი ზოგჯერ მათი ამორალური საქციელია, ზოგჯერ კი სახელმწიფოებრივი სამართლის დარღვევა. ამ მხრივ „სულეთ-შავეთის“ ციკლის ფოლკლორულ ნიმუშებს ერთგვარი დიდაქტიკურ-აღმზრდელითი ფუნქციაც გააჩნიათ.

11. „მიმოსვლაში“ მთავარი და წამყვანია რელიგიური მოტივები. ცოდვილთა უმრავლესობა ჯოჯოხეთში სარწმუნოებრივ ნიადაგზე ისჯება. ხალხური ნაწარმოები კი ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ რეალიებს ემყარება და ისეთი საკითხების განსჯას იძლევა, რომლებიც ადამიანს საზოგადოებრივი თანაცხოვრების პირველი დღიდან აინტერესებს. ცოდვილთა დანაშაულისა და მათი სასჯელის სურათი, სულეთ-შავეთის ციკლის ნაწარმოებები რომ გვიხატავენ, ძირითადად უძველესი დროიდან მოდის და „მიმოსვლას“ გავლენა ამ მხრივ ნაკლებ საგულვებელია.

12. „მიმოსვლას“ უშუალო გავლენით შექმნილია ე. წ. „ჯოჯოხეთის“ ციკლის ნაწარმოებები.

13. ზოგჯერ „ჯოჯოხეთის“ ციკლის ნაწარმოებებშიც ეხედებით „მიმოსვლადან“ გადახვევის შემთხვევებს. მაგალითად, აპოკრიფის მიხედვით ღვთისმშობელი მხოლოდ გულჩვილი და გულმოწყალეა. ზოგიერთ ლეგენდაში კი იგი მკაცრად და მედიდურადაა დახატული.

14. უკანასკნელ წლებში ჩაწერილი ლეგენდები ნაკლებ რელიგიურ შთაბეჭდილებას ტოვებენ და საეკლესიო მოძღვრებას გაუბრალოებულად, ზღაპრის ფორმით წარმოგვიდგენენ.

წ ა რ ლ ვ ნ ი ს ლ ე გ ე ნ დ ა ე ბ ი

დიდი წარღვნის ლეგენდა

დიდი წარღვნის ლეგენდას თითქმის მსოფლიოს ყველა ხალხი იცნობს. იგი გვხვდება როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომთა ფოლკლორში<sup>1</sup>. ცნობილ ვერსიებს შორის ყველაზე უძველესია სუმერული ვერსიის ნაწყვეტი. იგი აღმოჩნდა ქალაქ ნიპურში პენსილვანიის უნივერსიტეტის მიერ წარმოებული გათხრების დროს. ლეგენდა დაწერილია გამოუწვავი თიხის პატარა ფირფიტაზე და, მეცნიერთა აზრით, 2100 წელზე უგვიანესი არ უნდა იყოს (ჩვ. წელთაღრიცხვამდე)<sup>2</sup>.

ბაბილონელმა სემიტებმა წარღვნის ლეგენდა სუმერებისაგან ისესხეს. ლეგენდის ბაბილონური ვერსია ანტიკური დროიდანაა ცნობილი. ამ ვერსიის მიხედვით: დიდი წარღვნა მოხდა კსისუტრის მეფობის დროს, რომელიც ბაბილონის მეათე მეფე იყო. კსისუტრის სიზმარში გამოეცხადა ღმერთი კრონოსი და გააფრთხილა: წარღვნა მოხდება დაესის თვის მეთხუთმეტე დღეს და ყველა ხალხი დაიღუპებაო. ღმერთმა უბრძანა მეფეს მსოფლიო ისტორიის დაწერა დასაბამიდან უკანასკნელ დღემდე. ნაწერი რომ არ დაკარგულიყო, უნდა ჩაემარხათ სიპარში (მზის ქალაქში). მეფეს ებრძანა აგრეთვე აშენება გემისა, სადაც დააბინავებდა ნათესავეებს და მეგობრებს, მოიმარაგებდა საზრდოს, სასმელს, თავშესაფარს მისცემდა ცოცხალ არსებას, როგორც ორფეხს, ისე ოთხფეხს, და ასე გამზადებული დაელოდებოდა წყალდიდობას. საით წავალო? — იკითხა მეფემ. უფალმა უპასუხა: „ღმერთებისაკენ გასცურავ. უპირველეს ყოვლისა, ვალდებული ხარ, იზრუნო ყველაფერზე. რაც ხალხისათვისაა საჭირო“.

<sup>1</sup> შ. ჩოქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 280.

<sup>2</sup> Дж. Ф р э з е р. Библиейские сказания, 1931, стр. 75.



მეფე დაემორჩილა ბრძანებას, ააგო ხომალდი, რომლის სიგრძე ხუთი ფარლონგი იყო, სიგანე კი — ორი. მოიმარაგა ყველაფერი, რაც კი აუცილებელი იყო, დატვირთა ხომალდი და დაბინავდა შიგ თავისი ბავშვებითა და მეგობრებით. დაიწყო წარღვნა. როცა ქარიშხალი ჩადგა და კოკისპირული წვიმა შეწყდა, კისისუტრუმ ჯემიდან რამდენიმე ფრინველი გაუშვა. მათ ვერც საკვები ნახეს და ვერც მშრალი ადგილი. ისევ ხომალდზე დაბრუნდნენ. კისისუტრუმ რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ გაუშვა ფრინველები, რომლებიც ტალახში ფეხებმოსვრილნი დაბრუნდნენ. ისინი მესამეჯვრაც გაუშვა, ახლა გემზე ერთიც აღარ მიფრენილა. მაშინ კისისუტრუ მიხვდა, რომ წყალმა დაიკლო და მიწა გამოჩნდა. გემი მთაზე დააბა და ცოლთან, ქალიშვილთან და მესაქესთან ერთად ნაპირზე ჩავიდა. მეფემ მიწას თაყვანი სცა და სამსხვერპლო აღმართა. როცა ღმერთებს მსხვერპლი შესწირა, იგი უეცრად გაქრა ყველა თავისიანთან ერთად. გემზე დარჩენილები რომ დარწმუნდნენ კისისუტრუ და მისი ნათესავები აღარ დაბრუნდებიანო, ჩავიდნენ ხომალდიდან. ისინი ეძახდნენ და ეძებდნენ მეფეს, მაგრამ კისისუტრუ ვერსად იპოვეს. ბოლოს მისი ხმაც გაიგონეს. მეფე მათ ღვთისმოშიშობას ურჩევდა. ამასთან იტყობინებოდა, რომ იგი ღვთისმოყვარეობის ჭილდოდ ამიერიდან ღმერთებთან ბინავდება და მისი ცოლი, ქალიშვილი და მესაქეც იზიარებენ ამ დიდებულ ხედვრს. კისისუტრუმ მათ მოუწოდა, წასულიყვნენ ბაბილონში, ეპოვათ მის მიერ წარღვნილდე მიწაში ჩამარხული მსოფლიოს ისტორია და ხალხში გაეცრელებინათ. მან ისიც თქვა, ქვეყანას, სადაც თქვენ იმყოფებით, სომხეთი ჰქვიაო. მოისმინეს რა ყველაფერი ეს, ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს და ბაბილონისკენ ქვეითად გაეშურნენ. ხომალდის ნარჩენები დღემდეა შემორჩენილი სომხეთის მთებში. ხალხი აგროვებს ფისს, რომლითაც ის გემი იყო გამაგრებული. ამ ფისს სამკითხაოდ იყენებენ. კისისუტრუს მეგობრები დაბრუნდნენ ბაბილონში და ამოიღეს ხელნაწერი, მეფემ მზის ქალაქში რომ ჩამარხა. მათ ააშენეს მრავალი ქალაქი, აღადგინეს ტაძრები და ქვეყანა ხელახლა აღორძინეს<sup>3</sup>.

წარღვნის ლეგენდის თავისებურ ვერსიას წარმოადგენს გილგამეშის ეპოსის მეთერთმეტე ფირფიტა ანუ მეთერთმეტე დაფა. იგი მიკვლეულ იქნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ასიროლოგ ჯორჯ სმიტის მიერ. ამ აღმოჩენამ დიდი ინტერესი და საერთაშორისო გამოხმაურება გამოიწვია.

<sup>3</sup> დ. ფ რ ე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

გილგამეშის ეპოსში წარღვნის ამბავი ისე ოსტატურადაა ჩართული, რომ მის ორგანულ ნაწილად წარმოგვიდგება.

გილგამეში მძიმე ავადმყოფობას გადაიტანს, ამავე დროს მოუხვდება უვირფასესი მეგობარი ენქიდუ. წარსულით დანაღვლიანებული და მომავლით შეშინებული გადაწყვეტს თავისი წინაპრის — უთანაპიშტის მოქებნას, რომ ჰკითხოს: როგორ შეიძლება მოკვდავის გაუკვდავებაო. მისი აზრით, უთანაპიშტის უკვდავების საიდუმლოება უეჭველად უნდა სცოდნოდა, რადგან ღმერთებს გაუტოლდა და ზეციურ სამფლობელოში იმყოფება. გილგამეშმა დიდი ტანჯვა შემდეგ როგორც იქნა მიიღწია უთანაპიშტის ადგილსამყოფელს. მაგრამ როცა თავის დიდ წინაპარს ჰკითხა, სამუდამო სიცოცხლეს როგორ შეიძლება მიაღწიოს კაცმაო, უნუგემო პასუხი მიიღო. ბრძანება გამანდო. უკვდავება არ არის ადამიანის ხვედრიო, უთხრა უთანაპიშტიმ. გილგამეში განაცვიფრა ასეთმა პასუხმა იმ წინაპრისამ, ერთ დროს თვითონაც ადამიანი რომ იყო და უკვდავება ვეიან მოაპოვა. როგორ დააღწიე თავი საერთო ადამიანურ ხვედრსაო, ჰკითხა მან. უთანაპიშტიმ უპასუხა: „მე გაგანდობ საიდუმლოა, ღმერთების განგებას განგიმარტავ. შენ კარგად იცნობ ეფრატის ნაპირებზე გაშლილ ძველ ქალაქ შურუფაქს. იქ ბინადრობენ ღმერთები, რომლებმაც წარღვნა განიზარახეს. იქ იყო მათი მამა ანუ, მათი მრჩეველი მეომარი — ენლილი, შიკრიკი — ნინიბი, მთავარი — ენშუგი. ბრძენი ვაც იქ იყო. ამ უკანასკნელმა ქოხს მიმართა: „ო, ლერწმის ქოხო, ლერწმის ქოხო! ო, კედელო, კედელო ო, ლერწმის ქოხო, მისმინე! ო, კედელო, ყურად იღე! ოიპ, შურუფაქელო ადამიანო, უბარა-თუთუს შეილო, დაშალე შენი სახლი. ააშენე ხომალდი, გადაყარე ქონება-სიმდიდრე, გაუფრთხილდი შენს სიცოცხლეს! ღმერთები გტოვებენ, გადაირჩინე თავი, აიყვანე ხომალდზე ყოველი სულდგმული. ხომალდი უნდა გააკეთო ზუსტი გაანგარიშებით, სიგრძე და სიგანე თანაზომიერი რომ იყოს. შემდეგ იმ გემს ოკეანეში შეატურებ“.

ჩემს უფალს ეას მოვუსმინე და მივეუგე: „ო, ჩემო მბრძანებელო, შენს მითითებას სიამოვნებით ვიღებ და კიდევ აღვასრულებ, მაგრამ რა ვუთხრა ქალაქს და ქალაქის უფროსობას?“ ეამ მიპასუხა: „მათ ეტყვი, ენლილმა შემიძულა და აღარ მინდა ვიყო თქვენს ქალაქში, აღარ შემიძლია ვუყურო ენლილის მიწას, მსურს ზღვის მორევეში ჩასვლა და ჩემს უფალ ეასთან ცხოვრება-თქო“.

უთანაპიშტიმ მოუსმინა თუ არა ეას, მაშინვე შეუდგა ხე-ტყვისა და ყოველგვარი მასალის მომარაგებას, რაც კი გემის ასაგებად იყო საჭირო. მეხუთე დღეს უკვე გაამზადა ხომალდი, ზედ დააშენა

ასოცი წყრთა სიმაღლის სახლი, რომელიც ექვს სართულად გაჰყო. თათოებულ სართულზე ცხრა-ცხრა ბინა მოაწყო, დაამაგრა ჰანჭიკე-ბით. ხომალდი გარედან მთის ფისით შელესა, შიგნით კი-კუპრით. მოიმარაგა ერბო, დაკლა ხარები, ძროხები. დოქები აავსო. ლუ-დით, ზეთით და ყურძნის წვენი. საახალწლო ღრებობის მსგავსი ჰურობა და ქეიფი გამართა. ხომალდი აავსო ვერცხლით, ოქრო-თი და ხორბლით. მან გემზე დააბინავა მთელი თავისი ოჯახი, აგრე-თვე ყველა შინაური და გარეული პირუტყვი. დანიშნულ დროს მზის ღმერთმა შამაშმა განუცხადა: „სალამოს ბნელეთის მფლობე-ლი როგორც კი დაუშვებს კოკისპირულ წვიმას, შედი ხომალდში და კარი ჩაიკეტე“.

წარღვნის წუთები მოახლოვდა. სალამოს ბნელეთის მფლობელ-მა გამოგზავნა თავსხმა. მე დავინახე ქარიშხლის ამოვარდნა და შე-მეშინდა. შევედი ხომალდში და კარები ჩაერაზე. მესაქვს, აგრეთვე მეზღვარ ფიზურ-ამურუს ვანდე მოცურავე სასახლე მთელი ქო-ნებითურთ. როცა განთიადმა მტრედისფრად ინათა, ცის კიდედან შავი ღრუბლები დაიძრა, ღრუბელთა გულში რამანი გრგვინავდა, ხოლო მუდყატი და ლუგალი მაცნეებად მოედნენ მთა-ბარს. გრე-გალმა ხომალდს ანძა მოსტეხა. მაშინ გამოცხადდა ნინიბი და ქაი-შხალმაც უმატა. ანუნაქებმა ჩირაღდნები აღაჰყრეს და დელამიწა გაანათეს. გრიგალი რამანა აღიმართა ზეცამდე და სინათლე კვლავ გააწყვდიდა, ქარიშხალი მთელ დღეს მჰენვარებდა. მთები წყალში ჩაიკარგნენ, მოყვასი მოყვასს ველარ ხედავდა. წარღვნამ ღმერთებიც შეაშინა. ისინი განილტვნენ, ცაში ანუსთან მიბობდნენ და ფარასა-ვით მიიკუქნენ. ღმერთთა დედოფალი იშტარი მშობიარე ქალივით ჰკიოდა, თავისი მშვენიერი ხმით მოთქვამდა: „ის დღე დაიქცეს, რო-ცა კრებაზე ღმერთებს ბორბტება შთავაგონე და ჩემი ხალხი მოსას-პობად გავიმეტე. ისინი, ვისაც ჩემი სიდიადით ვაოცებდი, სად არიან ახლა? თევზის ქვირითივით ავსებენ ზღვას“. მასთან ერთად ანუ-ნაკებიც სტიროდნენ, ისხდნენ თავდახრილნი და ქეითინებდნენ. ყველას პირი მოეკუმათ. ექვს დღესა და ექვს ღამეს ჰქროდა ქარი, წარღვნა და ქარიშხალი მძინვარებდა დელამიწაზე. მეშვიდე დღეს ქარიშხალმა შეწყვიტა ბრძოლა, ლაშქარივით რომ ომობდა. ზღვა დაწყნარდა და წყალმაც იკლო. წარღვნა შეწყდა. ფანჯარა გავალე და სინათლის სხივი ზედ ლოყაზე დამეცა. დავხარე თავი, დავჯექი და ავტირდი. დაწევებზე ცრემლები ჩამომდიოდა. სამყაროს გადავ-ხედე, იგი ზღვად ქცეულიყო. თორმეტი დღის შემდეგ გამოჩნდა კუნძულები: ხომალდი ნისირის მთამ შეგვიჩერა.

ერთი დღე, მეორე დღე... ნისირის მთას ეჭირა გემი. მესამე დღე,

მეოთხე დღე... ნისირის შაას ეკირა გემი. მეხუთე დღე, მეექვსე დღე... ნისირის შთას ეკირა გემი. მეშვიდე დღეს გაეუშვი მტრედი. იგი იქით გაფრინდა, აქეთ გაფრინდა, მაგრამ მშრალი ადგილი ვერ ნახა და ისევ დაბრუნდა. მერე ბელურა გაეუშვი. ვერც მან ნახა დასასვენებელი ადგილი და დაბრუნდა. მერე ყვავი გაუშვი. მან ნახა მშრალი ადგილი, საკმელსაც მიაგნო და აღარ დაბრუნდა. მაშინ გამოვედი გემიდან და მსხვერპლი შევსწირე. მთის მწვერვალზე დავედგი ღვინით სავსე ჭურჭლები, მათ ქვეშ დავაწყე ლერწამი, კედარი და მურტი. ღმერთებმა იყნოსეს კეთილსურნელება და შენაწირს ბუზებივით შემოესიენ. მაშინ მოახლოვდა დიდი ქალღმერთი და მალა აღმართა თავისი ძვირფასი მორთულობა, ანუ მისი სურვილისამებრ რომ შექმნა. დიდმა ქალღმერთმა თქვა: „ოი, თქვენ, აქ მყოფო ღმერთებო, როგორც არ დავეიწყებ ამ ძვირფასეულობას, რომლითაც ჩემი ყელია მორთული, ასევე მემანსოვრება ეს დღეებიც. დაე, ყველა ღმერთი მოვიდეს საკურთხეველთან, ენლილი კი აქ არ დამენახოს. მან ჩვენი რჩევა ყურად არ იღო, წარღვნა მოავლინა და ხალხი დამიღუპა. ამასობაში ენლილიც გაჩნდა და ხომალდი რომ დაინახა, განრისხდა. ღმერთებს გაბრაზებით მიმართა: „ვინ შეძლო თავის გადარჩენა?! წარღვნის შემდეგ კაციშვილი არ უნდა ჰქაენებდეს ქვეყნად!“

ნიგები წამოდგა და უთხრა მეომარ ენლილუს: „ეას გარდა სხვა ვერაინ შეძლებდა ამ საქმეს. ეამ ხომ ყველაფერი იცის!“ მაშინ ეამ უთხრა მეომარ ენლილუს: „შენ ღმერთთა წინამძღოლი ხარ, ო, მეომარო, და რად არ შეისმინე ჩვენი რჩევა, რად მოახდინე წარღვნა! ცოდვილი დასაჯე მისი ცოდვის მიხედვით, დამნაშავე — დანაშაულის მიხედვით. მაგრამ შემწყალე იყავ, რომ ყველა არ დაიღუპოს. წარღვნის მაგივრად უკეთესია ღომი გამოუგზავნო და შეამცრო ხალხი. წარღვნის მაგივრად უკეთესია შიმშილობა ჩამოავდო და დააცარიელო დედამიწა. წარღვნის მაგივრად უკეთესია ხოლერა გამოუგზავნო და კაცობრიობა შეათხელო. მე არ გამიცია დიდი ღმერთების საიღუმლოება, ათრახასის სიზმარი მოვუვლინე და ამ გზით გაიგო ყველაფერი“.

ამის შემდეგ ენლილი ამოვიდა ხომალდში, ჩამკიდა ხელი და გარეთ გამიყვანა, ჩემი ცოლიც გამოიყვანა, ჩემს გვერდით დააჩოქა, გვაკურთხა და თქვა: უთანაპიშტი აქამდე აღამიანი იყო, დღეიდან კი ისიც და მისი ცოლიც ჩვენსავით ღმერთები იქნებიან. დაე, უთანაპიშტი დაბანაკდეს აქედან შორს, მდინარის სათავეში<sup>4</sup>.

<sup>4</sup>გილაგამეში. „ნაკადული“, 1963, გვ. 86.

წარღვნის ლეგენდის ვერსიებიდან ყველაზე უფრო ცნობილი ებრაული ანუ ბიბლიური ვერსიაა. არსებობს მისი ორი ვარიანტი: იელოვეური და ქურუმული. იელოვეური ვარიანტი დაწერილი უნდა იყოს მეცხრე ან მეათე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ქურუმული კი გაცილებით გვიანდელია<sup>5</sup>.

იელოვეურია ლეგენდის ის ვარიანტი, „შექმნათაში“ რომაა მოთხრობილი<sup>6</sup>. საინტერესოა ბერძნული წარღვნის ამბავიც<sup>7</sup>.

ასეთია წარღვნის ლეგენდის ძირითადი ვერსიები. შეიძლება ბევრი რამ თქმულიყო ხსენებულ ვერსიებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე, მაგრამ ეს ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. ჩვენ გვინდა ქართული წარღვნის ლეგენდები ამ უძველესი ვერსიების შუქზე განვიხილოთ.

ქართული წარღვნის ლეგენდის ყველაზე აღრინდელი ჩანაწერი პ. უმიკაშვილმა შემოგვინახა სათაურით „ნოე“. იგი უთარილოა, მაგრამ დაახლოებით მაინც შეიძლება ჩაწერის დროის განსაზღვრა. იმ კოლექციის მასალები, სადაც ჩვენთვის საინტერესოა ლექს-ლეგენდაა მოთავსებული, უმთავრესად 1870—1875 წლებით თარიღდება. ამიტომ ისიც უეჭველად ამ წლებში უნდა იყოს ჩაწერილი. ხსენებული ლეგენდა გალექსილია და პოეტური შესრულებით მდარე შთაბეჭდილებას ტოვებს.

წმინდა ნოემ რა იცოდა, დაჭდა, თალა კიღობანი,  
შიგნით, გარეთ გამოთალა, საგანგებოდ აყუყუა,  
შიგ ჩასხა დედალ-მამალი, კარი მავრა გაუყარა,  
კამბეჩი მოღის, მოყვირის: „მეცა შიგა შემოიყვანე!“  
ზღვიდან რა წყალი გაღმოსქდა, თან წაიღო არეშარე.  
ადგა და ყვავი გაგზავნეს: ქვეყნიერად არი რამე?  
მივიდა და ძრომლს დააჭდა, გაათენა დღე და ღამე.  
ადგა და ტრედი გაგზავნეს, უგუნური და საწყალი,  
სისხლში დარია ფეხები, შიმშილითაც მოკვდა ღამე.  
ზეთისხილს ტოტი მოსტეხა, ტურფად იყო მსხმოიარე.  
თითო ყველას დაურხვა, თვითონ დარჩა მგლოვიარე<sup>8</sup>.

ეს ლექსი დიდი პოეტური ნაწარმოების ფრაგმენტი უნდა იყოს. ამიტომაა ზოგიერთი აზრობრივი გაუგებრობა. რა არ იცოდა წმინდა ნოემ? რატომ დარჩა მტრედი მგლოვიარე?

<sup>5</sup> დ. ფ რ ე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

<sup>6</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 11—17.

<sup>7</sup> Тренчени-Вальганфелъ Имре, Мифология. Москва, 1859. стр. 121.

<sup>8</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, 2. ჩიქოვანის რედ., 1964, გვ. 151.

ლექსის ის ნაწილი, სადაც წარღვნის მდგომარეობის გასაგებად ფრინველების გაშვებაზე საუბარი, პირდაპირ ემთხვევა ბიბლიის შემდეგ ადგილს: „და განავლინა ყორანი ხილვად უკეთუ მოაკლდა წყალი; და განსრული არღა კვალად იქცა, ვიდრე განხმობამდე წყლისა ქუჭყანისაგან. და განავლინა ტრედი უკანა მისსა ხილვად. უკეთუ მოაკლდა წყალი, პირისაგან ქუჭყანისა და ვერა მპოვნელი ტრედი განსვენებისა ფერჭთა მისთასა, მიიქცა მისსა, მიმართ კიღობნად, რამეთუ წყალი იყო პირსა ზედა ყოვლისა ქუჭყანისასა: და განყო ხელი მისი, მიიქუა იგი და შეიყვანა იგი თავისა თვისსა თანა კიღობნად. და მერე შემდგომად შვდთა დღეთასა, კვალად განავლინა ტრედი კიღობნისაგან. და მოაქცია მისსა მიმართ ტრედმან მიმწუხრი; და აქუნდა ზეთისხილისა რტო ფურცელითურთ პირსა შინა მისსა. და ცნა ნოე, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქუჭყანისა“<sup>9</sup>.

ამ ბიბლიურ ადგილს ოდნავი განსხვავებით იმეორებს ლეგენდის რაქული ვარიანტი: „ნოემ კიღობნიდან გამოუშვა დედალი ყვავი და უთხრა: წადი, ამბავი მომიტანე, რა არის ქვეყნიერებაზე გაჩენილი, რომ კაცმა თავი ისაზრდოოსო. ყვავი როცა გარეთ გამოვიდა, დაინახა, რომ ყველაფერი დამხრჩველიყო, მკვდარი საქონლით და ადამიანებით მოფენილიყო ყველაფერი. ყვავმა რომ მძორი ნახა, დააძღა და ყველაფერი დააეიწყა და აღარ დაბრუნდა უკან. როცა ყვავს დაავიანდა, ნოემ სთქვა: ყვანჩალა გაუმადლარია, ნახავდა რამეს და აღარ დაბრუნდებო. შემდეგ გაგზავნა მტრედი და უთხრა: მომიტანე ამბავი, სანოვაგე თუ არის რამე, რომ შეინახოს კაცმა თავი. მტრედი გაფრინდა, დაინახა გუბეები იყო. დაიწყო იებნა. ენკენისთვეა და გამოსულა ძღვამბლი, რომელიც მწიფს. მოკენკა მტრედმა ძღვამბლი. დაიკავა პირში, გაფრინდა, მიუტანა ნოეს და უთხრა: ეს ვნახე მეო.“

აქ მტრედს ნოესთან ზეთისხილის რტოს მაგივრად ძღვამბლი ანუ ვახის ლერწი მიაქვს<sup>10</sup>.

კიღობნიდან ფრინველთა გაშვების რიგის მიხედვით განსაკუთრებით საინტერესოა ფშავური ვარიანტი. კოპალა თავდაპირველად მტრედს გააფრენს. იგი მშრალ ადგილს რომ ვერ ნახავს, უკან დაბრუნდება. მეორედ გაუშვებს მერცხალს. ვერც ის აღმოაჩენს მი-

<sup>9</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 14.

<sup>10</sup> ქართული ხალხის სავეურნო ყოფა და მატერიალური კულტურა, 1964,

წას და კვლავ კიდობანს მიაშურებს. ბოლოს გააფრენს ყვავს, რომელიც მძორს ნახავს და უკან აღარ დაბრუნდება<sup>11</sup>.

ასეთივე მდგომარეობაა გილგამეშის ეპოსშიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უთანაბრეტი მეორედ ბელურას გაუშვებს და არა მერცხალს<sup>12</sup>.

ოსურ ლეგენდაში მტრედის ფუნქციას მერცხალი ასრულებს, ხმელეთს იგი აღმოაჩენს. რის გამოც ბუდის გაკეთების უფლება ყველა სახლში ეძლევა. ამავე ლეგენდაში შიკრიკად ყვავის შემდეგ არწივია გამოყვანილი<sup>13</sup>.

თავისებურადაა ეს ეპიზოდი წარმოდგენილი რუსულ ლეგენდაში. ნოე თავდაპირველად ყვავს გაუშვებს. გაშვების წინ ასე მიმართავს: „გაფრინდი, შავო ყვავო და გამიგე, წყალი დაეცა თუ არა?“ მან იფრინა, იფრინა, ბოლოს მძორს მიაგნო და სიხარულით აჩხავლდა. კარგად რომ გამოძლა, ხომალდს მიაშურა. ნოე გაუწყრა: სად იყავი ამდენხანსო. ყვავი გამოუტყდა, მძორი რომ იპოვა და მის ჭამაში შეაგვიანდა. კიდობნის უფროსი გაუბრაზდა და დასწყევლა: ასე იყავი ნახშირით შევიო<sup>14</sup>.

3. უმიკაშვილისეულ ლექს-ლეგენდაში არაფერია ნათქვამი წარღვნის გამომწვევ მიზეზებზე. სხვა ვარიანტებიდან ვტყობილობთ, რომ ღმერთებმა წარღვნა სასჯელად მოავლინეს ხალხთა ზნედაცემულობის გამო. კერძოდ, ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ დაბეჭდილი ლეგენდის მიხედვით წარღვნა ქალთა ამორალურმა საქციელმა გამოიწვია. „კენის შთამომავალნი ფრიად გამრავლდნენ, ასე რომ ერთი კაცი ას ქალზედ მოდიოდა. დედაკაცები შეებრძოლნენ მამაკაცთათვის და ართმევდნენ ქმარს ერთმანეთს. როცა მამაკაცთა რიცხვი მეტად შემცირდა, მაშინ ქალებმა გამოიგონეს საშუალება: გააკეთეს სტვირი და ჭიანური, სახე ფერუმარილით მოიკაზმეს, გავიდნენ მთაზე და იქ დაუკრეს, დაამღერეს. ამით შეაცდინეს მამაკაცნი ქვემოდ მლოცველნი და მხოლოდ ერთმა ნოვემ დაიჭირა თავი“<sup>15</sup>.

რაც აქ პირდაპირაა ნათქვამი, ბიბლიურ ლეგენდაში ზოგადაა მინიშნებული: „ხოლო იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ გამრავლდეს ურჯულოებანი კაცთანი ქმეყანასა ზედა, და ყოველი ვინ იგონებს გულსა შინა თვისსა. მისწრაფებით ბოროტთა

<sup>11</sup> ფ. არქ. კ<sup>165</sup>, გვ. 24.

<sup>12</sup> გილგამეში, „ნაკადული“, 1963, გვ. 85.

<sup>13</sup> ოსური ზღაპრები და ლეგენდები, ალ. ლლონტის რედ., 1957, გვ. 171.

<sup>14</sup> Народные русские легенды, 1859, стр. 51.

<sup>15</sup> ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1914, გვ. 118.

ყოველთა დღეთა; და შეინანა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქუჭ-  
ყანასა ზედა, და განიზარხა და თქუა ღმერთმან: აღვხოცო კაცი,  
რომელ შევქმენ, პირისაგან ქუჭყანისა, კაცთაგან მიპირუტყუთა-  
მდე და ქუ-წარმავალთაგან მფრინველთამდე ცისათა; რამეთუ შე-  
ვინანე. რამეთუ შევქმენ იგინი“<sup>16</sup>.

ოსური ლეგენდა ხალხთა ამორალურობასა და ზნედაცემულო-  
ბაზე არაფერს ამბობს. იქ წარღვნის მიზეზად ხატის უპატივცემლო-  
ბაა დასახელებული<sup>17</sup>.

ანალოგიური მდგომარეობაა ბერძნულ ლეგენდაშიც. იგი  
მოკვიტხრობს, რომ დედამიწაზე პირველი ადამიანები ოლიმპოს  
ღმერთთა წინააღმდეგ აჯანყებული ბუმბერაზების დაღვრილი სის-  
ხლისაგან წამოიზარდნენ. ადამიანთა ეს მოდგმა უღმერთო იყო და  
თავიანთი წინაპრებივით ძალმომრეობა სჩვეოდათ. ზევსმა მათი  
დანაშაულობანი ოლიმპოდან დაინახა, განრისხდა, ღმერთები სათა-  
თბიროდ შეკრიბა და ამ ხალხის მოსპობა გამოაცხადა<sup>18</sup>.

იმ კაცს, ღმერთი კიდობნის გაკეთებას რომ დაავალებს, ქარ-  
თულ ლეგენდაში ყველგან ნოე ჰქვია, მხოლოდ ფშაურ ვარიანტში  
იწოდება კოპალად. ნოე ბიბლიური სახელია, ბაბილონურ ლეგენდა-  
ში მას კსისუტრი ჰქვია, გილგამეშის ეპოსში კი — უთანაპისტი.

ნოე ღვთისმოშიში და სიმართლის მოყვარულია. ამიტომ მოი-  
პოვა მან უფლის ყურადღება და პატივისცემა. ბიბლიაში ვკითხუ-  
ლობთ: „ხოლო ნოე პოვა მადლი წინაშე უფლისა ღმრთისა. ესე შო-  
ბანი არიან ნოესნი: ნოე კაცი მართალი, სრული იყო ნათესავესა მის-  
სა, და სათნო იყო ნოე ღმერთსა“<sup>19</sup>.

ხახანაშვილისეულ ვარიანტში პირდაპირაა მითითებული, რომ  
ნოე არ აპყვა თანამედროვეთა გახრწნილ ცხოვრებას და ზნედაცე-  
მულობის ატმოსფეროში დიდი კეთილშობილება გამოიჩინა<sup>20</sup>.

ზოგ ვარიანტში ნოეს სიწმინდესა და ღვთისმოყვარეობაზე  
არაფერია ნათქვამი და ლეგენდა ყოველგვარი შესავლის გარეშე  
იწყება. „წინათ თლად პირველად ყოფილა წარღვნა წყლით. ქვე-  
ყანა არეულა, ყველაფერი დანგრეულა, ოცდახუთი დღე წვიმდა.  
ქვეყნიერება ეიცურა წყალში. ნოემ გააკეთა კიდობანი“<sup>21</sup>.

<sup>16</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 11.

<sup>17</sup> ოსური ზღაპრები და ლეგენდები, აღ. ლლონტის რედ., 1957, გვ. 171.

<sup>18</sup> ტრენჩენი-ვალგანფელ იმრე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

<sup>19</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 11.

<sup>20</sup> აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1914, გვ. 118.

<sup>21</sup> ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, 1964,



ახლა მოვესმინოთ გალექსილ ვარიანტებს:

ადრე რომ წარღვნა მოვიდა, ძირს დღამიწამ ცასა ჰკრა,  
შაკრა ნოემ კიღობანი, შიგნით—გარეთ გამოსანთლა,  
არ შაუშვა ცვარი წყალი, რამდენ ლუღე-ლუღესა ჰკრა<sup>22</sup>.

ანდა:

უწინ არცა ეშმაკ იყო, არცა კაცი, არცა ღმერთი,  
ნოემ იყო ჩვენი მამა, ჭვეყანაზე კაცი ერთი,  
იმის გარდა არეინ იყუ, მარტო იღვა როგორც სვეტი<sup>23</sup>.

ამ ბოლო ვარიანტში ადამისა და ევას გავლენა შეიმჩნევა, ნოე პირველ ადამიანადაა წარმოდგენილი, რომლის დროს არც ღმერთი იყო და არც სხვა რაიმე არსებობდა.

ადამისა და ევას ლეგენდის გავლენა კიდევ უფრო რელიეფურად ჩანს რუსული წარღვნის ამბავში. ნოეს ნეკნიდან ღმერთი შექმნის მის ცოლს ევას და ორთავეს ნაყოფდახუნძლულ ბაღში შეიყვანს. ჰამეთ ხილი, ოლონდ ამ ერთ ხეს არ მიეკაროთო,—გააფრთხილებს იგი. ევგა არ დაუჯერებს და აკრძალულ ხილს იგემებს. ცოლ-ქმარი იმ წამსვე გაშიშვლდებიან და ერთმანეთის შერცხვებათ. უფალთან მივლენ და შეეხვეწებიან, ტანსაცმელი მოგვეციო. ღმერთი განრისხდება, სცემს მათ და ბალიდან გააგდებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ღმერთი შეიწყნარებს ნოეს, თანაც გააფრთხილებს: სამი წლის შემდეგ წარღვნა იქნება და კიღობანი უნდა ააშენო, ოლონდ ამის თაობაზე ცოლს არაფერი უთხრაო<sup>24</sup>.

ოსურ ლეგენდაში წარღვნის გმირს არიგი ჰქვია, მის ცოლს კი — მაგირა. ისინი მთის ძირში ცხოვრობენ და, ნოესი არ იყოს, მუდამ ღმერთზე ფიქრითა და ლოცვით ატარებენ დღეებს<sup>25</sup>.

საინტერესოა ღმერთი როგორ აგებინებს წარღვნის გმირს მოსალოდნელ უბედურებას. ბაბილონური ლეგენდის მიხედვით კისიტრის სიზმარში გამოეცხადა ღმერთი კრონოსი და გააფრთხილა: წარღვნა იქნება დაესის თვის მე-19 დღეს და ყველა ხალხი დაიღუპებაო<sup>26</sup>. ასეა გილგამეშის ეპოსშიც<sup>27</sup>.

ფშავურ ვარიანტში მძინარ კოპალას უეცრად ციდან ზარის რეკვა გამოაღვიძებს. წამოდგება და მალლა აიხედავს. ზარის რეკვა მი-

<sup>22</sup> ფ. არქ. ქ. 79, გვ. 63.

<sup>24</sup> ფ. არქ. ქ<sup>47</sup>, გვ. 118.

<sup>24</sup> Народные русские легенды, 1859, стр. 54.

<sup>25</sup> ოსური ზღაპრები და ლეგენდები, აღ. ღლონტის რედ., 1957, გვ. 171.

<sup>26</sup> დ. ფ რ ე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

<sup>27</sup> გილგამეში, „ნაკადული“, 1963, გვ. 80.

წყდება და ყურში იღუმალი ხმა ჩასწყდება: სულ მალე წარღვნა იქნება და კილობანი გაამზადდეთ<sup>28</sup>. ხახანაშვილისეულ ვარიანტშიცაა იღუმალ ხმაზე მითითება: „ნოემ შემოჰკრა ორი ფიცარი ერთმანეთს, რომელთაგან გამოლიოდა ხმა, წარღვნა მოვაო“<sup>29</sup>.

ბიბლიაში კი ღმერთი ნოეს პირადად მოელაპარაკება წარღვნის თაობაზე და იმასაც ასწავლის, როგორი კილობანი უნდა ააშენოს. დაახლოებით ასეა რუსულ ლეგენდაშიც. ამ მხრივ თავისებურია ოსური ლეგენდა. იქ ღმერთსა და არიგს შორის შუამავალი მერცხალია. იგი შეატყობინებს მათ მომავალი წარღვნის ამბავს<sup>30</sup>.

ლეგენდის ზოგიერთი ვერსიის მიხედვით ღმერთმა ქვეყნის დაქცევა და მოსპობა ერთ დღეს კი არ გადაწყვიტა, არამედ ყოყმანისა და ქოქმანის გარკვეული პერიოდი განვლო. ვნახოთ, როგორ არის ამ მხრივ ბიბლიაში საქმე. მოსე ამბობს: „და თქვა უფალმან ღმერთმან: არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნი-სამდე; რამეთუ არიან იგინი ხორც: იყვნეს უკვე დღენი მათნი ასოც წელს“<sup>31</sup>.

ამრიგად, ღმერთი ასოცი წელი ელოდებოდა ხალხის გამოსწორებას, მაგრამ რომ დაინახა: „ვითარმედ გამრავლდეს ურჯულოებანი კაცთანი ქუტყანასა ზედა“<sup>32</sup>, მხოლოდ შემდეგ მოაწვლინა წარღვნა.

რუსულ ლეგენდაში ღმერთის ასოც წელიწადს ლოდინი სამ წლამდეა დაყვანილი<sup>33</sup>.

წარღვნის წინ ღმერთების დავა და ყოყმანი ქართული ლეგენდის მხოლოდ ერთ ვარიანტშია შემორჩენილი. ეს ვარიანტი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ წარღვნის ამბავს შედარებით უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს. ქრისტე მოიწვევს ყველა თავის მოწაფეს და განუცხადებს: ხომ ხედავთ ხალხის გარყვნასა და გაუკულმართებას?! მსხვერპლს რომ არ გვწირავენ, ეს კიდევ არაფერი, მაღლა იხედებიან და გვაფურთხებენო. დავსაჯოთო, წამოიძახა პეტრე მოციქულმა. ამ წინადადებას ყველა დაეთანხმა. დავა გამოიწვია სასჯელზე შეთანხმებამ. პავლეს აზრით, სჯობდა ციება გაეგზავნათ და ხალხისთვის მუსრი გაეკლოთ. მიქელ-გაბრიელმა ყვავილის გაგზავნა მოითხოვა, უფრო მეტი მსხვერპლი იქნებო. ელიამ სეტყვა ისურვა, ყანა-ვენახს მივრეგვ-მოვრეგვავ და ხალხს შიმშილით ამოვხოცავო.

<sup>28</sup> ფ. არქივი, კ 185, გვ. 24.

<sup>29</sup> ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>30</sup> ოსური ზღაპრები და ლეგენდები, ალ. ლონტის რედ., 1957, გვ. 171.

<sup>31</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 11.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> Народные русские легенды, 1859, стр. 50.

ქრისტემ ყველას მოუსმინა, მაგრამ არცერთს არ დაეთანხმა. წარლენა სჯობია ყველაფერს, ქვეყნად ერთი კაციც ვერ გადარჩებაო. ქრისტეს ამ გადაწყვეტილებამ პეტრე მოციქული გაანაწყენა, წავიდა და წარლენის ამბავი წმინდა გიორგის გააგებინა. წმინდა გიორგიმ ნოე დაიბარა და კიდობნის გაკეთება დაავალა: იქნებ სიცოცხლე გადაარჩინო<sup>34</sup>.

ეს ეპიზოდი საოცრად ეხმაურება ბერძნულ ლეგენდას. ზევსმაც ხომ ღმერთები შეკრიბა და წარლენით ხალხის მოსპობა გამოაცხადა. ღმერთებს შორის იყვნენ ისეთნი, რომლებმაც ზევსის წინადადება მოიწონეს და ოლიმპოს მბრძანებელი კიდევ უფრო განარისხეს. ზოგიერთებს კი არ უნდოდათ მთელი ხალხის განადგურება. ისინი გაკვირვებით კითხულობდნენ, დედამიწა უადამიანებოდ რაღა იქნებაო?<sup>35</sup>

კიდევ უფრო მეტი მსგავსებაა გილგამეშის ეპოსთან. გავიხსენოთ, როგორ მიმართავს ეა წარლენის მოთავეს ენლილუს: „შენ ღმერთთა წინამძღოლი ხარ, ო, მეომარო, და რათ შეისმინე ჩვენი რჩევა, რად მოახდინე წარლენა?! ცოდვილი დასაჯე მისი ცოდვის მიხედვით, მაგრამ შემწყალე იყავ, რომ ყველა არ დაიღუპოს. წარლენის მაგივრად უკეთესია ლომი გაგზავნო და შეამცირო ხალხი. წარლენის მაგივრად უკეთესია შიმშილობა ჩამოაგდო და დედამიწა დააცარიელო. წარლენის მაგივრად უკეთესია ხოლერა გაგზავნო და კაცობრიობა შეათხელო“<sup>36</sup>.

ბიბლიაში ჩამოთვლილია, თუ ვის და რას უნდა მისცეს ნოემ ბინა კიდობანში<sup>37</sup>. არც ბაბილონურ და ბერძნულ ლეგენდებში, არც გილგამეშის ეპოსში დაწვრილებითი ცნობები არ არის კიდობნის ბინადართა შესახებ. ქართულ ლეგენდებშიც ანალოგიური ვითარებაა: ყველგან ორიოდ სიტყვაა ნათქვამი. მაგალითად: „ნოემ გააკეთა კიდობანი და რაც ქვეყანაზე სულდგმული არის, ყველაფერი შიგ შეიყვანა“<sup>38</sup>. „კოპალამ კიდობნის აგება რომ დაამთავრა, მწყემსს დაუძახა: მოდი, შემორეკე სანაშენო წვრილფეხობა და მსხვილფეხობაო. მწყემსმა შერეკა“<sup>39</sup>.

<sup>34</sup> ფ. არქ. კ<sup>188</sup>, გვ. 65.

<sup>35</sup> ტრენჩენი-ვალგანფელ იმრე, დასახ. ნაშრ.. გვ. 53.

<sup>36</sup> გილგამეში, „ნაკადული“, 1963, გვ. 86.

<sup>37</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 12.

<sup>38</sup> ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, 1964, გვ. 130.

<sup>39</sup> ფ. არქ. კ<sup>146</sup>, გვ. 65.

ქართული ლეგენდის ყველაზე ორიგინალური და საინტერესო ეპიზოდი კამეჩის ამბავია. იგი თითქმის ყველა ვარიანტში გვხვდება. გვაქვს ისეთი ჩანაწერებიც, სადაც წარღვნის ამბავი კამეჩის დახასიათებით იწყება<sup>40</sup>.

ზოგი ლეგენდა კამეჩს უმოქმედო და დუნე ცხოველად გვიხატავს. უფრო ხშირად კი კამეჩის სიზნანტზე არაფერი არ არის ნათქვამი და კილობანში დროულად მისი შეუსვლელობა ნოეს გულმავიწყობითაა ახსნილი. რაკულ ვარიანტში კვითხულობთ: „კილობანში მთლად მთავარი იყო ნოე, ქრისტიანი კაცი. ნოევს კილობნის გარეშე დარჩენოდა კამბეჩი, რომელიც ცურავდა და იძახდა: ნოე, ნოე. ნოემ შეიყვანა დედალი კამბეჩი, მამალი შიგნით ჰყავდა დამწყვდეული“<sup>41</sup>.

ზოგიერთ ვარიანტში კამეჩის სიზნანტე და მთვლემარეობა კი არა, პირიქით, მისი აქტიურობაა ნაჩვენები.

შაკრა ნოემ კილობანი, შიგნით-გარეთ გამოსანთლა,  
არ შაუშვა ცვარი წყალი, რამდენ ლუღე-ლუღესა ჰქრა.  
კამეჩი უკან მიჰდევდა, აქეთ-იქით გადახამურა<sup>42</sup>.

ანლა:

კამბეჩი მოღის, მოყვირის: „მეცა შიგა შემიყვანე“<sup>43</sup>

კამეჩი რომ ქართული წარღვნის ლეგენდის ორგანულ ნაწილს შეადგენს, ამას დ. გურამიშვილის შემოქმედებაც გვიჩვენებს. „დავითიანის“ ერთ-ერთი თავი არის „წარღვნის-ამბავი: ნოეს კილობნად შესვლა“, სადაც კამეჩის თავგადასავალი დაწვრილებითაა აღწერილი<sup>44</sup>. საინტერესოა ავტორის შენიშვნა: „ეს კამბეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერცადა ვნახე და ისევ მოვშალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს, ამისთვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი“<sup>45</sup>.

ამრიგად, და. გურამიშვილს განუზრახავს გალექსვა ბიბლიური წარღვნის ლეგენდისა, რომელიც საღვთო წიგნებიდან ექნებოდა დაზეპირებული. ამავ დროს გაგონილი ჰქონია ხალხური წარღვნის ამბავი. წერის პროცესში ბიბლიური და ქართული ხალხური ლეგენ-

<sup>40</sup> ხალხური სიბრძნე, III, ელ. ვირსალაძის რედ., გვ. 225.

<sup>41</sup> ქართული ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, 1964, 33. 130.

<sup>42</sup> ფ. არქ. ქ<sup>79</sup>, გვ. 63.

<sup>43</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ., 1964, 33. 15.

<sup>44</sup> დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, 1955, გვ. 254.

<sup>45</sup> ი ქ ვ ე, გვ. 253.

მღებში არეგია ერთმანეთში. ეს აღრევა ჩვენ სხვა ადგილასაც შე-  
წინებნეთ. პოეტი წერს, რომ მსოფლიო კატასტროფამ და ქვეყნად  
სიციოცხლის მოსპობის საშიშროებამ მხეცებიც კი დააძმობილა და  
კიდობანში საყოველთაო ჰარმონია და სიმშვიდე ჩამოაგდო<sup>46</sup>. ასეთი  
რამ კი ბიბლიაში არ არის ნათქვამი. მგსავს ეპიზოდს ლეგენდის  
სხვა უძველეს ვერსიებშიც ვერ ვხვდებით. ყველა ლეგენდა ღუმი-  
ლით უვლის გვერდს იმ საინტერესო საკითხს, თუ როგორ ახერხებს  
კიდობნის უფროსი უამრავი სხვადასხვა სულდგმულის ერთად მო-  
თავსებას. მხოლოდ არაბული ვერსიით ვგებულობთ, რომ კიდობანში  
ქალები და კაცები მკაცრად იყო გამოჩნული, თავთავისი ბინა ჰქონ-  
დათ მიჩენილი აგრეთვე ცხოველებსა და ფრინველებს<sup>47</sup>.

პროფ. მ. ჩიქოვანი ეხება რა დ. გურამიშვილის მიერ გალიქ-  
სილ კამეჩის ამბავს, წერს: „გურამიშვილს ეს ლეგენდა ქართლში  
უნდა ჰქონდეს გაგონილი“<sup>48</sup>.

მართლაც, დ. გურამიშვილმა უეჭველად იცოდა ხალხური  
წარღვნის ლეგენდის ის ვარიანტი, სადაც კამეჩის ამბავიც იყო  
მოთხრობილი და კიდობნის ბინადართა ერთსულოვნებაზეც იყო  
საუბარი. როგორც ავლნიშნეთ, კამეჩის ამბავი ქართული წარღვნის  
ლეგენდის თითქმის ყველა ვარიანტშია მოცემული. მომავალმა  
ძიებამ იქნებ ისეთ ვარიანტსაც მიგვაკვლევინოს, დ. გურამიშვი-  
ლის მიერ აღწერილ კიდობნის ბინადართა ჰარმონიულობის ხალ-  
ხური წარმომავლობა რომ დაამტკიცოს.

როგორია წარღვნის პროცესი და რამდენხანს გრძელდება იგი?  
კახური ვარიანტი მოგვითხრობს: „უცებ ცამ პირი მოხსნა და  
წამოვიდა წვიმა, მაგრამ რა წამოვიდა: გეგონებოდა ცაში კას-  
რები აუტანიათ და გადმოუპირქვავებიათო. წყალი ჯერ მუხლზე  
წამოვიდა, მერე თანდათან იმატა და ბოლოს გომბორზეც კი ავიდა.  
წვიმას ქარიშხალიც ზედ დაერთო და ისე ჩამობნელდა, თითს  
თვალთან ვერ მიიტანდი. მეოთხე კვირას წვიმამ უკლო“<sup>49</sup>.

ბიბლიაშიც დაახლოებით ასეა: „და იქმნა რღვნა ორმეოც  
ღამე ეჭყყანასა ზედა“<sup>50</sup>.

უფრო ხშირად წარღვნის მიმდინარეობა არაა აღწერილი. რაც  
შეეხება მის ხანგრძლიობას, აქაც დიდი სხვადასხვაობაა. მაგალი-

<sup>46</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, გვ. 256.

<sup>47</sup> დ. ფრეზერი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

<sup>48</sup> მ. ჩიქოვანი, დ. გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955, გვ. 40.

<sup>49</sup> ფ. არქ. კ<sup>186</sup>, გვ. 163.

<sup>50</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 13.

თად, გილგამეშის ეპოსში წარღვნის ხანგრძლიობა შეიდი დღეა<sup>51</sup>. რუსულ ლეგენდაში — თორმეტი<sup>52</sup>, ოსურში — სამი<sup>53</sup>, ფშავეურ ვარიანტში — ცხრა<sup>54</sup>, ზოგჯერ კი დრო სულაც არაა განსაზღვრული.

დასასრულ უნდა შევეხოთ ლეგენდის დაბოლოებას. ბაბილონური ვერსია გადმოგვცემს, რომ კიღობანი სომხეთის მთებში გაჩერდა. იმ ფისს, რომლითაც ხომალდი იყო გამაგრებული, სომხები აგროვებენ და სამკითხაოდ იყენებენ<sup>55</sup>.

კიღობანი ბიბლიის მიხედვითაც სომხეთის მთებში ჩერდება<sup>56</sup>. საგულისხმოა, რომ ქართული ლეგენდის არცერთ ვარიანტში არაა სომხეთი და მისი მთები მოხსენებული. პროფ. ი. მეგრელიძისეულ ვარიანტში კიღობანი ბრუტსაბძელასთან ჩერდება<sup>57</sup>. ფშავეური ჩანაწერის მიხედვით კი კობალა მყინვარწვერთან გააჩერებს ხომალდს და წარღვნილ ქვეყანას ოხვრით გადმოხედავს<sup>58</sup>.

ბიბლიის მიხედვით ნოე წარღვნის შემდეგ საკურთხეველს აღმართავს და ღმერთებს მსხვერპლს შესწირავს<sup>59</sup>. მსხვერპლს წარღვნის შემდეგ კისისუტრუცა და უთანაპიშტიც სწირავენ ღმერთებს. ქართველი ნოე კი ასეთი რიტუალისაგან თავისუფალია.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ბაბილონური ლეგენდის გმირი ღვთისმოყვარეობის ჯილდოდ ღმერთებთან დაბინადება და უზენაესთა ხედრს გაიზიარებს. გილგამეშის ეპოსშიც ასეთა: უთანაპიშტი ადამიანობიდან ღმერთამდე მალღდება და მოკვდავთა ადგილ-სამყოფელს სამუდამოდ შორღდება. ბიბლიური ნოე კი ისევ ადამიანად რჩება და წარღვნილ დედამიწაზე სიცოცხლეს ანახლებს.

ქართული ლეგენდის ფშავეურ ვარიანტში კობალა წარღვნამდეც ნახევარღმერთთა და წარღვნის შემდეგაც ასევე რჩება<sup>60</sup>. რაც შეეხება სხვა ვარიანტებს, ნოე არსად არ იქცევა ღმერთად, წარღვნის შემდეგაც იგივე ჩვეულებრივი ადამიანია, როგორიც წარ-

<sup>51</sup> გილგამეშ ი, „ნაკადულო“, 1963, გვ. 84.

<sup>52</sup> Народные русские легенды, 1859, стр. 50.

<sup>53</sup> ოსური ზღაპრები და ლეგენდები, აღ. ღლონტის რედ., გვ. 171.

<sup>54</sup> ფ. არქ. კ<sup>165</sup>, გვ. 24.

<sup>55</sup> დ. ფ რ ე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>56</sup> ძველი აღთქმა, 1898, გვ. 14.

<sup>57</sup> И. Мегрелидзе, Неизвестный вариант о великом потопе и некоторые сказания о вершине Брутсабдзела. Исследования по истории культуры народов Востока, М., Л., 1960, стр. 108.

<sup>58</sup> ფ. არქივი, კ<sup>165</sup>, გვ. 243.

<sup>59</sup> ძველი აღთქმა, 1898 წ., გვ. 14.

<sup>60</sup> ფ. არქივი, კ<sup>165</sup>, გვ. 243.

ღვნამდე იყო. ქართული ლეგენდის ყველაზე ბუნებრივ დასასრულად ჩვენ კახური და რაქული ვარიანტების დაბოლოებანი მიგვაჩნია. მათში მოთხრობილია ნოეს მიერ ვენახის გაშენება და ამ „ღვთიური“ მცენარის საქვეყნოდ გავრცელება<sup>61</sup>.

დასკვნები: 1. დიდი წარღვნის ლეგენდა უხსოვარ დროს ჩაისახა. დღემდე ცნობილ ვერსიებს შორის ყველაზე უძველესია შუმერული ლეგენდის ნაწყვეტი. იგი დაწერილია თიხის პატარა ფირფიტაზე და, მეცნიერთა აზრით, 2100 წელზე უგვიანესი არ უნდა იყოს (ჩვ. წელთაღვრიცხვამდე).

2. დიდი წარღვნის ქართული ლეგენდის ვარიანტებიდან ყველაზე უძველესი ჩანაწერია პ. უმიკაშვილისეული ვარიანტი, ხოლო უფრო ბუნებრივი და სრულყოფილი — კახური და რაქული ვერსიები.

3. ქართული ლეგენდის ყველაზე ორიგინალური და საინტერესო ეპიზოდი კამეჩის ამბავია, რომელმაც ასახვა ჰპოვა დ. გურამიშვილის შემოქმედებაში. დ. გურამიშვილმა უეჭველად იცოდა ლეგენდის ის ვარიანტი, სადაც კამეჩის ამბავიც იყო მოთხრობილი და კიდობნის ბინადართა ერთსულოვნებაზეც იყო საუბარი.

4. ბაბილონურ-შუმერული და ქართული ლეგენდების ზოგიერთი ეპიზოდის დამთხვევა შემთხვევითია, ხოლო ქართული და ბიბლიური ლეგენდების მსგავსება ამ უკანასკნელის უძველესი გაელენით უნდა აიხსნას.

5. ის თავისებურებანი, რაც ქართულ ლეგენდას ახასიათებს (ვაზის ხსენება, ფაზისის მთის დასახელება), ადგილობრივი პირობების გამო უნდა წარმოქმნილიყო. საქართველო ოდითგანვე ვაზის კულტურის ქვეყანაა. არსებობს თქმულებანი, რომელთა მიხედვითაც ვაზი თავდაპირველად საქართველოში გაჩნდა<sup>62</sup>.

#### მცირე წარღვნის ლეგენდა

ქართული ფოლკლორი იცნობს ისეთ ლეგენდებსაც, სადაც წარღვნა შედარებით მცირე მასშტაბისაა და დედამიწის გარკვეული მონაკვეთით განისაზღვრება. ამგვარი ლეგენდების თავისებურება ისიც არის, რომ მათ მიხედვით წარღვნა ზესკნელიდან კი არ

<sup>61</sup> ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, 1964, გვ. 130.

<sup>62</sup> გ. ჩიტიია, „საქართველოს ვაზის კულტურის ისტორიიდან“, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, 1964, გვ. 130.

ხდება წვიმების გზით. არამედ ქვესკნელიდან — მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვისა და დატბორვის მეოხებით.

მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვა და ქალაქის, სოფლის თუ სხვა დასახლებული პუნქტის ტბად ქცევის ამბებს დიდი წარღვნის ლეგენდათა ანალოგიით „მცირე წარღვნის“ ლეგენდებს ვუწოდებთ.

„ამ ტბის ადგილას ოდესღაც იყო ქალაქი პალეოსტომი. ამ ქალაქში იყო ეკლესია, სადაც იმყოფებოდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ანდრია პირველწოდებულის მოტანილი იყო“ — ასე იწყება პალიასტომის ლეგენდა. შემდეგ მოთხრობილია ქალაქის მცხოვრებთა შეცოდებებზე. ერთადერთი კაცი, ვისაც ღვთის სიყვარული არ შენელებია, ყოფილა კიკო. მას სიზმარში ღმერთი გამოცხადებია და გაუფრთხილებია: წაიღე ღვთისმშობლის ხატი შემოქმედში, პალეოსტომი უნდა დაიღუპოსო. კიკო როგორც კი გამოჩნდება პალეოსტომს, ამოუხეთქავს წყალს და ქალაქი დაუტბორავს.

ეს ვარიანტი ფ. მგელაძეს ჩაუწერია და 1892 წელს რუსულ ენაზე გამოუქვეყნებია<sup>63</sup>.

პალიასტომის ლეგენდა გამოყენებული აქვს ეგ. ნინოშვილს მოთხრობაში „პალიასტომის ტბა“<sup>64</sup>. ე. ნინოშვილისეული ლეგენდა ძალიან ემსგავსება მ. კელენჯერიძის ჩანაწერს<sup>65</sup>.

პალიასტომის ლეგენდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ჩაუწერიათ დასავლეთ საქართველოს რუსთა ელჩებს<sup>66</sup>.

შედარებით მცირე მონაკვეთის წარღვნას ეხება ლეგენდა „ახტალა“. მასში ერთი ოჯახის დაღუპვის ამბავია მოცემული<sup>67</sup>.

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს როგორც პალიასტომი, ისე ახტალის ლეგენდა. ამ უკანასკნელზე იგი წერს: „იტყვიან ნასოფლარსა, რა რისხვით დანთქმულსა“. პალიასტომის შესახებ კი აღნიშნავს: „ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდეგ მოცულსა წყლისაგან“<sup>68</sup>.

თავისებური დაბოლოება აქვს ლეგენდას ტბაზე, რომელსაც ნატყევეარა ჰქვია. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ნატყევეარას ადგი-

<sup>63</sup> СМОПГК, 1892, выпуск. XIII, отдел II, гл. 72.

<sup>64</sup> ეგ. ნინოშვილი, მოთხრობები, თბ., 1947, გვ. 281.

<sup>65</sup> ფოლკლორული არქივი, № 7375.

<sup>66</sup> ა. სანადირაძე, პალიასტომი, ტურნ. „საქართველოს ბუნება“, 1969, № 3.

<sup>67</sup> Кавказ, 1903, № 230.

<sup>68</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გეოგრაფია, გვ. 99.



ლას პატარა ტყე ყოფილა. ტყეს უღრანა რქმევია. შიგ თურმე უამრავი ნაღირი ბინადრობდა. მონადირეს თოფის გასროლა არ სჭირდებოდა, ხელით იჭერდა ყოველგვარ ცხოველსო. ოღონდ ტყის სახელს ვერ ახსენებდნენ. უღრანაში მიმავალ კაცს რომ შეხვედროდი, გეტყოდა ნათესაეებში მივალ, ცოტა მიჭირს და იქნებ ხელი გამიმართონო. ერთ მთვრალ მონადირეს ვილაც მგზავრი შეხვედრია, უღრანაში წაუყვანია, თანაც მისი სახელი წამოსკდენია. მისულან და ტყის მაგივრად ტბა დახვედრიათ. წყალში როგორც კი ფეხი ჩაუდგამთ, ორივე დამხრჩვალან. ამის შემდეგ აიკრძალა იმ ტბაში ჩასვლა. ვინც ფეხს ჩადგამდა, უკან ვეღარ ამოდიოდა<sup>69</sup>.

ზოგიერთ ლეგენდაში წარღვნას და ამა თუ იმ ადგილის ჩაქცევას წყევლა იწვევს. ასეთია, მაგალითად, „პაპანწყურის ტბა“<sup>70</sup>. ვრცელი ლეგენდა უკავშირდება საქვეყნოდ განთქმულ რიწასაც<sup>71</sup>.

მცირე წარღვნის ქართულ ლეგენდებს მსოფლიო ფოლკლორში მრავალი პარალელი მოეპოვება.

ლიტვაში, ქალაქ დრუსკინინის ახლოს არის ქაობიანი დაბლობი, ციცაბო კლდეებით გარშემორტყმული. ამ დაბლობს რაიგრადს უწოდებენ. როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, იქ ქრისტიანობამდე ეპოქაში არსებულა ქალაქი რაიგრადი, რომლის მცხოვრებნი გადაგვარებულან და ღვთის ათივე მცნება უარუყვიათ. მათ გაუდევნიათ მღვდელი, რომელიც თურმე რაიგრადელთა ქრისტიანებად მოქცევას ცდილობდა. ერთხელ, ღამით ანგელოზებს სამჯერ გაუღვიძებიათ მღვდელი და ურჩევიათ ქალაქის დატოვება. მღვდელი წასულა, მაგრამ ლოცვანი დავიწყნია და მის წასაღებად დაბრუნებულა. მოსულა და ქალაქის მაგივრად ტბა დახვედრია. მასთან ტბიდან მაგიდა მიცურებულა, რომელზეც ლოცვანი ყოფილა. როგორც კი წიგნი აუღია, მაგიდაც ჩაძირულა<sup>72</sup>.

უკრაინაში, სოფელ ვისოცკის განაპირას, არის პოჩაევოს ტბა. ოდესღაც იქ სოფელი პოჩაევო ყოფილა და წარღვნით დღღუპულა. ხალხის რწმენით, ტბის სიღრმიდან ყოველ წმინდა კვირას ზარის რეკვა ისმის<sup>73</sup>.

ერლანდიური ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მათხოვრის ტანსაცმლით შემოსილ წმინდანს ქარიშხლიან ღამეს სასახლეში თავ-

<sup>69</sup> ფოლკ. არქივი, კ. 165, გვ. 69.

<sup>70</sup> СМОМПК, 1892, выпуск XIII, отдел II, გვ. 32.

<sup>71</sup> Г. Ф. Чур с и н, Материалы по этнографии Абхазии, გვ. 236.

<sup>72</sup> Б. К е р б е л и т е, Литовские предания об исчезнувших городах: Советская этнография, 1963, № 5, გვ. 98.

<sup>73</sup> ი ქ ვ ე, გვ. 100.

შესაფარი არ მისცეს. სტუმრის მოძულენი სულ მალე დაისაჯენ: სასახლე მთელი თავისი შემოგარენით წყალში ჩაიძირა და მის ადგილზე ტბა გაჩნდა<sup>74</sup>.

საფრანგეთის ერთი სოფლის მოსახლეობამ არ იდღესასწაულა წაინდა ანას დღე. ანის განო სოფელს წარღვნა მოეელინა და დაიტბორა<sup>75</sup>.

უფრო საინტერესოა ამ ლეგენდის მეორე ფრანგული ვარიანტი. სადაც ახლა პილერის ტბაა, წინათ ქალაქი იყო. მისი მცხოვრებნი გაირყვნენ. ქალაქი დაიქცა და წყლით დაიფარა. გადარჩა მხოლოდ ერთი მუსიკოსი. ტბა უძირრა. იქიდან დამღამობით მუსიკოსის კვნესა ისმის. იგი წყალში ითრევს, ვინც ტბის ახლოს გაივლის<sup>76</sup>.

მიუნხენის ტბა შემდეგნაირად წარმოიშვა: რავენსბერგის მთის ძირას კერპი იდგა. ერთხელ მივიდა ბერი, წარმოთქვა წყევლა. კერპი ჩაიქცა და წყალი ამოვარდა<sup>77</sup>.

შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა მაგალითები, მაგრამ სურათი ისედაც ნათელია. ქართველთა და ახლო თუ შორეულ ხალხთა მცირე წარღვნის ლეგენდები გასაოცრად ჰგავს ერთმანეთს, ზოგჯერ კი პირდაპირ დამთხვევასთან გვაქვს საქმე.

ეს აიხსნება უმთავრესად ორი მიზეზით: 1. მცირე წარღვნის ლეგენდები ყველა ქვეყანაში დიდი წარღვნის ლეგენდების გავლენით იქმნებოდა, 2. მსგავსი სტიქიური უბედურებანი მსგავს სიუჟეტებს წარმოშობდა.

განვიხილოთ ქართული ლეგენდების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც პირობითად მოსალოდნელი წარღვნის ლეგენდები გვინდა ვუწოდოთ. ასეთია, მაგალითად, „საყდრიონის ეკლესია“. იგი მოგვითხრობს ერწო-თიანეთის დიდი ტბის ამბავს. ეს ტბა ერთ გველეშაპს გაუჩენია. თურმე ყოველდღე წავიდოდა ზღვაზე, ჩაიგუბებდა წყალს და აქ ასხამდა. ტბა თანდათან იზრდებოდა და მთებზე მოსახლე ხალხს წალეკვას უქადდა. გველეშაპთან შებმას აბა, ვინ გაბედავდა. ჰოდა, ერთ კაცს საოცარი მოზვეერი ჰყოლია. რქები დანასავეით ჰქონია გალესილი. ერთ მშვენიერ დღეს გაპარულა ეს მოზვეერი, შექიდებია გველეშაპს და სულ დაუ-

<sup>74</sup> ბ. კერბელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 5.

ფატრია, მხოლოდ კუდი დარჩენია. ეს კუდი არის ჩვენი იორი, ახლაც რომ ჩაგვიდის და არ გვიწყდება”<sup>78</sup>.

მაშასადამე, წარღვნა მოსალოდნელი ყოფილა და მოზვერს უხსნია ხალხი დაღუპვისაგან.

არსებობს ამ ლეგენდის ვრცელი ვარიანტი, რომელიც ვ. ბე-წუქლიშვილს 1934 წელს ჩაუწერია. იგი ყურადღებას იქცევს შემდეგი ეპიზოდით: „ტბის დაშორებით ერთი ძლიერზე ძლიერი ხატი იყო. შორს იყო მისი სახელი განთქმული. წმინდა გორგის სამების ჯვარს ეძახდნენ ამ ხატს. ბევრი კეთილი საქმე მოიმოქმედაო ხატმა: ბევრ ბრმას აუხილა თვალი, ბევრ კუტს აადგმევინა ფეხი და გააჯანსაღა“<sup>79</sup>.

ხატთან თურმე უამრავი კურატი მიჰყავდათ ყოველწლიურად. გველეშაპის დამმარცხებელი სწორედ ერთ-ერთი ასეთი კურატთა-ვანი ყოფილა. ამგვარად „საყდრიონის ეკლესიის“ მიხედვით მოზვერი გამოდის როგორც თავისთავადი ძალა, ხოლო ბეწუქლიშვილისეულ ვარიანტში კურატი ღვთის ბრძანებით მოქმედებს, იგი აღევს გველეშაპის დამარცხების შესაძლებლობას.

ეს მომენტი კიდევ უფრო უკეთ ჩანს შილდურ ვარიანტში<sup>80</sup>.

საინტერესოა დუშეთში ჩაწერილი ლეგენდა. გველეშაპი შეაგუბებს არაგვს. წარღვნის შიშით შეძრწუნებული ხალხი ვეშაპთან ბრძოლას გზას სახავს. იმედს ამყარებენ ნაიალაღარ ხარებზე. ჯერ ერთს გამოიყვანებენ და შეაბრძოლებენ, მერე მეორეს, შემდეგ მესამეს... მაგრამ ვეშაპი ყველას დაამარცხებს. მისნის რჩევით, ბოლოს ნიკორა მოზვერს მონახავენ. იგი გველეშაპს რჩით მუცელს გაუფატრავს, არაგვს გზას გაუხსნის და სოფლებს გადაარჩენს<sup>81</sup>.

ქართლურ ვარიანტში მოსალოდნელი წარღვნისაგან მხსნელად ღორი გამოდის. მთა ჩამოხვავდება და ლიახვს გზას გადაუღობავს. წყალი თანდათან მაღლა იწევს, ხალხს კი ვერაფერი უღონებია და უბედურებას ცახცახით მოელიან. ამ დროს ტყიდან ღორი გამოვარდება, საგუბარს დინგით გათხრის, მდინარეს გზას მისცემს, თვითონ კი უეცრად გაქრება<sup>82</sup>.

ახლა მოვეუსმინოთ სვანურ ლეგენდას, რომლის სათაურიცაა „ღვთისმშობლის და დევის ჩხუბი“. უშგულის ლამარია ანუ ღვთის-

<sup>78</sup> ფოლკ. არქ., კ 165, გვ. 75.

<sup>79</sup> ხალხური სიბრძნე, III, ვლ. ვირსალაძის რედ., გვ. 246.

<sup>80</sup> ი. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ და პოემა „გველის მკამელი“, 1959, გვ. 38.

<sup>81</sup> ფოლკ. არქ., კ 165, გვ. 89.

<sup>82</sup> ი კ ე ვ, გვ. 83.

მშობელი მოსწონებია დევთა მეფეს და მისი ცოლად შერთვა განუზრახავს. ლამარიას უარი უთქვამს. დევი განრისხებულა, ენგურის ხეობაში ყველაზე ვიწრო ადგილი შეურჩევია, შიგ ჯებირი ამოუშენებია და მდინარე შეუგუბებია. წყალს მთებამდე აუწევია და მთელი სოფელი წარღვნის მოლოდინში ყოფილა. ლამარიას და წმინდა კვირიკეს გამოუშვიათ ვერძები, რომლებიც ჯებირს დასჯახებინან, წყალი გაუშვიათ და სოფელი დაღუპვას გადაურჩენიათ<sup>83</sup>.

ხარი, ვერძი და ღორი ხალხს რომ მფარველობენ და სოფლებს წარღვნისაგან იხსნიან, შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქ იმ უშორესი ეპოქის გამოძახილია, როცა ჩვენი წინაპრების შეგნებაში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა და ზოგიერთ ცხოველს ღვთიურ არსებად მიიხსენებდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ამის თაობაზე ნათქვამია: „რომელნიმე უგდებდეს ცასა და სხვანი მშესა და რომელნიმე მთვარეს, რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე მფრინველთა და რომელნიმე ქვეყანასა და მკეცთა და ნადირთა და ხეთა“.

არქეოლოგიური გათხრების დახმარებით პრეისტორიული ხანის ადამიანთა საფლავებში მრავლად აღმოჩნდა შინაურ პირუტყვთა ძვლები და ზოგჯერ მათი ქანდაკებანიც. ეს ქანდაკებანი სხვა არაფერია, თუ არა იმ ცხოველების ღვთაებათა გამოსახულებანი, რომლებსაც მიცვალებულს საფლავში ატანდნენ. ამით მტკიცდება, რომ პირუტყვის კულტი უხსოვარ დროსაც არსებობდა.

სსხვილფეხა ცხოველთა შორის განსაკუთრებით ხარს აღმერთებდნენ<sup>84</sup>. ხარის კულტის მაჩვენებელია ბოლახეკოის მახლობლად აღმოჩენილი ხეთური სამეფოს ციხე-კოშკის ნაშთები, მე-14 საუკუნით რომ თარიღდება (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ამ კოშკის მარცხენა მხარეზე ხარის ტაძარი გამოხატული; ხარის წინ კი სამსხვერპლოა<sup>85</sup>.

პეროდოტე აღნიშნავს, რომ ხალიბებს მტრებთან ბრძოლის დროს „პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა და თვითთულს ჰქონდა ორი შუბი ლიკიური ხელობისა, ხოლო თავებზე—სპილენძის მუზარადები. მუზარადებზე იყო ხარის ყურები და რქები სპილენძისაგან (ნაკეთები)“<sup>86</sup>.

აქედან ნათელია, რომ ხალიბებს ხარი ღვთაებრივ არსებად მკვლევართა წარმოდგენილი, როგორც ჩანს, ხარის ტყავი, რქები და

<sup>83</sup> ძველი საქართველო, ექ. თაყაიშვილის რედ., ტ. II, გვ. 35.

<sup>84</sup> თ. ო ქ რ თ შ ი ძ ე, ხარი, ქართული ფოლკლორი, III, 1969, გვ. 131.

<sup>85</sup> დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართული დრამის ხალხური საწყისები, 1948, გვ. 6.

<sup>86</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, გვ. 76.

ყურები მაგიური ძალის ატრიბუტები უნდა ყოფილიყო უძველესი ქართველ ტომების პირველყოფილ წარმოდგენებსა და შეხედულებებში.

როცა ხარის კულტზე ვლაპარაკობთ, უნდა მოვიხსენიოთ ნაცარგორას არქეოლოგიური გათხრების მასალები. როგორც გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, ნაცარგორას მესამე ფენაში მიკვლეულ „ნაყოფიერების ღვთაებათა ქანდაკებებს დედრობითი ნიშანი აღარ გააჩნია. ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული ჩანს ხარი (კურო)<sup>87</sup>.

ნაცარგორას მასალებიდან საინტერესოა აგრეთვე საკუროთხეველები, რომლებსაც შერჩენილი ჰქონიათ პატარა-პატარა კერა, საკუროთხეველებზე კი ხარის გამოსახულებანი ყოფილა. გ. გობეჯიშვილის აზრით, „ეს ფაქტი უნდა მოწმობდეს ხარის კავშირს არა მარტო ზოგადად ნაყოფიერებასთან, არამედ კერის კულტთანაც და მის მნიშვნელოვან როლს ბინადარი მიწათმოქმედი ტომების ცხოვრებაში<sup>88</sup>.

ხარის კულტთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის აკადემიკოსი ნ. მარი. იგი აღნიშნავს, სვანები და აფხაზები ხარს წმინდა ცხოველად მიიჩნევდნენ<sup>89</sup>. სამსხვერპლო ხარს სვანები ყანდანაც არ გამოდევნიდნენ, ისე დიდი იყო მათი მოკრძალება ამ მუშა პირუტყვისადმი<sup>90</sup>.

ხარის კულტი ძველ კოლხეთშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამას მრავალი ფაქტი გვიჩვენებს, ჭერ ერთი IV—III საუკუნეებში (ძველი წელთაღრიცხვით) კოლხურ მონეტებზე ხარის თავია გამოსახული. მეორეც: ხარი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა „საკულტო-სარიტუალო წეს-ჩვეულებებშიც, კერძოდ, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით<sup>91</sup>. მეგრელთა შორის გავრცელებული იყო ჩვეულება: მამაკაცის ორმოცზე ხარი უნდა დაკლულიყო<sup>92</sup>.

არა მარტო პირველყოფილი შეხედულებებისა და წარმართობის ეპოქაში, არამედ ქრისტიანობის ხანაშიც კი მრავლად გვხვდება

<sup>87</sup> გ. გობეჯიშვილი, ცხინვალის ნაცარგორა, „მომონაღველი“, ტ. II, თბ., 1951, გვ. 239.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 271.

<sup>89</sup> Н. М а р р, Из поездок в Сванию, Хр. Восток, т. I, стр. 6.

<sup>90</sup> Н. М а р р, Талыши, II, 1922, стр. 16.

<sup>91</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 68.

<sup>92</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ.

ხარის გამოსახულებანი უძველეს ტაძრებსა და ეკლესიებში. მაგალითად, მეხუთე საუკუნის ტაძარში—ბოლნისის სიონში ხარის თავის გამოსახულებაა, რაც ქრისტიანობამდელი სარწმუნოების გამოცხილი უნდა იყოს<sup>93</sup>.

ხარის კულტი მკიდროდ იყო დაკავშირებული სამეგრელოს ერთ-ერთ ძლიერ ხატ-სამლოცველოსთან — ილორის წმინდა გიორგის ეკლესიასთან. ხალხი წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებას მიაწერდა. ყველას სჯეროდა, რომ წმინდა გიორგის ილორობა ღამეს ხარი მალულად მიყავდა ეკლესიაში. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, წმინდა გიორგის მიყვანილ ხარს „გაიყვანდნენ გალავნის გარეთ და დააკვლევინებდნენ იქაურ მცხოვრებს, რომლის ოჯახს ძველიდანვე ეკუთვნის ეს ხელობა“<sup>94</sup>. შემდეგ ამ ღვთაებრივი ხარის ხორცს ყველას ნამცეც-ნამცეც გაუნაწილებდნენ, რადგან იგი უებარ წამლად მიაჩნდათ.

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის პროფ. მ. ჩიქოვანი: „ლეჩხუმში გაზაფხულზე სოფელი ერთ ხარს აარჩევს, კარგად მოუვლის, გაასუქებს (არ ამუშავებენ) და დაკლავენ იმ ადგილზე, რომელსაც „ხარეილა“ (ხარ-ელია) ეწოდება. ხორცს იმდენ თანაბარ ნაწილად გაყოფენ, რამდენი კომლიცაა სოფელში და ჩამოირიგებენ. საღამოთი ოჯახში ხორცს სუფთად მოხარშავენ და ჭამენ მოლოცვით (სოფ. ცხუკუშერი)“<sup>95</sup>.

იმ ნაჯახს, რომლითაც ვითომდა წმინდა გიორგის მიყვანილი ხარი იკვლებოდა, საღვთო ნივთად თვლიდნენ და სასობით ინახავდნენ<sup>96</sup>.

ხევსურეთში ხარის კულტი ნათლად ვლინდება ქადაგის დასმის რთული რიტუალის დროს. სოფელ კიმხის მცხოვრები იმედა ლიქოკელი აღნიშნავს: „ქადაგობის დროს ხატის ხარებსაც იქ მოიყვანენ. ქადაგობის შემდეგ დასტურს რომ აირჩევენ, ის გადაიბარებს ხარებს“<sup>97</sup>.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ნიკორა მოზერის უძვეველობა და მის მიერ გველეშაპის დამარცხება, ღუშეთში ჩაწერილი ლეგენდა

<sup>93</sup> Г. Чубинишвили. Болнисский Слон, Тб., 1940, გვ. 158.

<sup>94</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938. გვ. 142.

<sup>95</sup> მ. ჩიქოვანი, ქართულ ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 269.

<sup>96</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941. გვ. 356.

<sup>97</sup> თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 68.

რომ მოგვიტხოვრობს. ამასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ ეთნოგრაფ ა. სოხაძის მოსაზრებას. იგი აღწერს ხარებისა და ძროხების გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის განკუთვნილ დღეობას, რომელიც ბოსლობის სახელითაა ცნობილი. „ლეჩხუმში ბოსლობა საღამოს, ვახშობის წინ, იმდენ უმ კვერცხს წაიღებდნენ ბოსელში, რამდენი ხარიც იყო. ამ კვერცხებს, საბოსლობო ტაბლებს და ანთებულ სანთელს ვაჟკაცი მიიტანდა მუშა ხართან, რამდენიც არ უნდა ყოლოდა ხარები, ყველას წაღმა შემოავლებდა თავზე და ასე იტყოდა: „მუშა ხარის გამჩენო, მიმყოფე კარგად ჩემი ხარები, ნურაფერს გაუჭირებ, ღეიფარე ჭირისაგან, ყოველი ფათერაკისაგან. ყოველი ამყოფე ჯანზე და ღონეზე“. ამ ლოცვას რომ გაათავებდა, ხმამაღლა დაიძახებდა: „მამაჩემო, რომელს ვურქინო?“ „ნიკორას ურქინე, შვილო, ნიკორას“, —სახლიდან გამოძახებდა მამა ან სხვა და ეს კაცი მარჯვენა მუხლს წაუჭიკიანებდა ნიკორას და თან ეტყოდა: „ჩემო ნიკორა, ჯანიერად მეყოლეო“.

ა. სოხაძე ასევეცხნის: „ამ ჩვეულებიდან ნათლად ჩანს, რომ ლეჩხუმში ნიკორა ხარის მიმართ, სხვა მუშა ხარებისაგან განსხვავებით, დამატებითი მაგიურ-რელიგიური რიტუალი სრულდებოდა, რაც იმას მოწმობს, რომ ნიკორა ხარს ლეჩხუმელი მიწათმოქმედი „მუშა ხარის გამჩენი“ ღმერთის ანუ „დიდი ღმერთის“ მიერ ნიშნდებულ ცხოველად მიიჩნევდა“<sup>98</sup>. „დიდი ღმერთის“ ცნებაში კი წარმართული ღვთაება უნდა იგულისხმებოდეს<sup>99</sup>.

ზემოთ ხსენებული წარღვნის ლეგენდა გვაფიქრებინებს, რომ ნიკორა ხარს „დიდი ღმერთის“ ნიშანდებულ ცხოველად მარტო ლეჩხუმში კი არ მიიჩნევდნენ, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

გვაქვს ღორის კულტის დამადასტურებელი ცნობებიც. ირკვევა, რომ წარმართობის ეპოქაში მეგრელები თავყვანს სცემდნენ მუხას<sup>100</sup>. რადგან მუხას ღორი ეტანებოდა, ამიტომ ისიც წმინდა ცხოველად ითვლებოდა, ღვთაებისადმი შეწირულად იყო მიჩნეული. ყოველ გაზაფხულზე იხდიდნენ „მირსობას“. ამ დღეობისთვის სპეციალურად ასუქებდნენ ღორს, რომელსაც ოჯახის უფროსი დაკვლის წინ კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა<sup>101</sup>.

ჩვენი საკითხის თვალსაზრისით გვინდა მოკლედ განვიხილოთ

<sup>98</sup> ა. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გაღმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 112.

<sup>99</sup> იქვე, გვ. 109.

<sup>100</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 94.

<sup>101</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., გვ. 301.

უძველესი ქართული ხალხური სანახაობა ბერიკაობა. აკადემიკოს ი. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ბერიკაობა და სევანური „მურყვამობა“ სიყვარულისა და შვილოსნობის ღვთაების ნაშთს წარმოადგენს<sup>102</sup>.

ბერიკას ხშირად ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ტყაპუჭი აცვია, რომელსაც ზოგჯერ გაკეთებული აქვს საქონლის კული. ეთნოგრაფი რ. ხარაქე ეხება ამ საკითხს და სათანადო საბუთების საფუძველზე დაასკვნის: „საფიქრებელია, რომ ტყაპუჭის ტარება ოდესღაც მაგიური ზემოქმედების მიზნით ხდებოდა — ბერიკასა და ყუენს ცხვრის ტყავისაგან შეკერილ ტანსაცმელს აცმევდნენ იმისათვის, რომ ცხვრის ნაყოფიერების თვისება მათზე გადასულიყო<sup>103</sup>.

ბერიკაობის ნიღბების სახით წარმოდგენილია ცხოველთა სამყარო, რომელთა შორის გარკვეული ადგილი ღორსა და ცხვარს უჭირავს.

როგორც აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, „ნიღბებს ატარებდნენ ჭერ კიდევ სუმერულ ხანაში. გილგამეშის ეპოსის სიუჟეტებს ასრულებდნენ ქურუმები მისტერიის სახით. ცხოველების ნიღბებს ხმარობდნენ ეგვიპტეში რელიგიურ პროცესებში<sup>104</sup>.

ბერიკაობაში მოქმედ გმირთა წარმოდგენა ცხოველთა ნიღბებით შემთხვევითი არაა. ამის წარმოშობა იმ შორეულ ეპოქას უნდა მიეკუთვნოს, როცა აღნიშნულ პირუტყვთა კულტი არსებობდა. რუსი მკვლევარი ნ. ხარუზინი მართებულად მიუთითებს: „იმისათვის, რომ პირველყოფილმა ადამიანმა თავი თავის ტოტემს მიაშვავოს, უნდა ჩაიცვას იმ ტოტემის ტყავი, რომლის მიმსგავსებაც სურს, და გაიკეთოს მისივე მსგავსი ნიღაბი“<sup>105</sup>.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში შინაური პირუტყვის კულტს უცხოელების ყურადღებაც კი მიუქცევია. მაგალითად, არქეოლოგ ფრ. ბაიერნს სტეფანწმინდის ერთ-ერთი წყარო ბერძნულ მითოლოგიაში საქონლის ნაყოფიერების ღვთაების პრიაპის წყაროდ მიაჩნია და მიუთითებს, იქ მლოცველები შესაწირავებით დადიანო<sup>106</sup>.

ფიქრობთ, ამ საკითხზე საუბრის გავრძელება აღარაა საჭირო. თქმულითაც ცხადია ქართულ სინამდვილეში ტოტემისტური რწმე-

<sup>102</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 70.

<sup>103</sup> მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 102.

<sup>104</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 33.

<sup>105</sup> Н. Х а р у з и н, Этнография, IV, 1905, стр. 387.

<sup>106</sup> Fr. B a y e r n s, Untersuchungen über die ältesten Träger und Schatzfunde in Kaukasien. Berlin, 1885, seite 41—51.



ნის გადმონაშთების არსებობა, რამაც წარღვნის ლეგენდებშიც იჩინა თავი.

ახლა იმ ბოროტ არსებებზე ვისაუბროთ, რომლებსაც ზემოთ ხსენებული ცხოველები ებრძვიან და ხალხს წარღვნისაგან იხსნიან. ესენია: ზოგჯერ დევი, ზოგჯერ ვეშაპი, ხოლო უფრო ხშირად—გველ-ვეშაპი. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ვარიანტი, სადაც ვეშაპი იხსენიება. ეს სიტყვა ლეგენდის სიძველეზე მეტყველებს. პროფ. მ. ჩიქოვანი მართებულად შენიშნავს, რომ „ვეშაპი და გველი — ეს ორი სიტყვა ადრე, ყოველ შემთხვევაში XIII საუკუნემდე, ცალ-ცალკე აღნიშნავდა იმას, რასაც ახალ საუკუნეებში და ამჟამადაც „გველ-ვეშაპი“. როგორც უკვე გარკვეულია, კომპოზიტური შედგენილობის სიტყვა შედარებით ახალი წარმონაქმნია, ადრინდელ ძეგლებში კი ამავე ფუნქციით ან ვეშაპი იხსენიება (აბოს წამება, დავით გარეჯელის ცხოვრება, ბიბლიის თარგმანი), ანდა გველი (აბუსერიძე ტბელის თხზულება, 1233 წ.)<sup>107</sup>.

ვეშაპთან ბრძოლა საყოველთაოდ გავრცელებული მოტივია როგორც ფოლკლორში, ისე წერილობით ლიტერატურაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია პაგიოგრაფიული ლიტერატურა, სადაც ვეშაპთან მებრძოლებად წმინდანები არიან გამოყვანილი. აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ ამ თემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მან გიორგი კაპადოკიელისა და თეოდორე სტრატელატის საგმირო ამბები შეუდარა მ. ხონელის „ამირან-დარეჯანის“ შესაბამის ეპიზოდებს და საგულისხმო დასკვნა მოგვცა: „აგიოგრაფიული რომანის გმირი, გარკვეულს სოციალ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში, საერო ლიტერატურის ამქვეყნიურ გმირად ქცეულა. რასაკვირველია, ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ მოსე ხონელმა ეს ეპიზოდები გიორგისა და თეოდორეს „წამებიდან“ გადმოიღო, შესაძლებელია და უფრო საფიქრებელიც, რომ ისინი ერთი და იგივე „საერთო ფონდიდან ან სუბსტრატიდან მომდინარეობენ“<sup>108</sup>.

კ. კეკელიძის ამ გამოკვლევას ვრცელი ნაშრომით გამოეხმაურა პროფ. მ. ჩიქოვანი, რომელმაც დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ვეშაპთმებრძოლი გმირის სახე ქრისტიანობაზე ვაცილებით ადრე ფოლკლორში ჩამოყალიბდა<sup>109</sup>. სხვა ზღაპრულ გმირებთან ერთად

<sup>107</sup> მ. ჩიქოვანი. „ვეფხისტყაოსნის - პითოლოგია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 11, გვ. 82.

<sup>108</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. II, თბ., 1945, გვ. 6.

<sup>109</sup> მ. ჩიქოვანი, ვეშაპთმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, ა. ს.

იგი ასახელებს ხალხურ ამირანსაც. რადგან ავტორს მხოლოდ ვე-  
შაბთმებრძოლი გმირები აინტერესებდა, „მოსალოდნელი წარღვნის“  
ლეგენდას აღარ იხსენიებს, სადაც გმირთა ფუნქციას ცხოველები  
ასრულებენ. უნდა ითქვას, რომ გიორგი კაპადოკიელის „წამებაში“  
მოყვანილი მოთხრობა ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ  
განხილულ „საყდრიონის ეკლესიას“ ჰგავს<sup>110</sup>.

ჩვენი აზრით, ვეშაბთან ბრძოლის ევოლუცია ამგვარად უნდა  
წარმოვიდგინოთ: 1. ტოტემისტური რწმენის ეპოქაში იყვნენ ვე-  
შაბთმებრძოლი ცხოველები (ხარი, ვერძი, ღორი...), 2. შემდეგ და  
შემდეგ ვეშაბთმებრძოლი ცხოველები გმირებად იქცნენ, 3. ხოლო  
ქრისტიანული რელიგიის ჩამოყალიბების პერიოდში ეს უკანასკნე-  
ლნი ვეშაბთმებრძოლი „წმინდანებით“ შეიცვალნენ. ამის დამამტკი-  
ცებელი ისიცაა, რომ ვეშაბთმებრძოლი ღორი გვიანდელ ფოლკ-  
ლორულ ნაწარმოებებში თვითონ გამოდის წყლის მიმტაცებლად<sup>111</sup>.

რა უნდა ითქვას დევზე, ზოგჯერ ვეშაპს (ან გველეშაპს) რომ  
ენაცვლება? „დევი“ ქართული სიტყვა არაა. იგი ქართულში აღმო-  
სავლეთის გავლენით გაჩნდა<sup>112</sup>. ფოლკლორში ვეშაპის (ან გველე-  
შაპის) ნაცვლად დევის გამოყვანა გვიანდელი ამბავი უნდა იყოს<sup>113</sup>.

- წარღვნის ლეგენდებში მაგიური რწმენის გადმონაშთებიც შე-  
იმჩნევა. როგორც ცნობილია, „მაგიური რწმენის საფუძველზე აღ-  
მოცენდა შელოცვა, წყევლა და სიტყვის ტაბუ“<sup>114</sup>. ქრისტიანობამ-  
დელი ადამიანი აღიარებდა მაგიურ ძალას სიტყვისას, რომლის წა-  
რმოთქმაც ბედნიერების ან უბედურების მომასწავებელი შეიძ-  
ლებოდა ყოფილიყო. ასეთი ვითარება გვაქვს პაწანწყურის ტბის  
ლეგენდაში, სადაც მღვდლის დაღუპვას და მის კარ-მიდამოზე ტბის  
გაჩენას წყევლა იწვევს<sup>115</sup>. სიტყვის ტაბუს დარღვევის გამო ხდება  
წარღვნა ზემოთ ხსენებულ ნატყევარას ლეგენდაში<sup>116</sup>.

---

პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII,  
თბ., 1949, გვ. 262.

<sup>110</sup> კ. ვ. კ. ე. ლ. ი. ე. „წმინდა მხედრები“, ვტიულები ძველი ქართული ლი-  
ტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 6.

<sup>111</sup> მ. ჩ. ი. ქ. ო. ვ. ა. ნ. ი., ვეშაბთმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, ა. ს. პუშკი-  
ნის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1949, გვ.  
262.

<sup>112</sup> მ. ჩ. ი. ქ. ო. ვ. ა. ნ. ი. ქართული ეპოსი, I, გვ. 166.

<sup>113</sup> მ. ჩ. ი. ქ. ო. ვ. ა. ნ. ი., ვეშაბთმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, ა. ს. პუშკინის  
სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, 1949, გვ. 262.

<sup>114</sup> მ. ჩ. ი. ქ. ო. ვ. ა. ნ. ი., მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 205.

<sup>115</sup> ეურნალი „კვალა“, 1895, № 7, გვ. 5.

<sup>116</sup> ფოლკლ. არქ., კ 165, გვ. 69.

როცა წარმართული რწმენის გადმონაშთებზე ვლაპარაკობთ, კვინდა გავიხსენოთ დიდი წარღვნის ლეგენდის ქართლური ვარიანტი. ქრისტეს მიერ მოწვეული ღვთაებანი მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ წარღვნით მსოფლიო მოესპოთ. კიდეც შეუდგნენ განზრახვის შესრულებას. ეს ამბავი წმინდა გიორგიმ შემთხვევით გაიგო. იგი აღმფოთდა, ადამიანთა მოღვმის მოსალოდნელმა დაღუპვამ დააღონა. ბოლოს დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გზა გამოიხატა, ნოე დაიბარა და კიღობნის გაკეთება დაავალა<sup>117</sup>.

ადამიანისადმი წმინდა გიორგის ზრუნვა და ქომაგობა, რაც ამ ლეგენდაშია ნაჩვენები, არაა უჩვეულო. ქართული ფოლკლორი წმინდა გიორგის თითქმის ყოველთვის დადებითად გვიხატავს. წმინდა გიორგიზე შექმნილ ლეგენდებს დაწერილებით მიმოიხილავს ი. ჭავჭავაძე, რომელთა საფუძველზე მეტად საგულისხმო დასკვნა გამოაქვს: „წმინდა გიორგის პირველი ადგილი უკავია და ყველაზე უფროსად ითვლება, იგი გულკეთილია, ადამიანის მფარველი, ძლიერებით ყველას, თვით ღმერთსაც კი სჯობნის“<sup>118</sup>. დიდი მეცნიერის მტკიცებით, ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია<sup>119</sup>.

დიდი წარღვნის ლეგენდის მიხედვით წმინდა გიორგი გულკეთილი და ადამიანის მფარველი კი არის, მაგრამ უკვე ძალა აქვს დაკარგული. აქ ყველაზე უფროსად ქრისტე ითვლება. წმინდა გიორგი ღმერთთა კრებასაც არ ესწრება და მოსალოდნელი წარღვნის ამბავს შემთხვევით გაიგებს. ჩვენი აზრით, ამ ლეგენდაში იმ შორეული ეპოქის ანარეკლია, როცა წარმართობას ქრისტიანობა ცვლის, მაგრამ ბრძოლა ამ ორ რელიგიას შორის ჯერ კიდეც არაა საბოლოოდ დამთავრებული. ამას ამტკიცებს კრებაზე ღვთაებათა არაერთსულოვნება, წარღვნის შესახებ ქრისტეს წინადადებას არა მართებულად რომ მიიჩნევენ და ამ ამბავს წმინდა გიორგის მალულად გაანდობენ<sup>120</sup>.

წარმართული რწმენის კვალი კარგად ჩანს დიდი წარღვნის ლეგენდის აპარულ ვარიანტში, რომლის სათაურიცაა „აშურა“. ყურადღებას იქცევს ამ ლეგენდის ჩამწერის დოცენტ ჯ. ნოლაიდელის შენიშვნა: „ღლეობა აშურა აპარაშია. განსაზღვრულ მთვარეზე

<sup>117</sup> ფოლკლ. არქ., კ 165, გვ. 90.

<sup>118</sup> ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 48.

<sup>119</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>120</sup> ფოლკლ. არქ., კ<sup>188</sup>, გვ. 91.

დღესასწაულობენ. ამზადებენ „აშურას“. ეს საგანგებოდ შემზადებული წვნიანი საკმელია, რომელშიც უნდა იყოს თითო ან ორ-ორი მარცვალი ყველა იმ თესლისა, რასაც ადამიანი თესავს და საკმელად ხნარობს. იმ მთვარეს, რომელზედაც აშურას დღესასწაულობენ. აშურას მთვარეს ეძახიან<sup>121</sup>.

ჩვენი აზრით, „აშურა“ ქართველთა წარმართული ღვთაების — მთვარის დღეობაა. ეს დღეობა უეჭველად გენეტიკურ კავშირშია წარღვნის ლეგენდასთან წვნიანი საკმელი და მასში ჩაყრილი თესლეულის თითო ან ორ-ორი მარცვალი ერთგვარი სიმბოლიკა უნდა იყოს წარღვნისა და იმ წყვილ-წყვილი სულდგმულებისა, ლეგენდის თანახმად კიდობანში რომ იყვნენ შეფარებულნი.

რადვან წარმართული რწმენის კვალი დადასტურდა, მეტი დაბეჭითეზით შეგვიძლია ვივარაუდოთ. რომ ქართველი ხალხის შორეული წინაპრები იმთავითვე შექმნიდნენ „მოსალოდნელი წარღვნის“ ლეგენდას, სადაც მათ მიერ გაღმერთებული შინაურ ცხოველთა (ხარი, ცხვარი, ღორი) ბრძოლა იქნებოდა დახატული ბოროტი ძალების წინააღმდეგ. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ბიბლიის გავლენით უნდა შექმნილიყო დიდი წარღვნის ქართული ლეგენდა. აქ ხარი კამეჩითაა შეცვლილი, რომელიც თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით ხალხის მხსნელად კი არაა გამოყვანილი, არამედ ნოესაგან თვით მოელის ხსნას. ესეც წარმართობაზე ქრისტიანული რწმენის საბოლოოდ გაბატონების მაჩვენებელია.

დასკვენები: 1. ქართული ფოლკლორი იცნობს ისეთ ლეგენდებსაც, სადაც წარღვნა შედარებით მცირე მასშტაბისაა და დედამიწის გარკვეული მონაკვეთით განისაზღვრება. ამგვარი ლეგენდების თავისებურება ისიც არის, რომ მათი მიხედვით წარღვნა ზესკნელიდან კი არ ხდება წვიმების გზით, არამედ ქვესკნელიდან — მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვისა და დატბორვის მეშვეობით.

2. ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით წარღვნით იმუქრება ვეშაპი (დევი), მაგრამ მას წინ აღუდგება ხარი, ვერძი ან ღორი და ხალხს უბედურებისგან იხსნის.

3. ხარი, ვერძი და ღორი ადამიანებს რომ მფარველობენ და სოფლებს წარღვნისაგან იხსნიან, იმ უშორესი ეპოქის ანარეკლი უნდა იყოს, როცა ჩვენი წინაპრების შეგნებაში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა და ხსენებულ ცხოველებს საკულტო არსებებად მიიჩნევდნენ.

<sup>121</sup> ქ. ნოღაიღელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აპარელთა ყოფაცხოვრებიდან, 1935, გვ. 47.

4. ვეშაპთა ბრძოლის ევოლუცია ამგვარად გვესახება: ტოტემისტური რწმენის ეპოქაში იყვნენ ვეშაპთმებრძოლი ცხოველები. შემდეგ პერიოდში ამგვარი ცხოველები გმირებად იქცნენ, ხოლო სულ ბოლოს, ქრისტიანული რელიგიის გავლენით, ეს უკანასკნელნი წმინდანებით შეიცვალნენ.

5. მცირე წარღვნის ლეგენდებში მაგიური რწმენის გადმონათობებიც შეიმჩნევა.

6. ქართველებისა და სხვა ხალხების მცირე წარღვნის ლეგენდები ხშირად ემსგავსებიან ერთმანეთს, რის მიზეზსაც ტიპოლოგიური დამთხვევა ან სესხება-გავლენა შეიძლება წარმოადგენდეს.

Н. ШАМАНАДЗЕ

## ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ ЛЕГЕНДЫ

### Резюме

По своей тематике грузинские народные легенды делятся на несколько групп. В работе представлены только три группы: космогонические, апокрифические и легенды о потопе.

В некоторых космогонических легендах заметны отголоски наивного материализма, не характерные для библейского предания о сотворении мира.

Мотив сотворения мира из земли не должен был возникнуть под влиянием библии. По нашему мнению, данный мотив был известен гораздо раньше.

В апокрифах главным и ведущим является религиозный мотив. Апокрифические легенды же часто опираются на повседневные, жизненные реалии и дают суждения по таким вопросам, которые интересовали человека с первых же дней общественной жизни.

Апокрифические легенды, записанные за последние годы, в значительно меньшей степени производят религиозное впечатление и представляют церковное учение в упрощенной, сказочной форме.

Легенда о великом потопе возникла в незапамятные времена. Среди известных в настоящее время версий, древнейшей является шумерская легенда. Совпадение некоторых эпизодов шумерских и грузинских сказаний можно считать случайным, тогда как сходство грузинских и библейских легенд несомненно объясняется влиянием этих последних.

Своеобразные особенности грузинских легенд (упоминание лозы, название горы Фазис) должны были возникнуть благодаря местным условиям. Грузия с древнейших времен

была страной, где культура лозы являлась одной из основных хозяйственных отраслей, и существуют даже предания о том, что первоначально культура эта возникла именно в Грузии.

Грузинскому фольклору известны и такие легенды, в которых потоп имеет сравнительно малые масштабы, ограничиваясь лишь одним участком земной поверхности. Своеобразие подобных легенд состоит и в том, что потоп возникает не от дождя, льющего сверху, а от внезапно прорвавшихся на поверхность подпочвенных вод.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი	3
თ ა ვ ი I	17
კოსმოგონიური ლეგენდები	17
1 სამყაროს წარმოშობა და პირველ ადამიანთა გაჩენა	17
2 პირველი ადამიანების შეცოდება და მათი დასჯა	32
თ ა ვ ი II	43
აპოკრიფული ლეგენდები	43
თ ა ვ ი III	80
წარღვნის ლეგენდები	80
დიდი წარღვნის ლეგენდა	80
მცირე წარღვნის ლეგენდები	95
Грузинские народные легенды (резюме)	109

НОДАР ШАЛВОВИЧ ШАМАНАДЗЕ  
ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ ЛЕГЕНДЫ

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი მ. ჩიქოვანი  
გამომცემლობის რედაქტორი ე. ლ. ბათიაშვილი  
მხატვარი გ. ნადირაძე  
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჯავა  
კორექტორი ლ. კოტრიკაძე

გადაეცა წარმოებას 13.7.1972; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.2.1973;  
ქალაქის ზომა 60 X 90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 2. ნაბეჭდი თაბახი 7.0. სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბ.ხ- 6.09; უე 00938; ტირაჟი 3000; შეკვეთა 1922.  
ფასი 52 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19.  
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.  
Типография АН ГССР, Тбилиси 380060, Кутузова, 19